



სურათზე: ზაზა ცოტნიაშვილი მოხსენებით  
გამოდის ცხინვალის მკვიდრთა ფორუმზე.  
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო  
აკადემიური თეატრი, 2003 წლის 1 ივლისი.

ზაზა ავთანდილის ძე ცოტნიაშვილი, დაიბადა 1971 წელის 26 ივლისს საქართველოში, ქალაქ ცხინვალში, მოსამსახურის ოჯახში.

მამა ცხინვალის სახელმწიფო ჰედინსტიტუტის დოცენტი იყო, დედა - ცხინვალის №1 საშუალო სკოლის ჰედაგოგი.

1988 წელს, ცხინვალის №4 საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ჩაირიცხა ცხინვალის სახელმწიფო ჰედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1993 წელს. ამავე წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობაზე, რომლის სრული კურსი დაასრულა 1996 წელს. 1998 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1995 წლიდან გახეთ „შიდა ქართლის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანია. ამავე წლის სექტემბრიდან კითხულობს ლექციებს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქვე, 2000 წლის სექტემბრიდან ფილოლოგია-კურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანია. 2001 წლის 28 დეკემბრის ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო ჰედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო-ჰედაგოგიური წოდება. 2002 წლიდან ხელმძღვანელობს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტური ჟურნალის „ახალგაზრდა ჟურნალისტის“ გამოცემას. 2004 წლის გაზაფხულზე გერმანიაში აიხსტადტის უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერების სპეციალობაზე მონიშნა ლექციების კურსი. გამოქვეყნებული აქვს წიგნი, 36 სამეცნიერო ნაშრომი და 140-მდე პუბლიცისტური წერილი რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში. მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე თემაზე „ქართულ-ოსური ურთიერთობა პრესაში (XX-XXI სს-ის მიჯნაზე)“. ფლობს რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ოსურ ენებს.

ზაზა ცოტნიაშვილი

ქართულ-ოსური

ურთიერთობა

პრესაში

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე

წიგნი I

2005

ნაშრომი წარმოადგენს ნაწილს ვრცელი მონოგრაფიისა, რომელიც მიზნად ისახავს შეისწავლოს, თუ როგორ აისახა პრესაში XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ქართულ-ოსური ურთიერთობა.

ორი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. დასახელებულ პერიოდში ქართულ-ოსური თანაცხოვრება დიდი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა ცნობილი კონფლიქტის გამო.

წინამდებარე ნაშრომის ავტორი შეეცადა გამოეკვითა კონფლიქტის პერიოდულ პრესაში ასახვის ძირითადი ასპექტები.

ნაშრომის პირველ ნაწილში შესწავლილია პრესის გავლენის საკითხები კონფლიქტის წარმოშობის პროცესებზე; ასევე, ამ დაპირისპირების ქართულ, ოსურ და რუსულ პრესაში გაშუქების ტენდენციები.

წიგნი განკუთვნილია ხალხთა ურთიერთობებით, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტთათვის, ასევე სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის.

იპაზღვება ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით

რედაქტორი: პროფესორი ნოდარ ტაბიძე

რეცენზენტები: პროფესორი შოთა ქურდაძე  
დოცენტი ლელა მელაძე

ISBN 99940-0-030-6

ISBN 99940-0-031-4

7

უძღვნი სამშობლოსათვის შეწირული  
ჩემი სიყრმის მეგობრების  
გელა თუთარაშვილისა და  
სანდრო შალუტაშვილის ხსოვნას

## წინასიტყვა

თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნე-  
ლოვანი პრობლემაა ქართულ-ოსური ურთიერთობა. მას  
მრავალი საუკუნის ისტორია აქვს.

ნაშრომის ინტერესის საგანია ორი საუკუნის მიჯნაზე  
არსებული გართულებული ურთიერთობების ასახვა  
პერიოდულ პრესაში. წინამდებარე პირველ ნაწილში  
ასახულია პრესის გავლენა კონფლიქტის წარმოშობაზე  
და მისი შემდგომი ასახვა ქართულ, ოსურ და რუსულ  
გაზეთებში.

ნათელია, რომ დიდი პოლიტიკური ამბიციების გამო  
აგორებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემა სცილდება  
ქართულ-ოსურ ინტერესებს და, ალბათ, ქართულ-  
რუსულსაც. აქ გაცილებით მძლავრი ინტერესების ჭიდილში  
იჭყლიტება მდიდარი ტრადიციების ქართულ-ოსური  
ურთიერთობა.

რამდენად აქვს ეს მომენტი კონფლიქტის უშუალო  
მონაწილე მხარეებს გათვითცნობიერებული? როგორც  
შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, ჯანსაღი ძალები  
ცდილობდნენ პრესის საშუალებით თავიდან აერიდებინათ  
ორი ხალხის მსხვერპლი, მაგრამ რუსული იმპერიული  
ინტერესები პრესას აქტიურად იყენებს კონფლიქტის  
ასაგორებლად და ქართველებისა და ოსების ჩასათრევად  
მასში. ზარბაზნების ქუხილის დროს რთულია სიმართლის  
გარკვევა. ქართული პრესა ცდილობს საკუთარი პოზიციის  
დაცვას, ოსური კი – „ჩაგრულად“ წარმოაჩენს ოსურენოვან  
მოსახლეობას. რუსული პრესა ერთობ დელიკატურად  
ახერხებს არასტაბილურობის დანერგვას საქართველოს  
ტერიტორიაზე.

თუმცა, სურვილი მშვიდობიანი ცხოვრებისა ყოველთვის კიაფობს ქართულ და ოსურ პრესაში. მისი აღდგენა კი ასეთ ვითარებაში დიდ დროს მოითხოვს.

ჩანს, სრული ურთიერთგაგებისათვის მხარეებს შორის კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ორი ეროვნების უურნალისტების შეხვედრა ამ მიმართულებით გადაღმეული ერთი მიმე ნაბიჯია. არაადეკვატური რეაქციებიც, ოსურ და ქართულ პრესაში, არსებული გაუცხოებითა და განსხვავებული პოზიციის მკითხველთა არსებობით, არის განპირობებული. მისი აღმოფხვრა შესაძლებლად გვესახება მომავალი დისკუსიებითა და ორმხრივი დიალოგის კულტურის დემონსტრაციით.

განხილული მასალები, მხარეებს შორის, დიალოგის კონკრეტულ მაგალითს სთავაზობს მკითხველს, საიდანაც იკვეთება, რომ ურთიერთობათა მოგვარების მიზნით მისი წარმართვა და შემდგომში გადრმავება შესაძლებელია.

## შსსაგალი

საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მოსახლეობის უმძიმესი ყოფა, ძირძველი ქართული სამკვიდროს წარსული და დღევანდელი, მისი მომავალი ქართული პრესის ინტერესის საგანი იყო და კვლავაც რჩება.

საბედისწერო უახლოესი წარსული მკაფიოდ გვახსოვს, რომლის ფესვებიც ისტორიულ წარსულშია საძიებელი. ცნობილი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოში ოსთა ჩამოსახლებასთან დაკავშირებით წერდა: „ამ მთის ადგილებთა ბინა რაოდენი ოსენი დაესწრეთ, პირველად სახლებულან ქართველი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსენი; და ქართველნი ბართა ბინა ჩამოსულან, ვინაიდან მტერთაგან ბარის შინა კაცნი შემცირებულან“<sup>1</sup> საქართველოში რუსი ელჩის – ტატიხნევის (1604-1615) ცნობით, XVII საუკუნის დასაწყისში ოსები უკვე კომპაქტურად სახლობდნენ სოფელ ზახასა და მადრან-დევალეთში. ამავე საუკუნის შუა წლებში ისინი დასახლებულან აგრეთვე დიდი ღიახვის სათავეებშიც. XVIII საუკუნის 70-იანი წლებისთვის კავკასიონის სამხრეთ კალთებზე 2860 კომლი ოსი სახლობდა. აქედან 860 – სამაჩაბლოში, 200 საერისთავოში, დანარჩენი სხვა ადგილებში. ცხინვალში ვიდრე XX საუკუნემდე მხოლოდ ქართველები, სომხები და ებრაელები სახლდებოდნენ. ოსთა ერთი ნაწილი ქართლში ჩამოსახლებისთანავე „ქრისტიანად“ ინათლებოდა და ცდილობდა ქრისტიანულ წესჩვეულებათა გათავისებებს, რაც მათ შეგნებაზე, ზოგად კულტურაზე, ხასიათსა და ქცევაზე ერთგვარ სასიკეთო გავლენას ახდენდა. ახლად ჩამოსახლებულ ოსებს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ყოველმხრივ დახმარებას უწევდა, როგორც ეზო-სახლკარის მოწყობა-მოწესრიგებაში, ბავშვანახების გაშენებასა და სხვა სასიცოცხლო პრობლემების მოგვარებაში.

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 71.

ქართველი მეფეები, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეები ყოველ დონეს ხმარობდნენ ჩვენს მოძმე ოსებში წერა-კითხვისა და ცოდნა-განათლების გავრცელებისათვის. ოსთა შვილების სწავლა-განათლების საქმეს დიდი ამაგი დახლო დრმად განათლებულმა მეფე-პოეტმა არჩილმა, მან ოსთა მოწინავე პირნი შეყარა და უქადავა განათლების მნიშვნელობა. ოსებმა თანხმობა განუცხადეს, არჩილმა რამდენიმე ოსი რუსეთში გაიყოლა და 1700 წელს მოსკოვში გააცნო რუსული სასტამბო საქმეები და ქართული ასოების ყალიბები, რაც ოსებს დიდად მოეწონათ. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე შენიშნავს: „ქართველთა და ოსთა კავშირი ისე განმტკიცდა, ისე შეიყვარეს ერთმანეთი, რომ მას შემდეგ, ამდენი ხნის განმავლობაში, ერთი მაგალითი არ მომხდარა, რომ ოსებს ან ქართველებს ერთმანეთისათვის უღალატნოთ და რამე ბოროტება ჩაედინოთ. ასეთი ბოროტება ძველად ოსთა და ქართველთა შორის ამბადაც არ გავიხილა, ნაცველად მტრობის, ოსები ქართლში გადმოსახლების შემდეგ, ქართველებთან ყოველთვის ერთად იბრძოდნენ, ბრძოლის დროს არასოდეს უღალატნიათ, უკან არ გამდგარან“<sup>1</sup>. ქართველი მეფეები ოსთა ეკლესია-მონასტრებს დიდ დახმარებას უწევდნენ, როგორც მოსახლეობაში ტექშიარიტი ცოდნა-განათლების გავრცელების ნამდვილ მისიის მქონეთ. ქართლის მეფემ გიორგი XI-მ (1671-1688 და 1703-1709 წ.წ.) ოსებთან მეგობრული ურთიერთობის ნიშნად ცეცხის სიონის სოფელ ძივგისის მონასტერს ნაწუქრობის წარწერით ზარები შესწირა.

ნუხალის სამლოცველოში აღმოსენილი იქნა „იაღლეუ-ზიანის“ ქართული ტექსტი, რომელიც ერეკლე II-ის სამეფო კარზე აღზრდილ ნიჭიერ ოს მწერალს, პედაგოგსა და პოეტს – იოანე იაღლეუზიძეს ეკუთვნის, რაც ჩვენს კულტურასთან ოსურის სიახლოვეს ადასტურებს.

კეთილმეზობლური და პოზიტიური მოვლენების გვერდით ორი ხალხის ურთიერთობაში იყო შეუწყნარებლობის მაგალითებიც, რაც ოსური მხარის მტრული გამოხედობების

1 ს. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და დაცვა მოსკოვში, 1990, გვ.12.

შედგვი იყო. უამთა აღმწერლის გადმოცემით, 1292 წელს, პირველად განახორციელეს” „...ოვსთა აოხრებად, ხოცვად და რბევად ქართლისა და ქალაქი გორი წარიტყუენეს და ტყვენად თვისად დაიჭირეს ოვსთა“.<sup>1</sup>

მოგვიანებით ოსთა თარეში აღკვეთილ იქნა საქართველოს მიწა-წყალზე. მეფე გიორგი V-მ, იგივე გიორგი ბრწყინვალემ XIV ს-ის 20-იან წლებში სასტიკად შეუტია სამშობლოს საზღვრებში შემოჭრილ ოსურ ურდოებს.

ადრინდელ ქართულ გაზეთებში დაბეჭდილი მასალები ოსების შესახებ გამოირჩევა სითბოთი და ტაქტით. როგორც მკვლევარი მაყვალა განეხილაძე წერს: „ოსეთი და ოსები თითქმის ყოველდღიური თემა იყო გაზეთებისა, რადგან მათი ეროვნული სახის და მართლმადიდებლური სარწმუნოების შენარჩუნება ფრიად მნიშვნელოვან და საშურ საქმედ იყო მიჩნეული. ამაზე განსაკუთრებით ზრუნავდა ჩვენი ინტელიგენცია.“<sup>2</sup> ამ დროისათვის, ოსეთის განათლებულ პირთა რიცხვი მცირე იყო და, ბუნებრივია, ქართველთა დახმარების გარეშე ისინი სერიოზულ ნაბიჯს ვერ ღვამდნენ. ჟურნალისტებს საქართველოში მცხოვრებ ოსთა ზნეჩვეულებების, სარწმუნოების, განათლების, შრომითი საქმიანობისა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საკითხები ფართო სამსჯავროზე გამოიქონდათ იმ მიზნით, რომ ცუდი ემხილებინათ და კეთილი დაენერგათ, სასარგებლო საქმიანი წინადადებებით გაეუმჯობესებინათ მათი ცხოვრება, ცივილიზებულ ერთა რიგებში ჩაეყენებინათ. სწორედ ქართველთა ძმური დამოკიდებულების შედეგია, რომ ოსებმა შეინარჩუნეს თავიანთი ენა და ეროვნული სახე და ჩრდილო ოსეთის მკვიდრთა მსგავსად, არ დათანხმდნენ მხოლოდ რუსულ ენაზე სწავლას, რაც ეროვნული კულტურის განვითარების საფუძველი გახდა.

ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“, იშვიათად იხმარებოდა, მისი სემანტიკური მნიშვნელობა უფრო მდიდარი აღმოჩნდა საქართველოში მცხოვრებ ოსთა აღმნიშვნელ სხვა სახელწოდებებთან შედარებით, რამაც განაპირობა მისი ხმარებაში შემოტანა მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 296.

<sup>2</sup> მ. განეხილაძე, სამსახდლოში ოსთა ეთნო-ცხოვრება, სენეჩვეულება, კულტურათბ., 1996, გვ. 3.

თუ კორესპონდენცია იწყებოდა სიტყვით „ოსეთი“ — ეს ნიშნავდა ოსების სამშობლოს, ჩრდილო ოსეთს.

ერთ-ერთ ოფიციალურ დადგენილებას, რომელიც შიდა ქართლის ოსების ზოგიერთი წეს-ჩვეულების მანკიერ მხარეთა შეცვლას მიუძღვნა, ასეთი სათაური აქვს: „მმართველობის განკარგულება. აღსრულებაში მოყვანა წესდებისა სოფლების და საზოგადოების სასოფლო სამმართველოს შესახებ კავკასიის აქეთა მხარეს.“<sup>1</sup> 1878 წლამდე წერილობით და ზეპირ მეტყველებაში არ იხმარებოდა სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი“. მომდევნო პერიოდში, როცა გაზეთებში გაჩნდა პუბლიცისტური წერილები და გახშირდა მნიშვნელოვანი კორესპონდენციები ოსთა ცხოვრებაზე, მათ ზნე-ჩვეულებაზე, ხასიათსა და ზოგიერთი უარყოფითი გადმონაშთის შეცვლაზე, შეიქმნა საჭიროება ისეთი ტერმინის მოგონებისა, რომელიც აღნიშნავდა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ოსების ერთობლიობას. ასეთებიც გაჩნდა „პირაქეთა ოსეთი“, „მთისაქეთა ოსეთი“, „სამხრეთ ოსეთი“, „სამანაბლოს ოსეთი“ და სხვა. რაც შეეხება ღიახვის ხეობასა და თვით ცხინვალს, ადრიდანვე იგი ქართველ მეფეთა ზრუნვის საგანი იყო, რადგან გაჭირვების უამს ისინი თავს აფარებდნენ მტრისათვის ნაკლებად მისადგომ ამ ადგილებში. საინტერესო ნიმუშია ასეთი ფაქტისა იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების სტუმრობისა მანაბლებთან, რათა მანაბლებს თავიანთი ქვეშევრდომი ოსები აემხედრებინათ რუსების წინააღმდეგ. გასეთი დროება წერს: „იულონს, ამბობენ გაგიუებით უყვარდა სამანაბლო — ცხინვალის ხეობა და როცა რუსეთში გააგზავნეს ხშირად იგონებდა ამ სააქაო სამოთხეს... ერთ-ერთი თავადიშვილი რუსეთიდან საქართველოში, რომ ბრუნდებოდა იულონმა შეავედრა — ცხინვალის ხეობას, რომ დახედო ზღუდრის სერიდამ, მე მომიგონე, რომ ეგების ჩემმა სულმა აქ იგრძნოსო.“<sup>2</sup> ნოსტალგიის გრძნობა ასე ფაქიხად გამოხატა გაზეთმა.

ქართულ-ოსური ურთიერთობების მკვლევარი ლიტე-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1878, № 15.

<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1884, № 167.

რატურასა და ჟურნალისტიკაში დოცენტი ავთანდილ ცოტნიაშვილი შენიშნავს: „ქართული პერიოდიკა ყოველთვის დაინტერესებული იყო და არის ოსი ხალხის ცხოვრებით, მისი კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, სახალხო განათლების პრობლემებით. ასე იყო მკ-19 საუკუნის ბოლოსა და 20-ე საუკუნის დასაწყისშიც.“<sup>1</sup> ამ დროისათვის განსაკუთრებით დაინტერესებული იყო აღნიშნული საკითხით გაზეთები „ივერია“, „ცნობის ფურცული“; ჟურნალები „აკაკის თვითური კრებული“, „მოამბე“ და სხვა.

ილია ჭავჭავაძე, დასახელებულ პერიოდში, გამოსცემდა გაზეთ „ივერიას“, სადაც დიდი ინტერესი, და ამავე დროს, სიბოროტე გამოხატული ოსური მოსახლეობის მიმართ. აქ იბეჭდება წერილი „ვინ არიან ოსნი“.<sup>2</sup> მოგვიანებით „ივერია“ შეეხო ქართველთა და ოსთა სულიერი ცხოვრების რამდენიმე შტრიხს. მათ შორის, მან ფართოდ გააშუქა მიხეილ ყიფიანის გარაცვალებასთან დაკავშირებით გამოხატული მწუხარება ოსური მხრიდან. სამგლოვიარო მიტინგზე ოსი ხალხის დიდი შეილის კოსტა ხეთაგუროვის გამოსვლა ასე გადმოსცა: „მას უკან დიდის გრძობით წარმოსთქვა ლექსი ჯერ ოსურად და შემდეგ მეორე ლექსი რუსულად კოსტა ხეთაგუროვმა. შინაარსი ოსური ლექსისა მოკლედ ასეთი იყო: გზამშვიდობისა, ჩვენთვის აღარ ზრუნავ ახლა. ქვეყნად გვრჩება შენი სახელი. შენი მომდურავე ერთიც არ არის ჩვენს შორის... რით გადაგიხადოთ სიკეთის სამაგიერო? საუკუნოდ იყოს ხსენება შენი: უბედურნი ვართ ჩვენ.“<sup>3</sup>

აკაკი წერეთელი ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრების მანძილზე დაინტერესებული იყო ოსური კულტურით, რაც მის „კრებულშიც“<sup>4</sup> ისახებოდა. დასახელებული ჟურნალი კი ჩრდილოეთ ოსეთშიც ვრცელდებოდა. აქ დაიბეჭდა ოსური თქმულება თამარ მეფის შესახებ, რომელიც აღ. მანაბელს ოსისგან ჩაუწერია.<sup>4</sup> ამ და სხვა ფაქტების გამო

<sup>1</sup> ა. ცოტნიაშვილი, მკ-19 საუკუნის დასახრულისა და 20-ე საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდიკა ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ, ცხ.1990, გვ. 3.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია“, 1877, №213.

<sup>3</sup> გაზ. „ივერია“, 1891, №53.

<sup>4</sup> შურ. „აკაკის თვითური კრებული“, 1898, №8

ა. წერეთლის დამოკიდებულება ოსური კულტურისადმი და მისი ასახვა ჟურნალის ფურცლებზე ორი ხალხის ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის საყურადღებო ფურცელია.

ქართული პრესის ტრადიციისამებრ, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუგუია) სათანადო ყურადღებით მოეკიდა ქართველი ხალხის ურთიერთობას სხვა ხალხებთან, კერძოდ ოსებთან (პირველი ნომერი გამოვიდა 1896 წლის 20 ოქტომბერს). 23 ოქტომბერს იგი უკვე გამოთქვამს სურვილს, რომ თბილისისა და კავკასიის (ვლადიკავკასი) უფრო მეტად დაკავშირება დიდი და საჭირო საქმეა. იგი დაბეჯითებით არწმუნებდა მკითხველს, რომ სკოლისა და თეატრის ცხოვრებაში, ასევე ხალხთა შეკავშირების საქმეში, განსაკუთრებული როლი შეასრულა კავკასიის მცხოვრებმა ცნობილმა მოღვაწემ, მეცენატმა და პატრიოტმა ალექსანდრე სარაჯიშვილმა. იგი აღფრთოვანებით შეხვდა სრდილოეთ ოსეთის ქართველთა მოთხოვნას ვლადიკავკასიის ბავშვებისათვის ქართული სკოლის გახსნის საკითხის წამოყენებას. გაზეთი თვალს ადევნებს ოსთა მოწინავე შვილების საქმიანობასა და მათდამი ქართველთა დამოკიდებულებას. იგი სინაზულით აუწყებს მკითხველს ილიკო ფუხაშვილის (ფუხათი) ტრაგიკული სიკვდილის შესახებ, რომელსაც ფოლკლორული კეთილი სახალხო გმირის სახეს ადარებს. სიმღერა „მოკლეს ილიკო“ დიდხანს გამოხატავდა ქართველებს შორისაც ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ სულისკეთებას.

ერთ-ერთი ცნობა გვატყობინებს, რომ ვლადიკავკასიელი ქართველები მხარს უჭერენ ადგილობრივი მოსახლეობის წადილს აქ უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხში;<sup>1</sup> ხოლო 31 მარტის ნომერში გაზეთი მკითხველს აუწყებს ედისში (გორის მაზრა) სკოლის გახსნის შესახებ და აღნიშნავს, რომ იგი ააგო თვითონ ხალხმა. ქართული წერა-კითხვა გვასწავლეთ, ჩვენთვის ისიც ძლიერ საჭიროა! მოითხოვენ იქაური ოსებიო, - წერს გაზეთი და შემდეგ დასძენს: „ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ედისი (იგი მდებარეობს დიდი ღიახვის სათავეებთან) საზღვრავს

<sup>1</sup> გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897, 1 მარტი.

გორის მახრასა და კავკავის ოლქს.<sup>1</sup>

საუკუნის წინათ განხორციელდა ფართო მასშტაბიანი ანტიქართული აქცია. 1918 წლის 18 მარტს ცხინვალში შეიჭრნენ შეიარაღებული ოსები, რომელთაც მოსახლეობის მარცვა-რბევა და ხოცვა-ჟლეტა მოაწვეეს. ამ თავდასხმისას ბევრი ცხინვალელი დაიღუპა, მათ შორის მოსალაპარაკებლად გაგზავნილი გიორგი მანაბელი, კოსტა ყაზიშვილი, სანდრო კეცხოველი. მაშინ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ მკაცრი საპასუხო ღონისძიებები გაატარა. იგივე ზაქარია ჭიჭინაძე ამ ფაქტს უტყუარ შეფასებას აძლევს: „ეს ბოროტება ოსებისაგან ნაქნარია საქართველოს მტრების ჩაგონებით, რომელთაც ქართული რესპუბლიკური მთავრობის სისხლი სწყურიათ და რესპუბლიკის დამხობას ელტვიან. ამას ვფიქრობთ ჩვენ და ეს ასეც უნდა გახლდეთ. მხოლოდ ოსებს კი არ ეკადრებათ ქართველების მტრობა და შეძულება, ამას იგინი სასტიკად უნდა ერიდებოდნენ, რადგან ქართველთა შეგინება იქნება მათი მამა-პაპათა საფლავების შეგინება.“<sup>2</sup>

1922 წლის 20 აპრილს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ანტიქართული დეკრეტით შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და მთელი რიგი ქართული სოფლები და აბსოლუტურად ქართული ქალაქი ცხინვალი ყოველგვარ სამართლებრივ ლოგიკას მოკლებულ ოლქში გააერთიანეს. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ოსი ეროვნების მოსახლეობა, ძირითადად, ჯავის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში სახლობს. „რისთვის უნდა ვიყოთ მოქცეული ოსეთის ფარგლებში ეროვნებათა თვითგამორკვევის აღსასრულებლად?! მით უმეტეს, რომ მათი ენა ჩვენთვის სრულიად გაუგებარია და უცხო, ხოლო რაც შეეხება ეროვნებათა უმრავლესობას, მთელი ეს ჩრდილოეთი მხარე რაიონისა, მცირე გამოწაკლისით ქართულ ენაზე მოსაუბრე მკვიდრი ქართველებით არის დასახლებულიო წერდნენ სამაჩაბლოს ხეობის ქართველები, სახელდობრ, ძარწემელები 1921 წლის 25 დეკემბერს.

<sup>1</sup> ვახ. „ცნობის ფურცელი“, 1897, 31 მარტი.

<sup>2</sup> ხ. ჭიჭინაძე, ოსების ნამოხახლება ქართლში და ქართველების ამავი და ღვაწლი მათზე, თბ., 1990, გვ.13.

1927 წლის აჯანყების დროს ოს სეპარატისტთა დაუნდობელ ქმედებებს ქართველთა მიმართ ვერაგულ შეფასებას აძლევს მკვლევარი ელენე ჯაფარიძე საგაზეთო წერილში „შიდა ქართლის ტრაგედია“<sup>1</sup>. ამ დროს იქნა დახვეწილი ივანე მაჩაბლის ვაჟი. ასეთ ფონზე ბოლშევიკური გეგმის მიხედვით დაიწყო ოსური მოსახლეობის ინტენსიური ჩამოსახლება ცხინვალსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საბჭოთა პერიოდი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ქართველთა შევიწროვებისა და დისკრიმინაციის, გაოსება-გარუსების კრემლის გეგმაზომიერი პოლიტიკითაა ნიშანდობლივი, რასაც თბილისის საბჭოთა, მაგრამ ქართულმა ხელისუფლებამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია, პირიქით, ყოველი ცკ-ს მდივანი გულმოდგინედ ასრულებდა მოსკოვის დირექტივებს, ერთგულების დასადასტურებლად კი ამ მიმართულებით მეტ ინიციატივას იჩენდა.

რუსული იმპერიული მიზანი და ინტერესი ჩვენს ეპოქაში მთელი სისრულით, უკვე 1989-1992 წლებში გამოვლინდა იმ ფორმით, რასაც შექწირა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები და მრავალი ქართველი და ოსი ადამიანის ცხოვრება – გამოხატული მიიმე გუშინდელი, დღევანდელი და გაურკვეველი ხვალისდელი დღით.

1990 წლის 9 მარტს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ დადგენილება მიიღო. 20 ივნისს დადგენილებაში დამატება შევიდა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს უმაღლესი საბჭო აღნიშნავდა რა ინტერვენციასა და ოკუპაციას, ბათილად აცხადებდა საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ დადგენილებებს. საპასუხოდ ოსურმა სეპარატისტულმა ძალებმა იურიდიული დესტრუქცია წამოიწყეს.

1990 წლის 20 სექტემბერს „ადამონ ნიხაის“ ზეწოლით ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“. ორი დღის შემდეგ, 22 სექტემბერს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ბათილად სცნო აღნიშნული აქტი. ცხინვალში არჩევნები მაინც დანიშნეს. საქართველოს

<sup>1</sup> გაზ. „საქართველო“, 1990, №11.

უმადლეხმა საბჭომ 22 ნოემბერს კვლავ გააუქმა აღნიშნული დადგენილება: 1990 წლის 11 დეკემბერს კი გაუქმებულად იქნა გამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ასეთი გადაწყვეტილების მიუღებლობა ოსური მხარის ქმედებებზე საქართველოს ხელისუფლების თანხმობად აღიქმებოდა.

გარდა იმისა, რომ ოსური მხარე რუსეთთან შეერთებაზე დაუფარავად საუბრობდა, ასევე დამოუკიდებლობაზე პრეტენზიასაც აცხადებდა. ასეთ დაპირისპირებაში იურიდიული გამარჯვებისკენ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ხელისუფალთა პოზიცია.

იურიდიული დამარცხების საპასუხოდ სეპარატისტული ძალები არ მოერიდნენ შეიარაღებულ თავდასხმას – 12 დეკემბერს ცხინვალში დახოცეს სტუმრად ჩასული ქართველები და დაჭრეს ადგილობრივი მცხოვრებნი. საპასუხოდ საქართველოს უზენაესმა საბჭომ საგანგებო წესები შემოიღო ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში, რაც მილიციის გაძლიერებული ძალების შეყვანით განახორციელა, მაგრამ მეორე დღიდანვე რუსული სამხედრო ძალების აშკარა ჩარევითა და გორბანოვის ბრძანებულებით წაქეზებულნი მილიციაზე თავდასხმებს აწყობდნენ. ქართული მილიცია იძულებული გახდა უკან დაეხია და ცხინვალის მისადგომებთან განერებულყო, რაც დაპირისპირების მკვეთრი ხღვარის შექმნის პირობა გახდა.

საუკუნეთა მიჯნებზე დაებედა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილები; ასე იყო 100 წლის წინათ, დღესაც პოლიტიკური სიგზაგებითა და სიტყვლით გაჯერებული ეპოქის შეილები ვართ.

90-იანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი ქართულ-ოსურ ურთიერთობაში. როგორც მკვლევარი ალექსანდრე მღებრიშვილი შენიშნავს: „ოსი ეროვნების პროგრესულად მოაზროვნე დიდი ნაწილი თანაგრძნობით იყო განმსჯეალული მასპინძლების მიმართ და ყველანაირად უწყობდნენ ხელს ხისხლის ღერის შეწყვეტას, კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას.“<sup>1</sup>

<sup>1</sup>ად. მღებრიშვილი, XX საუკუნის ცხინვალის დიტორატორულ-კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის, ნაწილი 1, თბ., 2003, გვ. 90.

პერიოდულ პრესას, როგორც სახოგადოებრივი აზრის ფორმირების უპირველეს საშუალებებს, ძალუის პროცესების გაშუქება და ხშირად მისი მართვა; სუბიექტურ და ობიექტურ განწყობათა შორის „ბეწვის ხიდზე“ სიარული. გაცილებით ღირებულია ჟურნალისტური საქმიანობა, რომელიც გადის სიმართლის „ბეწვის ხიდს“. ისტორიის ფალსიფიკაცია ერთ-ერთ სამარცხვინო ფაქტად რჩება ამ რთული ურთიერთობების ვითარებაში, რასაც თავის გარკვეული საფუძველი აქვს. ასეთი ფაქტები, როგორც პერიოდულ პრესაში, ასევე ცალკეულ გამოცემების სახით ფიქსირდება. ოსური მხრიდან ასეთი მიდგომა საკითხისადმი მეტად პოპულარულია. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითი უამრავია. ერთ-ერთი მასალა ასე „მოძღვრავს“ მკითხველს: „На той же морально-правовой основе, на которой Грузия отделяется от СССР, ЮО имеет право отделяться от Грузии.“<sup>1</sup> ასეთი პოზიციის მიზანი მკითხველისათვის გასაგებია, მაგრამ როგორც ჩანს, ავტორებს არ აქვთ გაცნობიერებული მრავალ ენაზე ცნობილი ანდაზა – „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“ ან მიაჩნიათ, რომ გაყალბება საკუთარი ერის სამსახურია, რაც დიდი ტაქტიკური შეცდომაა. მათი და მათი მკითხველის დარწმუნება კი მტკიცე და აქტიური პოზიციით უნდა იქნას მიღწეული. მისი გავრცელება ხწორედ საინფორმაციო საშუალებებმა უნდა იტვირთონ. მსგავსი რეციდივების გაბათილება კი უპრიანია თავად ოსი ხალხის საამაყო შვილთა, ყველასათვის სანიმუშო, პირუთვნელი პოზიციით. მათ შორის არის დიდი ოსი მეცნიერი პროფესორი ვასილ აბაევი, რომლის საპროგრამო მნიშვნელობის თეზისი დღესაც აქტუალურია: „Главный Кавказский хребет – естественная граница между Грузией и Осетией, и всякая попытка размыть эту границу повлечет за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами... Надо прежде всего покончить с разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии. Ни одно грузинское правительство с этим никогда не согласится и будет прав потому, что это будет означать нарушение территориальной целостности Грузии.“

Кто хочет мира между южными осетинами и грузинами, должен навсегда отвергнуть идею присоединения Южной Осетии с Северной. Кто хочет мира между Грузией и Россией, также должен оставить эту идею. Такова реальность.<sup>1</sup> ასეთი შეხედულება, ბუნებრივია, არ აკმაყოფილებს ერთგვარი ნაციონალური იდეის მატარებელ ნაწილს, რომელთა განწყობა გახეთ, „Южная Осетия“-ს ფურცლებზე მაშინდელმა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ახსარბეგ გალახოვმა გაახშიანა: „Частью национальной идеи осетинского народа является объединение и создание на базе двух республик единой демократической республики.“<sup>2</sup> ნებისმიერი ერის ნაციონალური იდეა საპატივსაცემო უნდა იყოს სხვა ეროვნების ადამიანებისაგან, მაგრამ თუ ის საკუთარი ინტერესების რეალიზაციით შელახავს სხვა ერის ინტერესებს, ამ შემთხვევაში ქართულ ინტერესებს, როგორი უნდა იყოს ურთიერთობათა ფორმები? ალბათ, მშვიდობიანი, ურთიერთის დარწმუნებით უნდა ხდებოდეს კომპრომიტი აზრის გამოკვეთა. თუ დიალოგი არ შედგება, რა შედეგი მოეყვება, ამის გამოცდილება, სამწუხაროდ, ორივე ხალხს აქვს. ავტორიტეტულ მეცნიერთა, მიუკერძოებელ საზოგადო მოღვაწეთა, დიალოგი უნდა იქცეს რეალური ვითარებიდან გამოსავლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული მხარის აზრი იყო და არის პროფესორ ჯონლო გვახალიას მიერ მკაფიოდ გაცხადებული: „შიდა ქართლი, რა თქმა უნდა, მისი ჩრდილო ნაწილითურთ („ცხინვალის რეგიონი“ ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“), შიდა ქართლი, სადაც დაირწა ქართული ენის, კულტურის, რელიგიის, სახელმწიფოებრიობის აკვანი, ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი.“<sup>3</sup>

საინფორმაციო მასალა ხშირ შემთხვევაში „მისამართიანი“, მას შესაბამისი ადრესატი პეაგვს და ავტორი შემოქმედებითი ინდივიდუალური მონაცემებისა თუ საზოგადოდ მიღებული სტანდარტული მეთოდების გამოყენებით

<sup>1</sup> გაზ. «Независимая газета», 1992, 22 января.

<sup>2</sup> გაზ. «Южная Осетия», 1995, 23 марта.

<sup>3</sup> ა. გვახალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, ოსთა საკითხი, ვერ.-თბ., 1996, გვ. 103.

ცდილობს კონკრეტული ადრესატის გრძნობებსა და გონებაზე აპელირებას, სინამდვილის მისეული მოდელის მიწოდებას, ამასთან – დამაჯერებლად, შთამბეჭდავად, ეფექტურად. პუბლიცისტური ტექსტის დროსა და სივრცეში განფენილობა გულისხმობს მასზე ტექსტგარეთა ფაქტორების – კონტექსტისა და ქვეტექსტის უეჭვად შემოქმედებას. ტექსტის ესთეტიკური მთლიანობა მხოლოდ კონტექსტსა და ქვეტექსტთან ერთიანობაში მიიღწევა: ეს ყოველივე – საზოგადოდ, კონკრეტულად კი, როგორც მკვლევარი დიანა ტყეშუაია შენიშნავს: „საბჭოთა იდეოლოგიის დირექტიული, ცალსახად იდეოლოგიზირებული ხელწერა თანამედროვე (პოსტსაბჭოურ) მედიაში შეცვალა აზრობრივად და სტილისტურად თავისუფალმა, „ჩარჩოებდამსხვრეულმა“ (ზოგჯერ ზომიერების დაკარგვამდეც კი!) მანერამ წერისა.“<sup>1</sup> მართლაც განუზომლად გაიზარდა ავტორის როლი, გამოიკვეთა მისი სახე პუბლიცისტურ ნაწარმოებში. ავტორის თვალთახედვამ, მისეულმა ინტერპრეტაციამ შეცვალა „პარტიული კურსი“ – ერთსახოვანი და ერთფეროვანი; ფაქტთა თუ მოვლენათა შეფასების იდეოლოგიზირებულ მანერას ჩაენაცვლა კონკრეტული ავტორის შემფასებლური დამოკიდებულება სინამდვილისადმი. ინტერპრეტაციის ნაირგვარობა, განსხვავებულ თვალთახედვათა არსებობა გაცილებით საინტერესოა და შემოქმედებითად, სახიამოვნოდ აღსაქმელს ხდის სინამდვილის იმ სურათს, რასაც თანამედროვე მედია სთავაზობს მკითხველს. ჟურნალისტიკის თეორიის რუსი მკვლევარი ლ. კროიჩიკი ამ მოვლენას ასე აფასებს: „Персонификация текста вызвана к жизни не только общим процессом демократизации постсоветского общества, но и тем, что в условиях существующего ныне рынка информации товаром становится не просто новость, а новость, «упакованная» в публицистический текст.“<sup>2</sup> იგი პუბლიცისტურ ტექსტს ორკუჩიან

<sup>1</sup> ლ. ტყეშუაია, პუბლიცისტური შეფასების კერძალასტაის ზოგიერთი სტილისტური თავისებურება თანამედროვე მედიაში, ჟურნალისტიკურ ძიებანი, ტ. IV, თბ., 2003, გვ. 82.

<sup>2</sup> Л. Е. Кройчик. Система журналистских жанров. Основы творческой деятельности журналиста, учеб. (Ред.-сост. С.Г. Корконосенко), СПб., 2000, с. 127.

აქლემს ადარებს, სადაც ერთი კუჩი ფაქტია, ხოლო მეორე – ავტორის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთ ფაქტს საკითხზე წერისას ეთიკურ მხარეს. არსებობის დღიდან, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ჟურნალისტიკამ ვერ შეძლო მუდმივად დარჩენილიყო ეთიკურ მოთხოვნათა ფარგლებში. მსოფლიო მასშტაბით ჯერაც არ შექმნილა საყოველთაო ეთიკური კოდექსი. ამ მიზნით იუნესკომ გარკვეული რეკომენდაციები შეიმუშავა; მათ შორის მაკბრადის ცნობილი კომისიის დასკვნები.<sup>1</sup> ამდენად ჟურნალისტიკა ხნობრივ პრობლემათა გადაჭრის წინაშე დგას. ამავე დროს, ცნობილია, რომ დეონთოლოგია არის ეთიკური მოძღვრება მოვალეობისა და ჯეროვანის პრობლემაზე. ჟურნალისტური დეონთოლოგია არის ჟურნალისტთა ქცევის განმსაზღვრელი მორალურ-ეთიკური კოდექსი. ზოგ გამომცემლობასა და ტელეკომპანიას საკუთარი ნორმები აქვს დაწერილი. მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ნებისმიერი კოდექსისათვის ორი პრინციპის დაცვაა მნიშვნელოვანი: სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტის პროფესიონალიზმისა. დეონთოლოგია მასმედიაში ემსახურება ისეთი ძირითადი ფასეულობების დაცვას, პატივისცემას, როგორცაა: ადამიანის უფლებები, დემოკრატია, მშვიდობა, საერთაშორისო ურთიერთგაგება. კულტურის განვითარების შესაბამისად ამ ნორმების შინაარსი განსხვავებულია. ზოგიერთი მოდელი დაწერილებით ახდენს იმის დაზუსტებას, თუ რა პრინციპით უნდა მომზადდეს რეპორტაჟი არასრულწლოვანი დამნაშავეის შესახებ, როგორი უნდა იყოს ჟურნალისტის პოზიცია არჩევნებისა თუ საკონფლიქტო სიტუაციების გაშუქებისას და ა.შ. საბერძნეთში ჟურნალისტისგან საჩუქრის მიღება დაუშვებელია. კორესპონდენტი ვაღდებუელია უარი თქვას ნებისმიერ ძღვენზე, რომელსაც რაიმე საერთო აქვს მის პროფესიულ საქმიანობასთან, განსაკუთრებით ინფორმაციის გამოქვეყნებასთან ან დაფარვასთან. ასე რომ, ეს კანონები პირობითია და იმდენადღაა მნიშვნელოვანი, რამდენადღაც მაღალია ჟურნალისტის პატიოსნება.

<sup>1</sup> Foreign News and New World Information order, Iowa, 1984

სახოგადოებრივ აზრს წვეწას დროში უპირატესად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აყალიბებენ. ამიტომ ცხადია იმ მეცნიერული მეთოდების მნიშვნელობა, რომელთაც სახოგადოებრივი აზრის შესაქმნელად „მეოთხე ხელისუფლება“ იყენებს. მკვლევარი ია მახარაძე ხვამს კითხვას: „რამდენად ზნობრივია დარწმუნების ისეთი მეთოდები, რომელთა საშუალებით ადამიანთა ერთ ჯგუფს შეუძლია მეორეთა მართვა? ამ კითხვის კანონზომიერებაში განსაკუთრებით მაშინ ვრწმუნდებით, როცა მასმედია პოლიტიკური თამაშისა და ანგარებითი მიზნების იარაღი ხდება.“<sup>1</sup> არის თუ არა ასეთი შემთხვევები ლოკალური კონფლიქტების გაშუქებისას? სამწუხაროდ არის, რაც კარგად გამოჩნდა უამრავი მასალის შესწავლისას. ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების გამიზნულ ფაქტებს აქ წვენ ეხედებით, მაგრამ, თუ ჟურნალისტი წინასწარ არის დარწმუნებული მოხალოდნელი შედეგების ჰუმანურობაში, ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში მეცნიერული მეთოდების გამოყენება მოწონებასაც უნდა იმსახურებდეს. ასეთ დროს ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და სხვა მეცნიერების გამოყენება ჟურნალისტურ პრაქტიკაში აუცილებელია, რათა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, პერიოდულმა გამოცემებმა, კორესპონდენტებმა თავიანთი პროფესიონალიზმის, თავისუფლების, დემოკრატიის ოპტიმალური განხორციელება შეძლონ.

პროფესიული ეთიკის ნორმების შემუშავება და დაცვა განსაკუთრებით მართებთ კონფლიქტის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებს. მკვლევარ თამთა კოკელაძის აზრით: „თანამედროვე საქართველოში ჟურნალისტური მოღვაწეობის ეთიკური ასპექტის შესწავლა ფაქტობრივად არ მიმდინარეობს. ჟურნალისტური კორპუსი, მიუხედავად გარკვეული დამოუკიდებლობისა და პლურალიზმისა, ვერ ახერხებს ნეგატიურ პროცესებზე ქმედითი გავლენის მოხდენას.“<sup>2</sup> აღნიშნული პრობლემა საქართველოში არსებული რთული

<sup>1</sup> ი. მახარაძე, დემოლოგია და ჟურნალისტთა კრიტიკული კრებული (რედაქციონები ბენაშვილი . ი. კენჭოსაშვილი), თბ., 2003, №9, გვ. 66.

<sup>2</sup> თ. კოკელაძე, ეთიკური საწიხების პრობლემა ჟურნალისტურ მოღვაწეობაში, ჟურნალისტთა კრებული (პროფ. დ. ტყეშელაშვილის რედაქციით), თბ., 2001, IX, გვ. 152.

საზოგადოებრივი-პოლიტიკური ვითარების გამოს, კიდევ უფრო რთულდება. ამდენად, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება აუცილებელია.

ასევე საინტერესოა, თუ როგორ ვითარდება „ზარბაზნების ქუხილის“ პირობებში შემოქმედებითი პროცესები. პრესის როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საქმეში უმთავრესი საკითხია. სწორედ ის მიგვაჩინა ძირითად მისაღწეობად საინფორმაციო საშუალებებში ქართულ-ოსური ურთიერთობის მოკვლევა-შესწავლისათვის.

ახალი ათაბაგულის დასაწყისში მკაფიოდ გამოჩნდა, რომ დემოკრატიული პრესა ოპტიმალური საშუალებაა საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმართვისათვის დემოკრატიულ გარემოში. დემოკრატიული განვითარების გზაზე დამდგარი საზოგადოება მასმედის საშუალებებს იყენებს თვითმმართველობისა და მოვლენათა განვითარების მონიტორინგისათვის, რაც წარმოუდგენელია ობიექტური და ზუსტი ინფორმაციის გარეშე. ასეთ მკვიდრ საფუძველზე წარმოებული ჯანსაღი დისპუტები საზოგადოებრივი აზრის პროგრესს უნდა განაპირობებდეს.

ისმის კითხვა: საზოგადოებისათვის აუცილებელია თუ არა ყოველთვის სრული სიმართლის ცოდნა? თუ ცოდნა ეთნიკური შეხლა-შემოხლის შესახებ გამოიწვევს დაძაბულობას, რა ჯობს? ეს აღბათ, ყველაზე დიდი დილემაა ჟურნალისტურ საქმიანობაში, რაც ჯანსაღად მოაზროვნე პროფესიონალებში კომპრომისული პოზიციის მოძებნას მოითხოვს. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატიოსანი მოქალაქეობრივი განწყობა კონფლიქტის ზონებში მომუშავე ჟურნალისტებისათვის. აქ ადამიანის სიცოცხლის საფრთხე მოდის წინა პლანზე. თითოეული ნეგატიურად აღქმული სიტყვა შესაძლებელია ცეცხლის წარმოქმნელ ნაპერწკლად იქცეს.

ტექნიკური ჟურნალისტის დანიშნულება კი პირუთვნული სიმართლით უამის აღწერაა. ამ მისიის აღსრულება უდიდესი ტვირთია. როდესაც კონფლიქტის ტერიტორიაზე უმხერ გუშინ, ჯერ კიდევ, აყვავებულ, მაგრამ დღეს გადამწვარ სოფლებსა და ქალაქებს, გაშუქებული ინფორმაციით კი მკითხველის უდიდეს ემოციებს აღძრავ.

აი, სწორედ ეს არის ის ბეჭდის ხელი, რაზედაც საოცარი სიფრთხილით უნდა გაიაროს ღირსეულმა ჟურნალისტმა. ხშირად მოუხონიანი სიძარტლის გამოქვეყნებას დაუძაბავს ნალოვლიანები, დამთბარი ურთიერთობანი დაპირისპირებულ მხარეთა შორის. ამის გამოა, რომ მკვლევარი რიტა დოლიძე ნაშრომში „Роль и ответственность прессы в демократическом государстве“ სვამს ერთობ რიტორიკულ კითხვას: “Иногда откровенное описание факта с комментарием, нагнетало страсти и рвало на кусочки с трудом завязанные узелки перемирия. Имеет ли право журналист, отталкиваясь от единичного факта, делать обобщения, но кто спросит с него за это? Он, как врач, должен чувствовать, когда правда способна нанести зло.”<sup>1</sup> გამომდინარე კონფლიქტის გაშუქების სპეციფიკიდან, მკვლევარი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ეთიკური, სახელმწიფოთა შორისი ეთნიკური კონფლიქტების გაშუქებისას პროფესიონალი უნდა ყურდნობოდეს დებულებას: ძალადობა არასოდეს არ ყოფილა და არ იქნება გამართლებული წარსული წყენებითა თუ მომავლის ლამაზი ხედვით.

ბუნებრივია, როდესაც დაიდგრება პირველი სისხლი, ძნელი ხდება მტყუანისა და მართლის გარჩევა. სწორედ ამიტომ ჟურნალისტები თავს უნდა იკავებდნენ იმ წუთისათვის განცდილი ემოციების შიშვლად აღწერისაგან, რაც ქართულ-ოსური ურთიერთობების დაძაბულობის დასაწყისში არ იქნა გათვალისწინებული და შედეგიც საკმაოდ მძიმე და სავალალო მივიდეთ.

საყურადღებოა ცნობილი ქართველი პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის დამოკიდებულება ჟურნალისტური საქმიანობის როლისადმი საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების საქმეში. მან კარგად უწყის, რომ ჟურნალისტს განსაკუთრებული მისია აკისრია – თანამედროვეობის გარდაქმნისათვის საზოგადოებრივი აზრის შემზადება და ამ კუთხით წარმართვა, რაც, უპირველესად, მამულის სამსახურს გულისხმობს. ჟურნალისტისაგან ამგვარი შრომა დიდ შეუპოვრობასა და ხშირად თავგანწირვასაც მოითხოვს. მკვლევარი ანა ჯინიკაშვილი შენიშნავს:

<sup>1</sup> Р. Долидзе. Роль и ответственность прессы в демократическом государстве.

ჟურნალისტიკა, IX შრომათა კრებული, თბ., 2001, გვ.143.

„ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობაში პუბლიცისტიკას (ეურნალისტიკას - ა.ჯ.) გამოკვეთილი ამოცანა აქვს - ახალი ცხოვრების კვალდაკვალ საზოგადოების ამოქმედება, მისთვის სწორი გზის ჩვენება... პრესა იმის შემძლე უნდა იყოს, ჩაუდგას საზოგადოებას „საზოგადო სული“, უჩვენოს მას 'საზოგადო მიზანი', ხელი შეუწეოს ერის თვითმოქმედების ამოძრავებას.“<sup>1</sup> ასეთი მიდგომა დღესაც აქტუალურად გვესახება, განსაკუთრებით, როცა საქმე ეროვნულ ერთიერთობათა გაშუქებას ეხება. „ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური და ეროვნული ერთობა ერთიერთ თანხედრილი უნდა იყოს. ნაციონალიზმი, როგორც განწყობა, ან როგორც მოძრაობა, ყველაზე უკეთ ამ პრინციპის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს,“<sup>2</sup> - წერს ვერნესტ გელნერი. საყურადღებოა აღნიშნული შეხედულება ქართულ-ოსური დაპირისპირების მოახრებისასაც. ციტირებული დებულება ვგებ, დაგვეხმაროს, ცნობილი ძალების მიერ ინსპირირებული კონფლიქტის ტექნიკური ხორცშესხმის პროცესების ხედვისას, რაც, ვფიქრობთ, წარმოაჩენს მხარეთა ერთიერთობების შემდგომი სტაბილიზაციის კონტურებს, ხოლო სამომავლოდ ხელს შეუწყობს ასეთი პრეცედენტის არ დაშვებას.

<sup>1</sup> ა. ჯანიკაშვილი, „საკუროსი საუბრების“ პრიბლეკტიკის ერთი ასპექტი, ეურნალისტური ძიებანი, IV, თბ., 2003, გვ. 135.

<sup>2</sup> ვ. გელნერი, ერები და ნაციონალიზმი, თბ., 2003, გვ. 5.

## თავი I

### პრესის ბაკონა კონფლიქტის წარმოშობის პროცესებზე

ასეთი ხასიათის კონფლიქტების დაგეგმვა და განხორციელება ნაკლებად არის გამოწვეული პრესის ფურცლებზე გაჩენილი დაპირისპირებებით. ამავე დროს, აღსანიშნავია პრესის როლი კონფლიქტის აგორების საქმეში. მიხი ინსპირატორები ცდილობენ გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საკუთარი მიზნებისათვის. ხშირად ქართული პრესა ყოველ დონეს ხმარობდა კეთილი ურთიერთობების შესანარჩუნებლად. რუსული და ოსური გაზეთები საწყის ეტაპზე რადიკალური პოზიციით გამოირჩეოდნენ.

გაზეთი „კომუნისტი“ რუბრიკით— „ხამს მოევარე მოყვრისათვის...“ გვთავაზობს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედინსტიტუტის რექტორის პროფესორ ლუდვიგ ნიბიროვის პუბლიცისტურ სტატიას „გუერთგულთ წინაპართა ნაანდერძევს“, რომლის მიზანია ქართველ და ოს ხალხს შეახსენოს ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები, ასეთ ფონზე გააანალიზოს არსებული დღევანდებობა და მოუწოდოს მკითხველს ორი ხალხის ინტერესების პარამიონული შეთავსებით შეძლონ თანაცხოვრება. დასახულ ამოცანას ავტორი ოსტატურად ართმევს თავს, რასაც საფუძველს უმყარებს ობიექტური პოზიცია. მისი აზრით, 9 აპრილის ტრაგედია გამოიწვია რესპუბლიკაში ვითარების არასტაბილურობა; ასეთ შემთხვევაში იგი მკითხველს მოუწოდებს განსაკუთრებული კეთილგონიერებისაკენ, აწონ-დაწონილი, საღი მიდგომისაკენ ყველა მტკივნეული საკითხისადმი; გამოყოფს ისტორიული მესხიერების მნიშვნელობას, რომელიც გვაგალებს სადღეისო პრობლემების გადაწყვეტისას მოვიხედოთ უკან, მოვიგონოთ წარსული, ფიქრით ვესაუბროთ წინაპრებს.

მართლაც, დამაფიქრებელია ორი ათასწლეულის განმავლობაში წამოყალიბებული ურთიერთობების გათვალისწინებით დღევანდებობის შეფასება. ავტორი ოსტატურად ასახელებს ძირითად უტყუარ ისტორიულ ფაქტებს,

რომლებიც მის „შეხედულებებს ამყარებენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულში დაწყებული კონტაქტები შემდგომ ეტაპებზე მეტად და მეტად ღრმავდება. აღსანიშნავია IV საუკუნეში ხასანიდების ირანის, ხოლო VI საუკუნეში ხპარსთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლები; ქართულ-ოსური ურთიერთობა ღრმავდება X-XII საუკუნეებში, როდესაც ოსეთში ადრეფეოდალური სახელმწიფოებრიობა გაძლიერდა; ამის დასტურად სტატიაში მოხმობილია მრავალრიცხოვანი დინასტიური ქორწინების მაგალითები: გიორგი I-ს ცოლად ჰყავდა ოვსთა მეფის ასული აღდა. ბაგრატ IV დურგულელ დიდის დაზე – ბორენაზე დაქორწინდა. განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტად მოხსენებულია თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქორწინება. „მეფე ერეკლე II რომ არა, ჩვენ არ გვეყოლებოდა XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი განმანათლებელი იოანე იაღლაუზიძე. ერთხელ, ცხინვალში ყოფნისას, მეფე ერეკლე II თავის მეგობართან, გვარად გაბარაევთან ყოფილა სტუმრად სოფელ ზაღდაში. უკან დაბრუნებისას, თბილისს წამოუყვანია თავისი მეგობრის შვილი – მომავალი იოანე იაღლაუზიძე. ი. იაღლაუზიძემ მიიღო იმ დროისათვის ბრწყინვალე განათლება და გახდა ქართულ საფუძველზე პირველი ოსური ანბანის შემდგენელი, პოემის „იაღლაუზიანის“ ავტორი“<sup>1</sup>. მაღლიერების გრძნობით არის გამსჭვალული ღუდვიგ ჩიბიროვის მიერ მოხმობილი ქართულ-ოსური ურთიერთობის სხვა მრავალი ფაქტის აღწერა. აღნიშნულია იღია ჭავჭავაძის ღვაწლი ოსი მოსახლეობის უფლებების დაცვის საქმეში, რასაც მის საფლავზე ერთ-ერთი გვირგვინის ასეთი წარწერაც ადასტურებს: „იღია ჭავჭავაძეს – დამწუხრებელი ოსებისაგან.“

სტატიაში ისტორიული წარსულის მიმოხილვა თანამედროვეობის მდიდარი მაგალითებით არის შევსებული. გამოყოფილია მწერალ გიორგი ბესთაუთისა და ჟურნალისტ ზურაბ ლომიძის მეგობრობა, ოლქში მოღვაწე მეცნიერთა მომზადებაში ქართველ აღმზრდელთა ღვაწლი საგანგებოდ არის ხაზგასმული.

<sup>1</sup>გ.ს. „კომუნისტ“, 1989, 22 თებინა.

ავტორი თვლის რა, რომ უკვე მზად არის მკითხველი მისი ძირითადი დებულებების აღსაქმელად. მკაფიოდ გამოხატავს ოსური ინტელიგენციის სურვილს: „ჩვენ, სამხრეთ ოსეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები, სრულიად გულწრფელად ვუჭერთ მხარს, ქართველი საზოგადოებრიობის სწრაფვას – გააძლიეროს რესპუბლიკის სუვერენიტეტი, გააუმჯობესოს ქართული ენის სწავლება, გონიერულად გადაწყვიტოს დემოგრაფიული პრობლემა. მოკლედ, რომ ვთქვათ ჩვენ კარგად გვესმის მომქმე ქართველთა ეროვნული პრობლემები და მტკივნეული საკითხები. მაგრამ ამასთან, აუცილებელია მათგან ასეთივე გაგება, და მხარდაჭერა საკითხებში, რომლებიც ჩვენს ეროვნულ განვითარებას, ავტონომიური უფლებების პატივისცემას ეხება.“<sup>1</sup> ჩამოყალიბებული პოზიციის რეალიზაციისათვის, ავტორის აზრით, ორივე მხარემ ფრთხილი მიზანმიმართული ნაბიჯები უნდა გადაიდგას. წარსულის ხსენისა და დღევანდულობის პარმონიული წარმოდგენით ავტორი დამაჯერებლად აყალიბებს მოსაზრებებს, რომელთა უმთავრესი მიზანი, ორივე მხარის ინტერესთა შეხამებით, იმ შენობის კიდევ უფრო განმტკიცებაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ორი ხალხის მიერ შენდება.

იმდროინდელი ვახეთი „საბჭოთა ოსეთი“ ეოველ დონეს ხმარობს, რომ ორი ხალხის წარმომადგენლები დაარწმუნოს საერთო ინტერესებში, რასაც დიდი წარსული აქვს, მათ შორის საბრძოლო ურთიერთობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მურატ ხანაკოევის სტატია „ქართველი და ოსი ხალხების საბრძოლო თანამშრომლობის ისტორიიდან“. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე დაბეჭდილი ეს მასალა მართლაც კეთილშობილი მისიის მატარებელია. ავტორი გამოყოფს 1121 წლის დიდგორის ბრძოლაში ოსების აქტიური მონაწილეობის ფაქტს. მისი აზრით, ქართველებსა და ოსებს შორის დამოკიდებულებამ აყვავებას მიაღწია თამარის მეფობის წლებში, რომლის დედაც ოქსთა მეფის ასული ბურდუხანი, როგორც ქართველი

<sup>1</sup> იქვე.

ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ, შეუდარებელი სი-  
ლამაზისა და მაღალი კულტურის ქალი მეუღლის აქტიური  
თანამშემწე ყოფილა. მურატ სანაკოევი თამარის ოსი  
მეუღლის დავით ხოსლანის ქართული სახელმწიფოსთვის  
გადახდილ ომებს ასახელებს. ასევე სტატიაში მოთხრობი-  
ლია სხვა მნიშვნელოვან ბრძოლათა შესახებაც, სადაც  
ქართველები და ოსები ერთად იბრძოდნენ მტრის წინა-  
აღმდეგ: ოსები ქართული ჯარის შემადგენლობაში იღებ-  
დნენ მონაწილეობას მონღოლების (1220 წელი), ჯალალ-  
ედინის (1228 წელი) წინააღმდეგ ბრძოლებში. 1257-1264  
წლებში ოსი მეფეების რაზმები დასახლდნენ დმანისში,  
ჟინვალსა და ათენში. ხელისუფლების დეცენტრალიზაციის  
პირობებში მეფის მცდელობას – შეენარჩუნებინა ერთიანი  
სახელმწიფო, ხელს უწყობდა ოსური შეიარაღებული  
რაზმები.

ავტორის აზრით, XVII საუკუნის მეორე ნახევარში  
ქართველებისა და ოსების ერთიერთობაში პოზიტიური  
განწყობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა გიორგი XI,  
რომელიც ხშირად მიმართავდა ოსებს სამხედრო დახმარე-  
ბისთვის, მათი კეთილგანწყობის მოპოვებისთვის მეფეს  
ზარები უბოძებია ოსური სალოცავებისათვის.

მნიშვნელოვანია სტატიაში ისეთი ისტორიული ფაქ-  
ტის მოხმობა, როგორცაა ავღანელთა წინააღმდეგ  
ლაშქრობა: „გიორგი XI შაჰ-რუსეინმა კანდიგარში გაგზავნა  
ჯარი ავღანელი ტყვეების დასამშვიდებლად. იგი შედგებო-  
და 20 ათასი სპარხელისა და 4 ათასი ქართველისაგან.  
მეფეს თან ახლდა 2 ათასიანი პირადი ამალა, რომელიც  
ქართველებისა და ოსებისაგან შედგებოდა. ავღანელებთან  
ბრძოლაში გიორგი XI დაიღუპა პირად ამალასთან ერთად.“<sup>1</sup>  
მკითხველში ერთიანი განწყობის ჩამოყალიბებისთვის  
გამისწეული ეს ამბავი კომენტარის გარეშეა დატოვებული,  
რაც დამაჯერებელს ხდის ავტორის პოზიციას. ეროვნული  
სიამაყის გრძნობა შეინიშნება ავტორის თხრობაში,  
როდესაც ის მკითხველს აუწყებს, რომ ოსმა ხალხმა მიიღო  
მონაწილეობა ასპინძის, კრწანისისა და სხვა ბრძოლებში,  
ერეკლე-II-ს ერევნის ლაშქრობაში, ღონისძიებებში,

<sup>1</sup> ვ.ხ. „საბჭოთა ოსეთი“. 1989, 9 თემა.

რომლებიც მიმართულია ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერებისაკენ. ეს უკანასკნელი არგუმენტი მიზანმიმართულ დარტყმად მიგვაჩნია 90-იან წლებში აგორებულ ოსურ სეპარატისტულ იდეოლოგიაზე. ალბათ ბევრი მათგანი უნდა დაფიქრებულყო, რომ, თუ მათი წინაპარი ქართველ მეფეს უხმარება ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებაში, აქვთ ეს თანამედროვე ეტაპზე განსხვავებული პოზიციაზე დგომის უფლება. სტატიაში კიდევ სხვა მრავალი საინტერესო მომენტია ისტორიული მეხსიერებიდან გამოხმობილი, რომელთა კონსტატაციასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ეტაპზე ურთიერთობების გარკვევის თვალსაზრისით.

საჯარო მოწოდების საინტერესო ნიმუშები გამოქვეყნდა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ ფურცლებზე. ოსური კულტურის საზოგადოება „ფარნის“ სახელით მისი თავმჯდომარე ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გენერალ-მაიორი კიმ ცაგოლოვი და მისი მოადგილე ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახალხო მხატვარი ზაურ აბოევი ღია წერილის საშუალებით ცდილობენ თავისი პოზიციის დაფიქსირებას და აღან ჩინიევის დარწმუნებას მშვიდობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის აუცილებლობაში: „თითქმის ყველა ქართული წყარო მიუთითებს თქვენს მიმართვაზე აფხაზი ხალხისადმი. გაუფრთხილებლად ნათქვამი სიტყვა გახდა ღოღი შებრკოლებისა. იქნებ, დიდი საქმის გულინათვის მოგეხადათ ოფიციალური ბოდიში? ეს ბრძნული, მოქალაქეობრივად გაბეღული იქნებოდა. თქვენი მოქმედება უნდა გაიცნობიერონ მათ, ვინც ოფიციალურად წარმოადგენს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ აღქს, ... ჩვენი მოწოდებაა: კეთილგონიერება, თავდაპყრილობა, აწონდაწონილება. ეროვნებათა შორის კონფლიქტებში ჩვენს წვლილს ნულარ დავემატებთ. ამას ნუ ჩავიდენთ!“<sup>1</sup> ღია წერილის ეფექტი მოხმობილ ნიმუშში საკმაო სიმძლავრით არის წარმოდგენილი. იგივე საზოგადოება, მოსკოვის ქართულ სათვისტომოსთან ერთად, ამავე გაზეთის შემდეგ ნომერში აქვეყნებს მიმართვას ქართველი და ოსი ხალხებისადმი, რაც აგიტაციის მიჯრითობის საშუალებით

<sup>1</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 27 ივლისი.

მკითხველის მათი პოზიციების ხისწორეში დარწმუნების ალბათობას ზრდის. ამ ეტაპზე მათი მოსაზრებების რეალიზაცია მშვიდობის შენარჩუნების გარკვეულ პირობას წარმოადგენდა.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ეოველგვარი ღონისძიება დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. მათი აზრით, უპასუხისმგებლო ელემენტებმა ხელუყვეს ორი ხალხის ისტორიულად სამოყალიბებული მეგობრობა, მიესალმებიან იმ ფაქტს, რომ ასეთ პოზიციას, ბოლო ხანს გონიერება მძლავრად უპირისპირდება.

მოწონებით არის აღნიშნული, გახეთ „Заря востока“ს ფურცლებზე გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და „ადამონ ნიხასის“ ხაერთო მიმართვა ქართველი და ოსი ხალხებისადმი. ამ ფაქტით გამოწვეული სიხარულის ფონზე, მიმართვის ავტორები, ისტორიულ მჭიდრო ურთიერთობებს იხსენებენ და საკუთარ პოზიციას მკაფიოდ აყალიბებენ: „დაე, თითოეულმა ხალხმა თვითონ განსაზღვროს საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნების გზები, ამასთან არ ავნოს სხვა ხალხის ინტერესებს. ეს არის ხალხების ურთიერთპატივისცემის რეალური გამოვლენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველმა წინდაუხედავმა სიტყვამ შეიძლება წარმოშვას ერთმანეთის მიმართ ეჭვი და უნდობლობა. გავრცელებულმა ჭორებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების შესახებ გამოიწვია ოსი ხალხის აღელვება. გვსურს მივმართოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელებს – იყავით ფრთხილი, აწონდაწონილი, რეალისტურები საკუთარ პუბლიკაციებში. დაე, მათ, ვინც ჩვენს შორის მტრობას თესავს, დაინახოს, რომ ჩვენი ხალხების სულში ცოცხლობს საუკუნეობრივი სიბრძნე, ცხოვრებით შემოწმებული მეგობრობა და ურთიერთგაგება.“<sup>1</sup> „საბჭოთა ოსეთმა“ პოზიტიური როლი ითამაშა მიზანმიმართული სააგიტაციო მუშაობით, გარკვეული თვალსაზრისით დაძაბულობის შემსუბუქებაც შეძლო, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით.

გახეთ „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე ვეცნობით რეპორტაჟს ცხინვალიდან ნათელი აზრის შემცველი სა-

<sup>1</sup> გახ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 29 ივლისი.

თაურით „ფუქცხ ნუ მოვშლით ძმობისას...“. აგიტაციის ჩვეული მეთოდებით შექმნილი მასალის მიზანია ოსური მოსახლეობის შეხედულებათა ჩვენებით მკითხველს შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ ცხინვალში საგანგაშო ვითარება არ არის. ავტორი ელგუჯა ლებანიძე ან ვერ გრძნობს დაძაბულობის მუხტს ან მიანინია, რომ ამ მუხტის გამოაშკარავება ხელს შეუშლის ქართულ-ოსური ურთიერთობის სტაბილურობას. ამიტომ რეპორტაჟი ერთობ თბილი განწყობილებითა და სასურველი მომავლის იმედიით არის განმსჭვალული.

„აქტუალური პრობლემა“ – ასეთია რუბრიკის სათაური. ლიხნის ცნობილი მოვლენები, აღან ჩოჩიევის მისადმი გამოხმაურება და ქართულ პრესაში ამასთან დაკავშირებით გამოხატული წყენა ოსური მხარისადმი გამხდარა კორესპონდენციის მომზადების განმაპირობებელი: „აფხაზეთის ტრაგედიამ გულგრილი არავინ დატოვა. არც ოსები გამდგარან განზე („ეს ჩვენი ტრაგედიაც არის“, – ამბობს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი). ოლქში სიტუაცია ლიხნის ამბების შემდეგ გამწვავდა, განსაკუთრებით, როცა აღან ჩოჩიევის წერილის გამო ერთი ამბავი ატყდა ქართულ პრესაში. ამ წერილის შესახებ თვით „ადამონ ნიხასის“ („სახალხო ფორუმი“) პრეზიდენტის წევრებმაც არაფერი იცოდნენ, ოლქის ხელმძღვანელობამ, მითუმეტეს ოსმა მოსახლეობამ უკვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ წერილის მიმართ, ამიტომ აქ საუბარს აღარ გავაგრძელებ. მაგრამ, როგორც ჩვენი ოსი მეგობრები თვლიან, თუმცა აღან ჩოჩიევის პასუხად გამოქვეყნებულ წერილებში ოსი ხალხის მიმართ არაფერი თქმულა სააუგო, მაინც იყო დემაგოგიური გამოთქმები“. <sup>1</sup> ერთ-ერთ ასეთ გამოთქმად ოსურ მხარეს მათი სტუმრის სტატუსით მოხსენიება მიანინია. გულისტკივილით შენიშნავენ: ასეთი მომართვის საბაბს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა არ იძლევაო. ურთიერთობის გარკვევას კი შეხვედრების, მოსაზრებათა ურთიერთგაზიარების გზით მიიჩნევენ გამართლებულად. ელგუჯა ლებანიძე აქ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლა და შემრიგებლური პოზიციების ასახვა

<sup>1</sup> გახ. „სოილის ცხოვრება“, 1989, 6 აგვისტო.

გააგრძელა.

ოლქის ხელმძღვანელობის მიერ, დაძაბულობის მოსახსნელად, გატარებული ღონისძიებებიდან ავტორი პოზიტიურად ახასიათებს ოსი ეროვნების საზოგადოების ყველა ფენისაგან შემდგარი დელეგაციების ვიზიტებს თბილისში, გორში, ქარელში, ხაშურში, მცხეთასა და ონში. შეხვედრები, მისი აზრით, მეტად შედეგიანი იყო, რადგან ადამიანებმა გულწრფელად გამოხატეს გრძნობები, მკაცრი შეფასება მისცეს პროვოკატორთა და ექსტრემისტთა ცდებს – გაამწვავონ მოძმე ხალხებს შორის ურთიერთობა.

საყურადღებოა ოლქის ხელმძღვანელის ანატოლი ნეხოუეის მოსაზრება საკადრო პოლიტიკის შესახებ, რადგან ოსური პრიორიტეტი აქ 50-იანი წლებიდან მკაფიოდ გამოიკვეთა, მაგრამ მასზე ხმამაღლა არაავინ საუბრობდა. ანატოლი ნეხოუეი კი წარმატებულ, ინტერნაციონალურ პოლიტიკად მიიჩნევს, რომ ქართულ სოფელ ერედვში ქართველი მუურნეობის დირექტორი დანიშნა. რეპორტაჟში ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვის ნიშანი ნამდვილად უნდა განენიღიყო, რომ მკითხველისთვის მკაფიო გამხდარიყო ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა, რომლის „დამსახურებაც“, სხვა ფაქტორებთან ერთად, იყო შექმნილი ვითარება და რომლის გაანალიზებასაც ცდილობს ავტორი: „საკადრო პოლიტიკა ხომ ერთ-ერთი რაღაც პოლიტიკაა, განსხვავებას არ ვაძლევთ, ვინ ოსია და ვინ ქართველი. მთავარია, კაცი იყოს. რაიკომის პირველ მდივნებად ქართველებიც მუშაობდნენ და ოსებიც. აიღეთ საოლქო კომიტეტი. სულ ახალგაზრდა კადრი გვეყავს, მათ შორის ბევრია ქართველიც, ამას წინათ საქმის ნაშლის გამო ერედვის მუურნეობის დირექტორი იულონ ბორცვაძე გავათავისუფლეთ და ისევ ქართველი – შოთა ბერუაშვილი დავნიშნეთ. არავის გაკვირვებია, სიტყვაც არ დასცდენიათ, რატომ ოსი არ დანიშნეთო.“<sup>1</sup> აი, თურმე როგორი „სამოღვაწეო“ ასპარეზი აქვთ ქართველებს აბსოლუტურად ქართველებით დასახლებულ სოფელ ერედვში.

რეპორტაჟში მოთხრობილია ერთი ეპიზოდი ქართულ-ოსური პოზიტიური ურთიერთობის შესახებ. „აღამონ

<sup>1</sup> იქვე

ნიხასის“ წარმომადგენლები კვაისაში ჩასულან, სასწრა-  
ფოდ უნდა შევიარადდეთ, ონელები თავდასხმას გვიპირებ-  
ენო. მეორე დღეს ონელების ერთი ავტობუსი მიადგა  
კვაისას. როცა ონელთა ჩამოსვლის მიზეზი გაიგეს კვაი-  
სელებმა, სიცილად არ ეყოთ რა იარადი, რის იარადიო.  
სახელდახელო მიტინგზე ძმობაც შეჰფიცეს ერთმანეთს,  
შემდგომ თავად ეწვიენ ონელებს. ამას მოჰყვა წერილი  
„კვაისელ მეშახტეთა აზრი“, რომელიც სამივე საოლქო  
გაზეთმა დაბეჭდა. ასეთი მაგალითები, ბუნებრივია, ხელს  
უნდა უწყობდეს სტაბილურობას, მაგრამ რატომღაც შედეგი  
ნაკლებად შესამჩნევი აღმოჩნდა.

„სოფლის ცხოვრების“ სპეციალური კორესპონდენტი  
სხვადასხვა სოციალურა წრის წარმომადგენელ მრავალ  
რესპონდენტს გაესაუბრა, რათა სრული სურათი შექმნას  
ცხინვალში არსებული საზოგადოებრივი აზრის შესახებ.  
რეპორტაჟის მიხედვით, ურყევად გამოიყურება ასეთი  
შეხედულება: „- ოსი და ქართველი ხალხის ძმობაში ბზარს  
ვერავინ შეიტანს. ჩვენ ერთად ვიყავით, როცა მტერი  
გვიტყვედა და ერთად ვიქნებით ახლაც, როცა ჩვენს რესპუბ-  
ლიკას უჭირს.“ ასე ჩამოყალიბებულ ოსურ პოზიციას  
ავტორი შემხვედრი ქართული განწყობით ამაგრებს: ოსმაც  
და ქართველმაც შეთანხმებულად, ერთსულოვნად უნდა  
უწამლოს საერთო ჭირს. ჩვენი ხსნა ალბათ ამაშია. სამწუ-  
ხაროდ, ასე მარტივი არ აღმოჩნდა შექმნილი ვითარება,  
თუმცა უუნაღისტი კეთილი ნების მიზნის მისაღწევად  
თავდაუზოგავად იბრძვის.

გამწვაებული საჯარო პოლემიკის ფონზე გაზეთი  
„ახალგაზრდა კომუნისტი“ აქვეყნებს გია თასოევისა და  
თემურ მირიანაშვილის სტატიას „დრო განსჯის“. მასში  
არგუმენტირებულად მიმოხილულია შექმნილი საზოგადო-  
ებრივი აზრი. ავტორები მართალი სურათის წარმოდგენით  
ცდილობენ დაარწმუნონ როგორც ოსური, ასევე ქართული  
მოსახლეობა დაპირისპირების თავიდან აცილების აუცი-  
ლებლობაში. გმობენ ვაი ოს პატრიოტებს, რომელთაც  
მოუნდომებიათ უფლებების გაფართოებისთვის ბრძოლა,  
მაგრამ საგრძნობია, რომ ნაკლებად უწევენ ანგარიშს  
არსებულ რეალობას და არ ფიქრობენ მოსალოდნელ

სავალალო შედეგებზე. საინტერესო და ეფექტური მაგალითების მოხმობა და მათი ლოგიკური ანალიზი ავტორთა მოსაზრებებს დამაჯერებელს ხდის.

სიმართლის შეუღამაზებლად თქმის აუცილებლობაში დარწმუნებული პუბლიცისტები, განსხვავებით ზოგიერთი ჟურნალისტისაგან, თამამად აღწერენ რთულ ეროვნულ ურთიერთობას. მიმოხილვა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეული რეზონანსის შეხსენებით იწყება – ქართველებმა, რომლებიც ოლქის მოსახლეობის ერთ მესამედს შეადგენენ, მოიწონეს პროექტი, ხოლო ოსებმა, რომლებიც ორ მესამედს შეადგენენ, მრავალი შენიშვნა და პრეტენზია გამოთქვეს. სწორედ ამ უკმაყოფილების საფუძვლიანობა აინტერესებთ ავტორებს. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ქართულ-ოსური ურთიერთობის საკითხი არა ერთხელ გამხდარა როგორც პრესის პუბლიკაციების, ისე პირადი საუბრების თემა. ასეთ ვითარებაში ოსური მხარე ხშირად წარმოდგებოდა, როგორც შევიწროვებული და დევნილი. ამის დასტურად ოსური ინტელიგენციის ავტორიტეტული წარმომადგენლის პროფესორ ნაფი ჯუსოითის რუსულენოვან საოლქო გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს იხსენებენ ავტორები. აქ ნაფი ჯუსოითი ქართველებს „მოძალადეებს“, ოსებისთვის „უბედურების დამტყებებს“ უწოდებს. ამ აზრის გასაქარწყლებლად სტატიაში სსრკ-ს სხვა ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრების პირობებია არგუმენტირებული: რუსეთის ფედერაციის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთ თავიანთ ავტონომიებში თითქმის არავითარი პირობები არ გააჩნიათ დედაენის, ეროვნული კულტურის, ტრადიციების განვითარებისთვის. მათ არც ხელმძღვანელ სამუშაოებს ანდობენ – უდმურტიის საოლქო კომიტეტის არც ერთი მდივანი არაა უდმურტი და ეს რომ ტიპიური მოვლენაა, ოსებმა ეს ჩრდილო ოსეთის მაგალითითაც იციან. როგორც ავტორები წერენ, შორეულ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში მცხოვრები ოცდაექვსი მკვიდრი ხალხის წარმომადგენელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შექმნილი უმძიმესი ცხოვრების ოცი წლით. ამიტომ ამ ხალხის რაოდენობამ საგრძნობლად

იკლო. ასეთი მიხედვით ფონის შექმნით სტატიაში სამხრეთელ ოსთა მდგომარეობა საუკეთესოდ გამოიყურება. აქვე კონტრ-არგუმენტის სახით მევიდრი ქართული მოსახლეობის უფლებებია წინა პლანზე წამოწეული: „თუკი ვინმე იზღუდება სამხრეთ ოსეთში, ესაა მევიდრი ქართული მოსახლეობა. დღეს ოსთა ხელშია ყოველგვარი ხელისუფლება (პარტიული, ადმინისტრაციული, პროფკავშირული, კომკავშირული). აგრეთვე ოსების ხელშია და მათსავე ინტერესებს ემსახურება ყველა სამეცნიერო და კულტურული დაწესებულება (სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში დღეს ერთი ქართველიც არ არის. სამხრეთ ოსეთის პედინსტიტუტის რექტორი არასოდეს ყოფილა ქართველი).“<sup>1</sup> ასეთი რეალური სურათის დახატვის შემდეგ ლოგიკურად იბადება კითხვა: რა კეთდება ოლქში ქართული ენის, კულტურის განვითარებისთვის? – რომელსაც ავტორები დროულად რიტორიკულად სვამენ და პასუხობენ: აბსოლუტურად არაფერი! პასუხს კი არგუმენტირებულად ასაბუთებენ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რადიკალურ განწყობას თავი ვერ დააღწიეს ავტორებმა, რომლის გარეშეც მეტ დამაჯერებლობას შეიძენდა მასალა.

აღშფოთებული პუბლიცისტები სრულიად საქართველოს მოსახლეობას ამცნობენ: „ოსი მეგობრები კატეგორიულად აყენებენ ოლქში ქართული ენის ოფიციალური შეზღუდვის აუცილებლობას, მაგრამ ვერც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი ვერ მოაქვთ თავიანთი მოთხოვნის დასასაბუთებლად. მაგალითად, პროფ. ნ. ჯუსოითის მტკიცებით, ოფიციალური სტატუსი ენას უქმნის პირობებს, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებმა იზრუნონ ენის ყოველმხრივ განვითარებაზე. ვერა და ვერ დავეთანხმებით პატივცემულ პროფესორს. იმისთვის, რომ სახელმწიფო დაწესებულებებმა იზრუნონ ენის ყოველმხრივ განვითარებაზე სრულიადაც არაა აუცილებელი, მას ჰქონდეს სახელმწიფო ენის ოფიციალური სტატუსი. ოსურ ენაზე ზრუნვას, მისი ყოველმხრივ განვითარების აუცილებლობას არავინ უარყოფს. საქართველოში ყველა ენას შეექმნება საამისო პირობები, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ყველა სახელმწიფო

<sup>1</sup> გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 30 სექტემბერი, 1989.

ენად გამოვაცხადოთ!“<sup>1</sup> ერთობ რთული პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი ქვეულა სტატიის მიზნად, იგი კარგად აღწევს თავს რთულ ლაბირინთებს და ჟურნალისტური ოსტატობით ხდება ქართული ინტერესების სამართლიანი დაცვა. ავტორები აღშფოთებასა და გაცეცხას ვერ ფარავენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ბესარიონ ჯორბენაძის მიერ გამოთქმული მოსაზრების გამო, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ხელი უნდა შეეწყოს ოსური ენის, როგორც ოფიციალურის ფუნქციონირებას, რაც ქმნის საშიშროებას, რომ ასეთი პრეცედენტის დაშვება ანალოგიურ სურვილს დაბადებს საქართველოში მცხოვრებ სომხურ, აზერბაიჯანულ, რუს, ბერძენ, ასირიულ, ქურთ, ინგუშ და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის. ხოლო, თუ საკითხის ასე დასმა მოტივირებულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობით, ამასთან დაკავშირებით პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „ქართველი საზოგადოებრიობა დღემდე დელიკატურად თავს არიდებს ოლქის დაარსებასთან დაკავშირებულ გარემოებებზე მსჯელობას. მაგრამ „შუბის ხალთაში“ მალე, წყლულისათვის ნაცრის წაყრა არ ივარგებს. სიმართლის ჩქმალვით ხელეებს ვუხსნით ბნელ და პროვოკაციულ ძალებს. ხელეებს ვუხსნით ჩოჩიეებს, რომლებიც სიყაღბის, საკუთარი ერისა და საერთოდ საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის გზით ესწრაფვიან პირადი ამბიციური, ავი ზრახვების განხორციელებას. სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ოდითგანვე მრავალეროვან, ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების შემდეგ სხვადასხვა ერთა წარმომადგენლების მიმართ განხორციელდა დისპროპორციული პოლიტიკა: ოსებს შეექმნათ ავტონომიური ოლქი ორი ქართული პროვინციის სამაჩაბლოსა და ქსნის საერისთავოს ტერიტორიებზე“.<sup>1</sup> ასეთი გაბედული პოზიცია ქართული მოსახლეობის კმაყოფილებას იწვევდა, მაგრამ აღიზიანებდა ოსურ ნაწილს. თანამედროვე გადასახედიდან ჩანს, რომ მართლის თქმა ისტორიული სამართლიანობის დასამ-

<sup>1</sup> იქვე

<sup>2</sup> იქვე

ევიდრებლად მიზანშეწონილი იყო.

10 ოქტომბრის „ახალგაზრდა კომუნისტი“ აქვეყნებს ბესარიონ ჯორბენაძის „აუცილებელ განმარტებას“. ავტორი არ იზიარებს გია თასოევისა და თემურ მირიანაშვილის, მისი მისამართით გამოთქმულ, ბრალდებას და განმარტავს საკუთარ პოზიციას. მიაჩნია რა, რომ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ენის და ოფიციალური ენის ცნებებს, მისი აზრი – ოსური ენის, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ოფიციალური ენის სტატუსით დამკვიდრების შესახებ არ ნიშნავს მისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებას: „რაც შეეხება „ოფიციალურ ენას“, იგულისხმება შემდეგი: ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენის (ამ შემთხვევაში – ქართული ენის) ფუნქციონირებასთან ერთად აღმინისტრაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილია იმ ხალხის ენის გამოყენება და განვითარება, რომელიც სახელს აძლევს ავტონომიურ ოლქს. ამის საჭიროებას კი წერილის ავტორებიც აღნიშნავენ: „ოსურ ენაზე ზრუნვას, მისი ყოველმხრივი განვითარების აუცილებლობას არავინ უარყოფს“ „ყოველმხრივი განვითარების“ შესაძლებლობა კი თავისთავად გულისხმობს, რომ ენას ოფიციალური სტატუსი აქვს.“<sup>1</sup> ბესარიონ ჯორბენაძის მსჯელობა ჰარმონიაში მოდის ზემოთ დასახელებულ ავტორთა შეხედულებებთან წერილის იმ ნაწილშიც, სადაც გაკრიტიკებულია ოსური მხარის არაკორექტული მოსაზრებანი. მაგალითისთვის საინტერესოა ავტორის მიერ სამხრეთ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთერთმეტე სესიის 1989 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების მე-2 მუხლის ციტირება და მისი კომენტარი. ციტატაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის 75-ე მუხლს უნდა დაემატოს პუნქტი, სადაც დაფიქსირდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება. აღშფოთებული მეცნიერი განმარტავს, რომ ეს ნიშნავს ავტონომიური ოლქის მიერ თავის ტერიტორიაზე მოკავშირე რესპუბლიკის უფლებების შეზღუდვას, რომ

<sup>1</sup> გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, 10 ოქტომბერი.

არავითარი ანგარიში არ ეწევა იმას, თუ რა სტატუსი აქვს ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოსურ ენას. ასეთ ვითარებაში კი წარმოუდგენლად მიაჩნია მას ეროვნებათა შორის ურთიერთობების მოწესრიგება.

ბესარიონ ჯორბენაძის აზრით, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელთა მხრიდან რუსული ენის განსაკუთრებულ ფუნქციონირებაზე ყურადღების გამახვილება უცნაურ ხასიათს იძენს. მართლაც, პარადოქსულად გამოიყურება მაშინ, როცა ოსური ენის რეალური უფლებების გამოყენებაზე ქართველი მეცნიერები ფიქრობენ მათი ოსი კოლეგები რუსული ენის საყოველთაოდ დამკვიდრებაზე ზრუნავენ.

არაეთიკურ ფაქტად არის შეფასებული გ. მამითის ოსურ ჟურნალ „ფიდიუაგში“<sup>1</sup> გამოქვეყნებული მასალა, რომელშიც ქართული გვარის მქონე პიროვნებები ოსებად ცხადდებიან. ბესარიონ ჯორბენაძე მკითხველს გაოცებული უამბობს, რომ თურმე გ.მამითი ამტკიცებს ბარათაშვილის, თარხნიშვილის, თაყაიშვილის, სააკაძის და სხვა მრავალი გვარის ოსურ წარმომავლობას. ამ მოსაზრების ავტორს, ეტყობა, ზერელედაც არ გადაუთვალთვრებია ონომასტიკური სამეცნიერო ლიტერატურა, სადაც კარგა ხანია გარკვეულია გვარების წარმომავლობის საკითხი. განა პეტრიაშვილი გაქართველებულ რუსად უნდა ჩავთვალოთ იმის გამო, რომ რუსული გვარი პეტროვი არსებობს – წერს მეცნიერი. ოს მკვლევარებს არ უნდათ შეხსენება, რომ გვარი სახელისაგან ან მეტსახელისაგან იწარმოება, ამიტომ ბუნებრივია სხვადასხვა ენაში ერთი ძირის მქონე გვარების არსებობა. უმთავრესი, საკითხის ასე დასმისას, კი ის არის, რომ შეავსონ ის ვაკუუმი, რაც დიდი პრეტენზიების საფუძველად ვერ ესახებათ. ტყუილზე დამყარებული მეცნიერება, რომელიც ერს საკუთარ თავზე წარმოდგენას შეუქმნის უპერსპექტივოა, რაც დრომ ცხადყო: „საუჭვოა, ასეთ პიროვნებებს ჭეშმარიტი ეროვნული ტკივილი ალამპარაკებდეს და ამოქმედებდეს. ან რა ტკივილზე შეიძლება ლაპარაკი იმ დროს, როცა თავისას ივიწყებენ და სხვისას ეპოტინებიან? საერთოდ განწირულია ასეთი გზა, რადგან არ შეიძლება სხვა ერის სიძულვილზე აიგოს საკუთარი

<sup>1</sup> ჟურ. «Фидиуаг», 1989, №3.

ერის კეთილდღეობა. არა და, ხომ აშკარაა, რომ ახლა სიძულვილის მახვილი არის ჩვენსკენ მიმართული იმათგან, რომელთათვის ყოველთვის სიკეთე გვსურვებია და ახლაც გვსურს.<sup>1</sup> ფრთხილი, მაგრამ აუცილებელი კრიტიკა ოსი საზოგადოებრივი აზრის შემქმნელების მისამართით ტაქტიანად არიხ გამოთქმული.

მოსაზრებების შეჯამებისას ზომიერების გრძნობა არ ტოვებს მეცნიერს. იგი ცდილობს, რომ ქართველ და ოს მკითხველს დაანახოს მრავალი მოსაგვარებელი პრობლემა, რომელთა გადაჭრა გაცილებით მნიშვნელოვნად ესახება ვიდრე ურთიერთ დაპირისპირების ესკალაცია ასეთი უხამსი მეთოდებით. საკითხების გადასაწყვეტად ერთად მოქმედებისკენ მოუწოდებს ორი ერის წარმომადგენელთ და შეახსენებს, რომ უცხო ძალა მათ ვერ დაეხმარება, თუ თავისი სარგებელი არ იქნება. მესამე ძალის ნეგატიური როლის შესახებ გაფრთხილება, რომ უსაფუძველ არ იყო მოგვიანებით ცნობილი გახდა ორივე ხალხისთვის.

როგორც ჩანს, ვია თასოვეისა და თემურ მირიანაშვილის კრიტიკული განწყობილება ვერ შეარბილა ამ პასუხმა, რასაც 29 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია „მთავარია არსი“ ადასტურებს. მასში საუბარია ძირეულ მოსაზრებათა არსში შეუთანხმებლობაზე. „აუცილებელმა განმარტებამ“, მათი აზრით, მკითხველს შეიძლება შეუქმნას წარმოდგენა, თითქოს ორი ცნების „სახელმწიფო ენისა“ და „ოფიციალური ენის“ კონკრეტული მნიშვნელობის გამო დაობენ ავტორები: „არა და, ჩვენთვის აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა ცნება იქნება ნახმარი (შეენიშნავთ, რომ თუმცა ბ. ჯორბენაძე საკმაოდ ვრცლად მსჯელობს, მაინც ვერ უჩვენებს, რა არსებითი განსხვავებაა მის მიერ რადიკალურად გამიჯნულ ორ ცნებას შორის, ან ვინ და როდის დააკანონა ეს განსხვავება). ჩვენ არ ვიზიარებთ „ოფიციალური ენის“ ბ. ჯორბენაძისეულ გაგებას; არ ვეთანხმებით იმ აზრს, რომელიც პატივცემულმა მეცნიერმა პირველ სტატიაში გამოსთქვა და მეორეში უფრო დაუინებით გაიმეორა: „ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმ-

<sup>1</sup> გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989. 10 ოქტომბერი.

წიფო ენის (ამ შემთხვევაში – ქართული ენის) ფუნქციონირებასთან ერთად ადმინისტრაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილია იმ ხალხის ენის გამოყენება და განვითარება, რომელიც სახელს აძლევს ავტონომიურ ოლქს“. აი, სწორედ ამ საკითხში ვერ დავეთანხმებით ბ-ნ ბესარიონს და, კვლავ ვიმეორებთ, სრულიად არ გვაინტერესებს, როგორ განისაზღვრება ოსური ენის სტატუსი.“<sup>1</sup> ახალგაზრდა ავტორთა რადიკალური პოზიცია შექმნილ ვითარებაში ოსური პოზიციის ასეთივე განწყობის საფუძველზე წარმოიშვა და მომავალში სხვა ერის წარმომადგენელთა შესაძლო პრეტენზიის შიშის გამო. მაგრამ არსებული რეალობის გაცნობიერება მათ გარკვეულად ავაღრმავებულა და მკითხველის წინაშე მეტ ზომიერებას.

დელიკატური დუმილი აღარ ეგების, – აცხადებენ ისინი, მაგრამ სანაცვლოდ მხოლოდ მიშველ ემოციებს აფრქვევენ და ვერ ახერხებენ მიზანმიმართულ იდეოლოგიურ მუშაობას, თუმცა გამოთქვამენ სინანულს, რომ მოძმეთა შორის ტრაგიკული აჩრდილი ჩამოწვა და ამ მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯის გადადგმად თვლიან ოსისა და ქართველის ერთობლივ წერილს.

„Забастовки – результат наболевшего“ – ასეთი ხმაურიანი რუბრიკით იბეჭდება გაზეთ „Советская Осетия“-ში ვ. იკაევის ანალიტიკური ხასიათის ვრცელი სტატია „В защиту конституционных прав“. მასში წარმოდგენილია, სსრკ-ს მასშტაბით, მიმდინარე რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რამდენიმე მაგალითის საფუძველზე საერთო ვითარება. ე. წ. უძრაობის ხანის შემდგომ მოულოდნელად აგორებულმა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ტალღებმა შოკური მდგომარეობა გამოიწვია მოსახლეობაში, რაც სტატიის ავტორს კარგად აქვს გააზრებული. მისი აზრით, სწორედ ახლა უნდა მოხდეს დაგროვილი პრობლემების პოზიტიურად გადაჭრა. ის არ იშურებს ეურნალისტურ ხერხებს, რომ მკითხველი დაარწმუნოს, სოციალიზმის გადარჩენით შეძლებენ წინაპართა დიდი საქმის გადარჩენას.

<sup>1</sup> გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 29 ოქტომბერი, 1989.

საბჭოთა იდეის ერთგულებისთვის ზრუნვა ოსური მასშედიის მიერ, ტრადიციულად ქართული გავლენისაგან თავის დაცვის ინსტიტუტს გამოხატავს. ამდენად, ცხადია, რომ პუბლიკაცია ტენდენციურია და ის ცალმხრივად აშუქებს ოსური რადიკალური პოზიციის ინტერესებს. ვიდრე გაფიცუების შესახებ ინფორმაციას შესთავაზებს მკითხველს, ავტორი ასეთ მოსაზრებას ავითარებს: „В первую очередь мне хочется отметить, что несмотря на то, что забастовка длится уже более двух недель, она не получила должного внимания со стороны областных органов, выжидательную позицию заняли руководители республики и республиканские средства массовой информации. Более того, до сегодняшнего дня ни областная, ни республиканская печать ни словом не обмолвились об этих событиях. А между тем требования бастующих весьма актуальны. Они ставят их в рамках Конституции Грузинской ССР и Конституции СССР и решать их надо на основании этих документов.“<sup>1</sup> საოლქო კომიტეტის რუსულენოვანი ორგანოს ასეთი პოზიცია მიუთითებს, რომ მასზე ქუჩაში მიმდინარე მოვლენების გავლენა გაცილებით დიდია ვიდრე საოლქო ხელისუფლებისა, რომლის აზრსაც, წესით უნდა გამოხატავდეს. ამ მოსაზრებას ადასტურებს პუბლიკაციაში მონათხრობი. ამდენად, ის საინტერესოა პოლიტიკურ გავლენათა ახალი გადანაწილების წარმოჩენის თვალსაზრისითაც.

ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ მუშათა საგაფიცო კომიტეტის თავმჯდომარესთან ფელიქს ჯიოვეთან საუბარში უზრნალისტი შეულამაზებლად გადმოსცემს გაფიცულთა მოთხოვნებს, რაც ერთგვარი გამოხატულებაა ცხინვალის მოსახლეობის ოსური ნაწილის სურვილებისა. ფელიქს ჯიოვეის მოთხოვნით, ოლქის ტერიტორიაზე უნდა იყოს ერთი სახელმწიფო ენა – ოსური; ვროვნებათა შორის საურთიერთოდ და ოლქსა და რესპუბლიკას შორის ურთიერთობისთვის რუსული ენა უნდა იქნას გამოყენებული; ხოლო ქართული ენის ასპარეზი უნდა შემოიფარგლოს ქართველებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიით;

<sup>1</sup>Газ. „Советская Осетия“, 1989, 11 ноября.

სკოლებში მისი სწავლება ნებაყოფლობითი უნდა იყოს მუხუთე კლასიდან; ამ მოსახრებათასაფუძვლად გაფიცულებები ასახელებენ ტექნიკურ მიზეზებს, მაგრამ მკითხველისთვის მაშინვე ნათელი იყო გავლენის სფეროების გაფართოებისთვის გამართული დაუნდობელი დაპირისპირების მიხედობი. ამდენად, ბუნებრივია ვ. იკაევის აშკარა პროოსური პოზიცია, მაგრამ უმთავრესი საკითხი ის არის, რომ მოსახლეობისთვის ასეთი მიმართულებით კვერის დაკვრა „Советская Осетия“-ს ფურცლებიდან ხელს უწყობდა ქართულ-ოსური ურთიერთობის დაძაბვას, მაშინ როცა ქართული გაზეთები შემრიგებლურ პოზიციას ინარჩუნებდნენ (ოფიციალური ორგანოები).

ოსური მოსახლეობის გაფიცული ნაწილის მოსახრებათა დაწვრილებითი ციტრების შემდგომ ავტორს ასეთი წარმოდგენა ექმნება, რაშიც დაქინებით არწმუნებს მკითხველსაც: „Мне кажется, что все эти высказывания справедливы – политическая обстановка в области в настоящее время действительно очень тяжелая. Людей вконец взбодоражили ведущиеся вот уже второй год против осетинского народа нападки со стороны республиканской прессы, телевидения, радио, формальных и неформальных организаций, а также некоторые положения, содержащиеся в Программе грузинского языка и проекта Конституции Грузинской ССР, идущие вразрез с интересами осетинского языка, осетинского народа и автономии области. Заботится не только о своем будущем и будущем своих детей, но также о судьбе осетинского языка и осетинской культуры, всего осетинского народа. Они ищут помощи, ответов на вопросы, волнующие их, но не получают их, так как руководство или не слышит их, или не может помочь и вот тогда они решили сменить его“<sup>1</sup> პუბლიკაციის კატეგორიული ტონი მიუთითებს შეურიგებელ განწყობილებაზე, ქართული პრესის კრიტიკა, კი – ყოველგვარი მშვიდობისა და სტაბილიზაციისაკენ მოწოდების შემცველი მასალის იგნორირებაზე.

ცხინვალის საქალაქო საგაფიცვო კომიტეტის

<sup>1</sup> იქვე.

თავმჯდომარესთან მარდანოვთან საუბარში ჟურნალისტი არკვევს, რომ გაფიცვა გადაზრდილა საერთო სახალხო მოძრაობაში, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურები მაინც არ თანაუგრძნობენ მათ. ერთადერთი ორგანიზაცია, ვისი მადლიერიც გაფიცულები არიან, „ადამონ ნიხასია“, რის გამოც თურმე მის ლიდერებს პროკურატურა დევნის. ვ. იკავი ვწვია ოლქის პროკურორს კოჩიევს. მასთან საუბრისას კი, როგორც მკითხველს არწმუნებს, ვერ მიიღო დამაჯერებელი არგუმენტები სახალხო მოძრაობის ლიდერთა წინააღმდეგ. ასეთი განწყობის შექმნით ჟურნალისტი სრულად გამოხატავს ოსური მოსახლეობის რადიკალურად განწყობილი ნაწილის ინტერესებს და ამით ანტიქართული პოზიციის განვითარებას უწყობს ხელს. ავტორი დასკვნით ნაწილში კიდევ ერთგზის ხაზს უსვამს, რომ გაფიცულთა მოთხოვნები სამართლიანია და მათი სასწრაფოდ გადაჭრა აუცილებელიაო.

რუბრიკით – სამხრეთ ოსეთი – 1989 წლის 15 ნოემბრის გაზეთი „კომუნისტი“ გვთავაზობს რეპორტაჟს ცხინვალიდან, ერთობ მრავლის მეტყველი სათაურით – „სათავეები და სადავეები... ანუ ვის როგორ ესმის გარდაქმნა“. გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ალექო ასლანიშვილი ამბის გადმოცემამდე შთამბეჭდავ კონტურებს ხატავს: „ცხინვალის შესასველშივე შემოგვხვდა ავბედითი მაცნე – ჯავშანტრანსპორტიორი...“ მოკლედ მიმოიხილავს ოლქის ტერიტორიაზე არსებულ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას; რომლის საბაზად ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას ასახელებს. ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი რესპონდენტები; პირველი „ადამონ ნიხასის“ (სახალხო კრების) ხისტარი (თავმჯდომარე) – ცხინვალის სახ. პედინსტიტუტის ისტორიის კათედრის დოცენტი ალან ჩოჩიევია. მასთან სამ საათიანი საუბარი რეპორტაჟში საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი.

რეპორტაჟში ჟურნალისტური ოსტატობით არის გაშუქებული ალან ჩოჩიევისა და მისი „ნიხასის“ მისწრაფებებში დომინირებული დებულებები, რაც მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის ცხინვალში მომძლავრებულ

ახალ პოლიტიკურ ძალაზე; ... არავითარი საფუძველი არა გვაქვს განვიცდიდეთ „სტუმრის“ სინდრომს; ოლქის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენა ოსური უნდა იყოს, საჭიროა ქართული და რუსული ენების ცოდნაც; უნდა გადრმავდეს ორ ოსეთს შორის კავშირი; ოსები აღიარებენ ქართველებთან ისტორიულ კეთილ განწყობილებას და მზად არიან თანასწორ პირობებში თანამშრომლობისთვის; ამ და სხვა სურვილების წარმოჩენის შეჯამება ავტორს, „კომუნისტის“ კორესპონდენტისთვის ჩვეულ, ფაქტების შელამაზების სურვილს უკარგავს და დაასკვნის: „ეს საუბარი, როგორც ხედავთ, ძირითადად „თეორიულ“ ასპექტში მიმდინარეობდა, რომლის დროსაც ჩვენი ყოველგვარი არგუმენტი ა. ჩოჩიევის მიერ უარყოფილი ან, ასე ვთქვათ, სოფისტური მსჯელობის რელსებზე იქნა გადაყვანილი და რომელსაც „უმადლესი იდეალი – საყოველთაო თანასწორუფლებიანობა და დემოკრატია“ ედგა შარავანდედად.“<sup>1</sup> ასეთი იდეოლოგიით ოსური მოსახლეობის გაუთვითცნობიერებელი ნაწილის შეცდომაში შეყვანა ხდებოდა.

რეპორტაჟის ავტორს მიზნად დაუსახავს ჩოჩიევის რადიკალიზმის გამოკვეთა ოსური მოსახლეობის სხვა წარმომადგენელთა შეხედულებათა ჩვენებით, მაგრამ ისინი თანამდებობის პირები არიან და მათი შეხედულებანი არა საკუთარი მრწამსის, არამედ კონიუნქტურის პოზიციის დემონსტრაციაა. ოლქის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ა. კოჩიევი ინტერვიუში გმობს რადიკალურ ოსურ გამოსხდომებს და მოვლენებს კანონთან შესაბამისობაში განიხილავს, თუმც ოსური ენის მომავლის ერთგვარ „საფრთხეს“ ისიც ხედავს: „აზრი იმის შესახებ, რომ ოსური ენა შეიძლება შეავიწროოს ქართულმა და რუსულმა ენებმა, უსაფუძველო არ არის, მაგრამ განა ეს ვითარება არ უნდა იქცეს დამატებით სტიმულად, რომ პრაქტიკულად განვახორციელოთ ოსური ენის პროგრამის ყველა მოთხოვნა, დავეუფლოთ მშობლიურ ენას და არ დაეუპირისპიროთ იმავე ქართულ ენას, რომელსაც ფუნქციონირების უფლება, თურმე მხოლოდ ქართული მოსახლეობის კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ენიჭება. რესპუბლიკის

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1989, 15 ნოემბერი.

ძირითადი მოსახლეობის ენისადმი ასეთი „დათმობა“ ჩვენს ოლქში აპოლიტიკურია, იურიდიულად ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ კონსტიტუციას და ამიტომ თვით საკითხის ამგვარად დასმა მცდარია.“<sup>1</sup>

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. მარგიევი თვლის, რომ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა არ ლახავს ოსური ენის სამართლებრივ სტატუსს. იგი არ მაღავეს, რომ მისი ასეთი პოზიცია ბევრ ოსი ეროვნების მოქალაქეს აღიზიანებს. მათ შეახსენებს, რომ საჭიროა შეკავშირება და პრობლემების ერთიანი ძალებით გადაჭრა. აქცენტს აკეთებს შერეულ ქორწინებებზე, ნათესაურ და ნათლი-მირონის ძალით გამყარებულ ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე. ამიტომ მისთვის გაუგებარი და მიუღებელია მიტინგებზე გაუფრებელი ლოზუნგი: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია.“

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ჩეხოვეი „კომუნისტის“ კორესპონდენტს აიმედებს სტაბილურობის ტენდენციის არსებობაში, რაც მოსახლეობასთან აქტიური სააგიტაციო მუშაობის დამსახურებად მიაჩნია. ამ აზრს აგრძელებს შსს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსი გ. შალამბერიძე. მისი აზრით, მილიციის გაძლიერებული დანაყოფები ცხინვალში ვითარების ნორმალიზაციის პირობაა, იგი იმედოვნებს, რომ აქ ცხოვრება კალაპოტში ჩადგება.

„უკან დაბრუნებისას ცხინვალის გამოსასვლელთან კვლავ მოგკარი თვალი ჯავშანტრანსპორტიორს. მაგრამ მას უკვე აღარ გამოუწვევია შეშფოთების ისეთი გრძნობა, როგორიც წინადღით თბილისიდან მომავალს დამეუფლა. სამხრეთ ოსეთში ცა იწმინდება...“ – ასეთია ალექო ასლანიშვილის თვალით დანახული პრობლემა და მისი რეზიუმე, რომლის დანიშნულება მკითხველში სტაბილიზაციის იმედის გაღვივებაა, ვიდრე ობიექტური რეალობის ზუსტი ჩვენება; კორესპონდენტის წრფელი სურვილია – ხელი შეუწყოს ვითარების ნორმალიზაციას, მაგრამ ასეთი მიდგომა, როგორც შემდგომ გამოირკვა, ხსნა არ იყო.

გაზ. „თბილისის“ 1989 წლის 14 ნოემბრის მოწინავე

<sup>1</sup> იქვე.

წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემდგარ სხდომას აშუქებს.

12 ნოემბერს გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა მიემდგვნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილ რთულ ვითარებას. ბიუროს დადგენილების მიმოხილვა იწყება ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი რთული ვითარების აღწერით. დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება მკითხველისთვის მკაფიო ხდება ზუსტი ინფორმაციის მიღებით: „თვენახევრის მანძილზე არ მუშაობდნენ სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობის კოლექტივები, ქალაქ ცხინვალში განუწყვეტლივ იმართებოდა უსანქციო მიტინგები, მანიფესტაციები, პოლიტიკური ხასიათის სხვა საპროტესტო აქციები.“<sup>1</sup> ასეთი ფაქტები ამაგრებს სტატიის თავში გაცხადებულ შემაშფოთებელ პროგნოზს, რომ სერიოზული ნეგატიური შედეგებია მოსალოდნელი.

მოწინავე წერილში დაწვრილებით გრძელდება ვითარების არგუმენტაცია – მომიტინგეთა ძირითადი მოთხოვნები ოლქის ხელმძღვანელობის გადადგომა, ოლქის სტატუსის შეცვლა, სახელმწიფო ენად ოსური ენის გამოცხადება, სსრკ უმაღლესი საბჭოს კომისიის ჩამოსვლაა. ამ და სხვა დაუსაბუთებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ორგანიზატორები იყენებენ ხელმძღვანელობაზე ზეგავლენის მეთოდებს; მკითხველისთვის სრული სურათის შექმნის საშუალებას იძლევა აღნიშნული მეთოდების აღწერა, რომელიც აშუქებს ცხინვალში შექმნილ მძიმე ატმოსფეროს და მომიტინგეთა ფსიქოლოგიურ განწყობასაც ასახავს: „აბრკოლებდნენ მისი ხელმძღვანელი ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას და შენობების ბლოკირებასაც კი მიმართავდნენ, ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ პარტიის საოლქო კომიტეტის წევრებზე, საოლქო საბჭოს დეპუტატებზე, რათა გამოცხადების წესით მოწყობილიყო პლენუმი და სესია შესაბამის გადაწყვეტილებათა მისაღებად.“<sup>2</sup> მოვლენათა კულმინაციად 10 ნოემბერია დასახელებული, როდესაც სესიის მოწყობის

<sup>1</sup> გაზ. „თბილისი“, 1989, 14 ნოემბერი.

<sup>2</sup> იქვე

გადატანის შესახებ საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებების მიუხედავად, ცხინვალში შეიკრიბნენ საოლქო საბჭოს დეპუტატთა ნაწილი, არაფორმალურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები და უმართებულოდ მოითხოვეს ოლქის სახელმწიფო ენის საკითხის გადაწყვეტა; ასევე, თხოვნით მიმართეს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, რომ განიხილოს ავტონომიურ რესპუბლიკად ავტონომიური ოლქის გარდაქმნის საკითხი. თითქმის შეუღამაზებელი ინფორმაცია (კომპარტიის ორგანოებისთვის ეს ჩვეულებრივი მეთოდი იყო) მკითხველს განაწყობს დესტაბილიზაციის ორგანიზატორთა წინააღმდეგ. ამდენად, იგი იმ ცვლილებების გასაცნობად, რომელიც ხელისუფლებამ ვითარების ნორმალიზაციისათვის უნდა გაატაროს, მზად არის; მაგრამ გაზეთი კვლავ განაგრძობს აქამდე გატარებულ ღონისძიებათა ჩამოთვლას, რომელთაც რეალური შედეგი ვერ მოყვა, რაც ბადებს დაეჭვების საფუძველს, რომ შესაძლებელია იმ ღონისძიებებსაც არ ქონდეთ სერიოზული ეფექტი, რომელსაც მთავრობა ამჯერად ახორციელებს. ბიუროს პოზიცია ასე ჩამოყალიბდა: „შექმნილ პირობებში პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, საოლქო საბჭოს აღმასკომი ყოველთვის ვერ მოქმედებდნენ მტკიცედ და თანმიმდევრულად, ვერ იყენებდნენ ადამიანებზე, მათ გონება-განწყობილებებზე ზემოქმედების საჭირო საშუალებებსა და ბერკეტებს, ვერ დარაზმეს პარტიული აქტივი, დეპუტატები, კომუნისტური აქტიური ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის, საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან ჯანსაღი, კონსტრუქციული დიალოგისათვის, ვერ გამოიჩინეს საჭირო სიმტკიცე, პრინციპულობა და მებრძოლობა.“<sup>1</sup> კომუნისტური იდეოლოგიური მანქანისათვის დამახასიათებელი ეს ბანალური განცხადება ნათელს ხდის, რომ ცკ-ას ისღა დარჩენია, რომ გაათავისუფლოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ანატოლი ჩეხოვეი, მაგრამ ეს ცვლილება ხელს შეუწყობს თუ არა მოვლენათა დარეგულირებას, მკითხველისთვის საეჭვოდ რჩება. რამდენადაც, წინამდებარე წერილი ხელისუფლების ოფიციალური განცხადების ფუნქციასაც ასრულებს, გასაგებია, რომ

<sup>1</sup> იქვე.

სტატია მოერიდა დაძაბული ვითარების ძირითადი მიზეზის — სეპარატისტული ძალების გააქტიურების ჩვენებას. მოვლენებისთვის ზუსტი სახელის ვერ დარქმევა მოძველებული პროპაგანდისტული მეთოდების „დამსახურებაა“. ასეთ ფონზე უდღეურად გამოიყურება ცკ-ას გადაწყვეტილება — ამომწურავ ღონისძიებათა გატარების დავალება პარტიის ს/ო საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის მერაბ გოხელაშვილისთვისა და საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ანატოლი კაჩმაზოვისათვის.

გაზეთ თბილისის მეშვეობით ხელისუფლება მოქალაქეებს არწმუნებს, რომ შესაბამისი დავალებანი მიეცათ რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს ს/ო-ში მომხდარი არამართლზომიერი აქციების ორგანიზატორებისა და მონაწილეობის პასუხისმგებლობის, სათანადო საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უსაფრთხოებისთვის უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნის მისაღწევად — მთავრობა ხალხს მაქსიმალურ მცდელობას პირდება.

მართალია, ჯერ ქართულ-ოსური ურთიერთობა არ ჰქვია ოფიციალურად ამ პროცესებს, მაგრამ ოფიციალური ორგანოს „ენა“ მისი მკითხველისთვის დიდ გამოცანას აღარ წარმოადგენს. საქართველოს ცკ-ას პირველი მდივნის გივი გუმბარიძის ვიზიტი ცხინვალში, 13 ნოემბერს, უკვე გართულებული სენის მკურნალობის, უილაჯო ცდაა. თუმც, გაზ. „თბილისი“ დამაჯერებლად მოუთხრობს მკითხველს, თუ როგორ დაჰპირდა ვითარების ნორმალიზაციას, იქ შემდგარ თათბირზე, მერაბ გოხელაშვილი პარტიულ „ბოსებს“:

მართალია, გამოცდილი პროპაგანდისტული მანქანის გამოცდილი იდეოლოგიები ცდილობენ დაარწმუნონ მოქალაქეები დაძაბულობის თავიდან აცილების შესაძლებლობაში, მაგრამ როგორც მალე გაირკვა, მოვლენები დაგეგმილი კალაპოტით მიედინებოდა და ასეთი თათბირები კი არა — გლობალური ანალიზი თუ დაუპირისპირდებოდა. მკითხველის ასეთი იდეოლოგიური დამუშავებით კი შედეგად ქართულ-ოსური კონფლიქტის ესკალაცია მივიდეთ. ოპერატიულ-საინფორმაციო ჟანრის საინტერესო

ბიძეებს ვეცნობით ცენტრალურ რუსულ გაზეთში. რეპორტაჟის ენობრივი პარამეტრების შესახებ ლ. კროიჩიკო წერს: „Важнейшие требования, предъявляемые к информационному сообщению есть – оперативность, релевантность (соответствие интересам аудитории), фактическая точность, декордируемость (понятность для аудитории сути сообщения), очищенность сущностной информации от «шумов», краткость информации.“<sup>1</sup> ცხინვალში მიმდინარე რთული პროცესები, მოკლე ინფორმაციული ხასიათის რეპორტაჟების სახით, მაგრამ მიზანმიმართული კომენტარებით, შექცევა გაზეთ „Известия“-ში. აღსანიშნავია, 1989 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამოქვეყნებული რამდენიმე მასალა. რუბრიკით „Южная Осетия“ 29 ნოემბრის ნომერში ვკითხულობთ, თანამედროვე გადასახედიდან, ერთობ დამაფიქრებელი სათაურით - „Дни тревог и надежд“ - წერილს, რომელიც მკითხველს აუწყებს, რომ აგერ უკვე ორი თვეა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები მიმდინარეობს. გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ვლადიმერ არსენევი ჯერ სექტემბერში საკუთარი თვალთ ნანახის შესახებ შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებს უზიარებს მკითხველს. აღწერს თეატრალურ მოედანზე განვითარებულ მოვლენებს, კერძოდ, ოსური ენის სტატუსის შესახებ გამართულ მღელვარე მიტინგს. მიუხედავად იმისა, რომ სექტემბერში მიღებულ იქნა ოსური ენის განვითარების პროგრამა, მოსახლეობის ოსური ნაწილი ამან არ დააკმაყოფილა და ისინი ამჯერად ოლქის სტატუსის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსამდე გაფართოების შესახებ მსჯელობენ. ვლადიმერ არსენევი შენიშნავს, რომ ეს მოხდა სექტემბრის შუა რიცხვებში, როდესაც გამოქვეყნდა საქართველოს სსრ-ს კონსტიტუციის ახალი პროექტი. „Когда я на прошлой неделе приехал в Цхинвали требование о смене руководства – было самым актуальным, хотя не все с ним соглашались, полагая, что здесь не дело, а эмоции, руководство области не отстает от положений платформы КПСС по национальной политике партии, делает всевозможное для нормализа-

<sup>1</sup> Л. Е. Кройчик. Система журналистских жанров. Основы творческой деятельности журналиста, учеб. (Ред.-сост. С.Г. Корконосенко). СПб., 2000, стр. 139.

цин обстановки.“<sup>1</sup> თუმც, იქვე დასძენს: Но результата нет - უიმედო მდგომარეობის დასტურად კორესპონდენციაში მოხმობილია, როგორც ოსური სახალხო ფრონტის „აღამონ ნიხასის“ პოზიცია, ასევე ქართული სახალხო მოძრაობის წარმომადგენელთა შეხედულებანი. რაზე ცხარობენ ოსები? დასძულ რიტორიკულ კითხვაზე ავტორი იქვე იძლევა განმარტებას, რომ ოლქის მოსახლეობის ოსური ნაწილი ვერ დაეთანხმება ქართულ პოზიციას სსრკ-დან საქართველოს გახვლის და ოლქის, როგორც ხელოვნურად 1921 წელს ბოლშევიკების მიერ შეთითხნილი წარმონაქმნის, გაუქმების შესახებ. ასეთი კუთხით გაშუქებული ინფორმაცია ბუნებრივია, ანტიქართულად განაწყოებს „Известия“-ს მრავალრიცხოვან მკითხველს, რომელთა დიდ ნაწილს სსრკ-ს გარდაუვალი დაშლა საშინლად აღიზიანებს და მზად არის მხარდაჭერა გაუწიოს ამ პროცესის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ აქციას, თუნდაც ისტორიულ სამართლიანობას ეწინააღმდეგებოდეს იგი. ელადიმერ არსენევი ვითარების შეჯამებისას კიდევ ერთგზის ხაზს უსვამს დაპირისპირების ხიმაფრეს და სტაბილიზაციით ნაკლებად აიმედებს მკითხველს.

იგივე ავტორი 1 დეკემბრის გაზეთში აქვეყნებს მოკლე ინფორმაციას. როგორც სათაური „Неспокойные будни Цхинвали“, ასევე შინაარსი დაძაბულობის განვითარებაზე მოუთხრობს მკითხველს: „Наш корреспондент созванивался с Цхинвали. Тбилиси говорил с пресс-центром МВД СССР. Сведения самые противоречивые. 30 ноября в больницах Цхинвали находилось 18 раненых. Эту подробность мы получили в облздраве. По другому телефону, Тбилисскому, от журналистов, только что вернувшихся из Юго-Осетии, услышали, что ситуация внешне выглядит нормальной, столкновений между грузинской и осетинской частями населения нет.“<sup>2</sup> ეს ინფორმაცია სიმართლეს, რომ შეეფერებოდეს, მაინც ცხადია მისი ასეთი კონტრასტით ჩვენების მიზანი - გაადვივოს საქართველოს ორგველი უნდობლობის განწყობა. მაგრამ რატომ მიაწოდებდა ქართველი ჟურნალისტი არასწორ ინფორმაციას რუსულ

<sup>1</sup> გაз. «Известия». 1989. 29 ноября.

პრესას - გაუგებარია. ბოლოს ავტორი ოსური მხრიდან შემოსული მასალის სანდოობის განსამტკიცებლად შენიშნავს, რომ ცხინვალში მეტად საგანგაშო მდგომარეობაა, რაც უთუოდ ხიბართლეა, მაგრამ მის დამძლევაში ქართული მასშედიის დადანაშაულება ამძაფრებს საქართველოს ორგელივ შექმნილ ისედაც მიძმე ფონს.

2 დეკემბრის „Известия“ გეოაგაზობს ТАСС-ის კორესპონდენტის შეკითხვაზე, შეეყვანილი იქნება თუ არ ცხინვალში დიდი რაოდენობით შინაგანი ჯარის ნაწილები, სსრკ-ს შსს შინაგანი ჯარების შტაბის უფროხის მოადგილის ბ. ბორუკაევის პასუხს. იგი საუბრობს შინაგანი ჯარების დამსახურებაზე 23 ნოემბრის მოვლენების დროს ქართულ-ოსური შეტაკებების აღკვეთის საქმეში. მკითხველს ამცნობს, რომ ჯარის ნაწილების დიდმა რაოდენობამ დატოვა ოლქის ტერიტორია, მაგრამ საგანგებოდ აღნიშნავს: „Обстановка в регионе по-прежнему остается напряженной и взрывоопасной. И решение о выводе войск вызвало неудовлетворение жителей Цхинвали, которые просят обеспечить их безопасность. Есть случаи перестрелок, имеются раненые.“<sup>1</sup> აქვე ბორუკაევი აგრძელებს მისი ჯარის დეაქტივაციაზე საუბარს, თუ როგორ იქნა ამოღებული ათეულობით ცეცხლსასროლი იარაღი, თუ როგორ აქვთ გასივრძელებული დაკისრებული მოვალეობა. ასე ქმნის „Известия“ ჯარის ნაწილების ოლქის ტერიტორიაზე დარჩენის აუცილებლობის შესახებ საზოგადოებრივ აზრს. ნებისთ თუ უნებლიედ ეს გახდა ხელის შემწეობი, რომ მშვიდობის მყოფელის მანგია მთირგო ოსური ხეპარატივის უმთავრესმა დასაყრდენმა - რუსულმა შინაგანმა ჯარმა.

რეპორტაჟის ტიპური ნიშნულია გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ხოსო ბაღაშვილის მასალა „სურვილი ერთია: აღდგეს მშვიდობა!“ სათაურში ნათლად არის გაცხადებული მიზანი - ხელი შეუწყოს დამაბუღლობის განეიტრადებას, რომელიც, როგორც კარგად აღწერილი ხურათებიდან ჩანს, საქმოდ კონცენტრირებულია. როგორც მასალაშია მოთხრობილი, უკვე ორი კვირაა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში აგორებული მღელვარების

<sup>1</sup> газ. «Известия». 1989, 2 декабря.

ტალღა არ დამცხრალა (რეპორტაჟი მომზადებულია 5 დეკემბერს): 23 ნოემბრიდან მოყოლებული, უშუალოდ ქალაქსა და სოფლებში კვლავ გაისმის სროლის ხმა, ტრასა და სოფლებთან დამაკავშირებელი გზები პიკეტირებულია. ქალაქში მიმავალ თუ იქიდან მომავალ მანქანებს, ადამიანებს მკაცრად აკონტროლებენ როგორც ოსი, ისე ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საგანგებოდ შექმნილი შტაბის წევრები.

სასხვათაშორისოდ აღნიშნულია, რომ მილიციის საპატრულო მანქანებისთვის ჰირს საწვავი, რაც მკითხველს შეახსენებს, რომ პოლიტიკურ კრიზისს თან ერთვის ეკონომიკური პრობლემებიც. სხარტი სურათების შექმნით არის აღწერილი გაუკაცრიელებული ცხინვალის-გორის მაგისტრალი, ერთ-ერთი ხოფლის გადასახვევთან მოპიკეტეები შემთხვევით გამვლელ სატვირთო მანქანას ამოწმებენ. ცხინვალის შესასვლელი გაუცხოებულა. თავად ქალაქი დაღუპებულა, მოულოდნელის მოლოდინში. საოლქო კომიტეტის შენობის წინ გამოკრული ტრანსპარანტის ტექსტის კონსტატაციით, იკვეთება არსებული დაძაბულობის შტრიხები: „მოვითხოვთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმის მოწვევას და პირველი მდივნის არჩევას.“ აქვე შეკრებილი მოსახლეობის წარმომადგენლები იმედით შესყურებენ ოსი ხალხის მოწვევით ნამოსულ ფრუნჩუხს სახელობის სამხედრო აკადემიის კათედრის გამგეის გენერალ-მაიორ კიმ ცაგოლოვს. იგი შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს, რესპუბლიკის საზოგადოებრივ მოძრაობათა ხელმძღვანელებს, დიალოგი გამართა ცხინვალის საზოგადოებრიობასთან, „აღამონ ნიხასის“ ლიდერებთან, საგაფიცვო კომიტეტთან, ავტონომიური ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

მკითხველისთვის შექმნილი ვითარება, რეპორტაჟის მიხედვით, ნათლად აღსაქმელია. კიმ ცაგოლოვთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მას სურს წამყვანი როლი ითამაშოს ურთიერთობების ნორმალისაციაში; იგი კმაყოფილი შენიშნავს, რომ ბევრმა საწარმომ დაიწყო

მუშაობა, თუმცა თვლის, რომ გასაკეთებელი ჯერ ბევრია, მათ შორის საჭიროა „ადამონ ნიხასის“ რეორგანიზაცია, რათა იგი გამოვიდეს ვიწრო ნაციონალური ჩარჩოებიდან, ჩამოყალიბდეს ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციად, რომელიც დაამყარებს კავშირს რესპუბლიკისა თუ საკავშირო საზოგადოებრივ მოძრაობებთან, მის მოღვაწეობაში კი პრიორიტეტული უნდა იყოს სოციალური საკითხები.

კორესპონდენტი ხაზს უსვამს კიმ ცაგოლოვის პოზიტიურ მოწოდებას – შეწყდეს ანტიქართული გამოსვლები, ხოლო დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად გამოყენებული იქნას მხოლოდ დიალოგის მეთოდი. ქართულ პრესაში თდიოზურ სახედ ჩამოყალიბებული აღან ჩოჩიევის სახე ამ რეპორტაჟშიც გვხვდება: „ადამონ ნიხასის“ გარდასახვის ცაგოლოვისეულ მოსაზრებას დაეთანხმა მისი ერთ-ერთი ლიდერი ა. ჩოჩიევი, რომელმაც სხვათა შორის, განაცხადა, რომ იგი აპირებს დატოვოს პოლიტიკური ასპარეზი, თუმცა ამის მიზეზი მან არ ახსნა.“<sup>1</sup> აქვე ავტორი ერთგვარი გადახვევის სახით აღნიშნავს, რომ რედაქციაში არ წყდება წერილების ნაკადი, რომელთა ავტორები, ოსი ეროვნების წარმომადგენლები, აღშფოთებას არ მაღავენ აღან ჩოჩიევის მიმართ. აღნიშნულის დასტურად ავტორი ციტირებას ახდენს ჩოჩიევის მოგვარის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლ. დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომლის კლარა ჩოჩიევას წერილისა, სადაც ვკითხულობთ: „...დარწმუნებული ვიყავი, რომ ვიღაც სხვა ამოეფარა ამ გვარს, კარგად და კარგი საქმეებით რომ იცნობდნენ საქართველოში მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, სამხედროები, ექიმები, მასწავლებლები და ა.შ. ამოეფარა გვარს, თავისი წარმოშობის ლეგენდითაც და არა ერთი თაობის ოჯახთა ნათესაური კავშირითაც ღრმად რომ აქვს გადგმული ფესვი საქართველოში, ქართველებს შორის. გვართ, სიყვარულით, პატიოსნებითა და კეთილშობილებით რომ შეესისხლხორცა ერთ-ერთ უძველეს და უშესანიშნავეს ერს. სწორედ ამიტომაც არ

<sup>1</sup>გაზ. „კომუნისტი“, 1989, 7 დეკემბერი.

მეჯერებოდა და ვერ წარმომედგინა, რომ ჩოჩიევი, სხვა რომ არა ვთქვათ რა, განათლებით ისტორიკოსია, ჩამოაგდებდა და ჩაახვევდა ასეთ შუღლს, ასეთ მტრულ დამოკიდებულებას მიწა-წყლისადმი, რომელზეც იგი ცხოვრობს, ერისადმი, რომელთანაც მის საკუთარ გვარტომსა და ხალხს მშობისა და ნათესაობის საუკუნეობრივი კავშირი აახლოებს. გვარი – გვარად, მაგრამ ნათქვამია, თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობათ.“<sup>1</sup> ქურნალისტური ოსტატობით გამოყენებული ეს ჩანართი აძლიერებს ავტორის მიზანმიმართულ აგიტაციას უბედურების მიზეზთა მოძიების და მათი დაგმობის თვალსაზრისით.

საოლქო კომიტეტიდან მომზადებული მასალის პარალელურად კორუპციონდენტი მკითხველს სთავაზობს ოპერატიულ ინფორმაციას მილიციის სამმართველოდანაც, სადაც იგი ესაუბრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს რომან გვენცაძეს, რომელიც ცდილობს იმედის თვალთ შეხედოს უკანასკნელ ხანს განვითარებულ პროცესებს, მიაჩნია, რომ ვითარება ნელ-ნელა კალაპოტში დგება, ამასთან ბოლო დღეებში შეტაკებები არ მომხდარა. მიმდინარეობს შეხვედრები, ურთიერთ შეთანხმებანი ქართველი და ოსი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს შორის. გადაწყდა პიკეტების მოხსნა. მკითხველი ობიექტურ მონაცემებს ეცნობა: კონფლიქტების დროს დაიჭრა 40-ზე მეტი ადამიანი, აქედან უმრავლესობა ოსები არიან, აღძრულია 23 სისხლის სამართლის საქმე იმათ მიმართ, ვინც ამ დღეების მანძილზე ჩაიღინა სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი ქმედება. დაძაბულობის დღეებში ავტონომიური ოლქი 1000-მდე ოსმა დატოვა. დღეისათვის 36 საწარმოდან მუშაობს – 30. ჭირს სურსათ-სანოვაგე. ამ და სხვა საინტერესო ინფორმაციით ავტორი მკაფიო წარმოდგენას უქმნის მკითხველს ცხინვალში 5 დეკემბრისთვის არსებულ მდგომარეობაზე.

დასკვნით ნაწილში მოვლენების შეჯამება მხატვრული ფორმების გამოყენებით ხდება: „... გვიან დამე იყო, როცა სამმართველოდან გამოვედით. ის-ის იყო თოვა

<sup>1</sup> იქვე

დაეწყო და ცხინვალის ქუჩები თეთრად გადაეპენტა. საოლქო კომიტეტის წინ შეკრებილი ხალხი ჯერაც არ დაშლილიყო, ეტყობოდა, ცოტა ხნის წინ დამთავრებულ კრებას აანალიზებდნენ, მსჯელობდნენ.<sup>1</sup> რეპორტაჟის დასასრულს ავტორი ცდილობს ოპტიმისტური ნოტის მოძებნას, ამ თვალსაზრისით, ცხინვალისკენ მიმავალი სურსათით დატვირთული სატვირთო ავტომანქანების კოლონის მსვლელობას აღწერს, რომელთა გამგზავნი ქართველები არიან. ასეთი ფაქტების გახსენება დღესაც კი კეთილშობილი მისიის მატარებელია.

იმ დროისათვის კი ადგილობრივი საოლქო გაზეთი დაუჩინებულ აგიტაციას ეწევა ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რუბრიკით — „გთხოვთ მომცეთ სიტყვა“, ოლქის მოწინავე ოსი ეროვნების მასწავლებელთა ხელმოწერით მასალები „დროა გონს მოეგონ“, „სიფრთხილე გვმართებს, თანამემამულენო“, შრომის ვეტერანის ბაგრატ თევზაძის წერილი „წყარო სათავიდან დაეწმინდოთ“ და ცხინვალში ცნობილი ექიმის, რეპროდუქტოლოგიის კაბინეტის გამგის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის გივი ჩარექიშვილის მოწოდების მატარებელი სტატია „გავიხსენოთ წინაპრების სიბრძნე“.

აგიტაციის დიდი დოზით არის გაჯერებული ოსური კულტურის საზოგადოება „ფარნის“ თავმჯდომარის პროფესორ კიმ ცაგოლოვის მოწოდება, რომელიც გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ დაიბეჭდა სათაურით „მეგობრობა გამოცდას გაუძლებს“. მასში ვკითხულობთ: „მეირფასო თანამემამულენო! ოსო და ქართველო ძმებო და დებო! ჩვენი ხალხებისთვის ამ ძნელებდობის უამს, ჩვენ აქ ვართ, თქვენთან — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მაგომედ ისაევი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ანატოლი ფლიევი და მე ჩამოვედით ერთი მიზნით — დაგეხმაროთ რესპუბლიკის, ოლქის მიერ მიღებულ დონისძიებებში შექმნილი დაძაბულობის მოხსნისათვის. ვამაყობთ ჩვენი ოსი ხალხით, რომ მან მძიმე გამოცდის უამს გამოიჩინა მამაცობა, თავდაჭერილობა, შეინარჩუნა

<sup>1</sup> იქვე.

გონიერება.<sup>1</sup> ამავე დროს, მიმართვის ავტორი მოსახლეობას შეახსენებს, რომ ოლქში განვითარებულ მოვლენებს ყურადღებით ადევნებს თვალს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მათი თანამემამულენი. ქმნის რა ასეთ ფონს, აგი აგრძელებს შეგონებას: ძალა მას კი არა აქვს, ვინც ხანჯალს იღებს ხელში, არამედ მას, ვინც შეინარჩუნებს გონიერებას, ხანჯალს არ გაეკარება. უშუალოდ ოსურ მხარეს შეახსენებს ქართველებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნების მამა-პაპათა ტრადიციას. ისინი საუკუნეობით ქმნიდნენ და ინარჩუნებდნენ ძმობას. ამის დღევანდელ განსახიერებად იგი კონკრეტულ მაგალითად ასახელებს თანამშრომლობას ქართველ მეცნიერებთან, კერძოდ, პროფესორებთან ზურაბ ფორაქიშვილთან, მამია დარჩიასთან.

მიმდინარე პროცესების პოზიტიური მიმართულებით წარმართვისათვის გადადგმული ნაბიჯების შესახებ მკითხველს მოახსენებს საქართველოს ცკ-ას პირველ მდივანთან გივი გუმბარიძესთან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნოდარ ჭითანავასთან, არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერებთან საუბრების შესახებ. ამ ღონისძიებათა მიზანი მკაფიოა – ქართულ და ოსურ ოჯახებს უნდა პქონდეთ მშვიდი ცხოვრების გარანტია, ხოლო, ვინც ამ გზით სიარულის წინააღმდეგია, ისტორია დაწვევლის მათ. დიდი გავლენის მატარებელია ავტორის წრფელი მოწოდება, რომელიც აჯამებს მის ნააზრევს: მოდით, შევინარჩუნოთ და განვაფართოოთ ის ძვირფასი, ძმური, რაც საუკუნეებით გვიტარებია. დამაჯერებლად გთხოვთ მოგვისმინოთ, გაგვიგოთ, დაგვეხმაროთ ჩვენს რთულ მუშაობაში.

კიმ ცაგოლოვის განწყობა გრძელდება ლენინგორელი პედაგოგების რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ნატალია ჯიოვეის, მეთოდისტი მასწავლებლების ნინო ბითაროვას, თამარ ქოზაევის, ლენინგორის №1 საშუალო სკოლის პედაგოგების ნანი ჯიოვეას, ვალია ქოზაევის, თამაზ ქასოვეის მიმართვაში „დროა გონს მოეგონ“. თბილეროვნულ ურთიერთობებში მიმდინარე პედაგოგიური

<sup>1</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 6 დეკემბერი.

ცხოვრების შესახებ მოუთხრობენ მკითხველებს, შექმნილი ვითარებით აღშფოთებული ავტორები: „ამჟამად ლენინგორის №1 საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივში ოს და ქართველ პედაგოგებს შორის არის ჯანსაღი, მეგობრული ატმოსფერო, დღესაც ბევრი ოსი პედაგოგი ვზრდით მომავალ თაობას ინტერნაციონალური სულისკვეთებით. სამასწავლებლოში ოსი პედაგოგები ესაუბრობთ როგორც ქართულად, ასევე ოსურად, ეს ის ჩვეულებრივია, რომ არავითარ შეზღუდვას და წინააღმდეგობას არ ვხვდებით.“<sup>1</sup> აქვე იხსენებენ სამამულო ომის წლებს, როცა საერთო გაჭირვებას ერთნაირად ინაწილებდა ორივე ეროვნების მოსახლეობა. შექმნილი სურათის ფონზე ლოგიკურია აღშფოთება მათ მისამართით, ვინც არ ითვალისწინებს წარსულს და ცდილობს ერთი ხელის მოსმით გაანადგუროს საუკუნეთა მანძილზე მოპოვებული და თანამედროვე ყოფაში მტკიცედ დამკვიდრებული ეროვნული სიყვარული და პატივისცემა. ამ მიმართულებით კი აქტიურობენ ლენინგორში სხვადასხვა კუთხიდან მოსული ცრუ პატრიოტები და ლენინგორელ ოსთა სახელით სოლიდარობას უცხადებენ ექსტრემისტებს. ასეთ წინდაუხედავ ადამიანებს პედაგოგები მოუწოდებენ გონს მოეგონ, შეწყვიტონ ემოციებსა და ჭორებზე აგებული გამოხდომები, სადავო საკითხები კი გადაჭრან დარბაისლური მეთოდებით, რათა მოსახლეობას ხელი არ შეეშალოს მშვიდ თანაცხოვრებაში.

ყვარლის რაიონის წინკანანთსერის ცხრაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მართა ჩიბიროვა-თედეევის მოსაზრებანი გამოთქმულია სტატიაში „სიფრთხილე გემართებს, თანამემამულენო!“ ავტორი ეხმიანება გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ოსი მშრომელების მიმართვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, სსრკ მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცკ-სადმი და მის გვერდით დასტამბულ ეროვნული ხსნის კომიტეტის მიმართვას ქართველი ხალხისადმი. „სულით ხორცამდე შეგვძრა გაზეთის ამ ერთ გვერდზე მითავსებულმა წერილებმა. განა საკავშირო მთავრობის ჩარევაა საჭირო იმისათვის, რომ ოსებსა და

<sup>1</sup> იჰპ.

ქართველებს შორის სადაო საკითხი გადაიჭრას? ოსები და ქართველები ერთ ოჯახად, ერთ ბურჯად გაერთიანებული ხალხია, რომლებსაც ერთი ჭირი და ღვინო აქვთ დასაბამიდან დღემდე. ოლქში, როგორც მრავალგზის აღინიშნა, ფუნქციონირებს ოსური სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სხვა. ყველა კეთილი ნების ადამიანი კმაყოფილი შეხვდა იმას, რომ რესპუბლიკის ყველა კუთხეში და ყველა სახის არაქართულ სკოლაში უნდა ისწავლებოდეს რესპუბლიკის ენა, მათ შორის სამხრეთ ოსეთშიც. განა საზიანოა ის, რომ მშობლიურ ოსურთან ერთად ჩვენი ოსი ბავშვები შეისწავლიან დიდი რუსთაველის ენასაც?<sup>1</sup> ოსი ეროვნების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ასეთი ჯანსაღი პოზიცია უდავოდ დადებით როლს ასრულებდა ცივილიზებული მეთოდით დამაბუღლობის მოგვარების საქმეში, მაგრამ ამავე დროს, აღიზიანებდა მის თანამემამულე რადიკალურად განწყობილი მოსახლეობის ნაწილს. ეს კარგად აქვს გაცნობიერებული ავტორს, ამიტომ არსებული რეალობის გამოკვეთისა და საკუთარ მოსაზრებათა დანერგვის მიზნით ხმამაღლა აცხადებს, რომ თვით ჩრდილო ოსეთში, ცენტრში, ოსურ ენაზე მოსაუბრეს ძვირად შეხვდებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პერიფერიიდან მოსულ ხალხს. აქ [საქართველოში] კი ჩვენი ენა ისწავლება არა მარტო ოლქში, არამედ ოსებით დასახლებულ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც. ამიტომ მისი გულისთქმა, როგორც ოსი დედისა მკითხველისთვის საგრძნობი უნდა იყოს, ხოლო მისი მოწოდება: ერთობლივი ძალებით ვიბრძოლოთ მშობლიური საქართველოს ძლიერებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი ოსეთის ავტონომიის შენარჩუნებისათვის, გაწონასწორებული მკითხველისათვის მისაღებ პოზიციად უნდა დამკვიდრებულიყოს, რომ არა კონფლიქტის ხელფენური ინსპირირება.

პირადი ცხოვრების სითბოთი გახსენების მთავარი პირობა ბაგრატ თევზაძისთვის საუკეთესო წლების ოსურ მოსახლეობასა და კულტურასთან ურთიერთობა გამხდარა. დამაფიქრებელი ცხოვრებისეული მაგალითების მოხმობის

<sup>1</sup> იქვე.

შემდეგ ავტორი მკაცრად სვამს რიტორიკულ კითხვას: „საკვირველია პირდაპირ, ამ დალოცვილ მიწაზე ძმებივით გვიცხოვრია ამდენი ხნის მანძილზე, ჭირი და ლხინი ერთი გვექონია და ახლა რაღამ ჩამოაგდო შუღლი ამ ორ ძეგობარ ხალხში. ერთა შორის მტრობა და ურთიერთის სისხლის საღვრელად აზავება ხომ უდიდესი ცოდვია ღმერთისა და კაცის წინაშე, რა მოგედის ხალხო, რა გვემართება?“ იგი ცდილობს კონფლიქტის მიზეზი მოიძიოს და გამოაშკარაოს, რათა ყველასთვის ნათელი გახდეს ბოროტების რეალური სახე. მისი აზრით, ღვარძლიანი ადამიანები ამღვრევენ წყალს, ამდენად მკითხველს მოუწოდებს – ოსმაც და ქართველმაც, ყველა პატიოსანმა ადამიანმა განურჩევლად უნდა ეძიოს თავზე დატეხილი ბოროტებისა და მტრობის სათავე, მისი გამღვივებლები და ძირშივე ამოშანთოს ისინი. ასე წარმოუდგენია ბაგრატ თევზაძეს ამღვრეული ცხოვრების სათავიდან დაწმენდის სურათი და მის განხორციელებას დაჟინებით მოუწოდებს მკითხველს.

მკითხველისადმი მიმართვას გივი ჩარექიშვილი ახდენს ყველაზე ჰუმანური პროფესიის – ექიმის პოზიციიდან, მერე კი როგორც ქართველი, რომელმაც ოს მეუღლესთან ერთად მეთხედი საუკუნე განვლო. ამადლეგებელია შერეული ოჯახის ბედნიერი ცხოვრების შესახებ მოთხრობილი ამბავი, რომელსაც მოულოდნელად საფრთხე დამუქრებია.

ცხინვალის სამშობიარო სახლში მუშაობის 30 წელი მას უფლებას აძლევს მკითხველს შეახსენოს, რამდენ ოს დედას უწოვებია ძუძუ ქართველი ახალშობილისათვის და პირიქით, ქართველ დედას – ოსი ბავშვისთვის. კეთილი ურთიერთობების დამადასტურებელი მაგალითების ეფექტური მოხმობის შემდგომ ისმის საბედისწერო კითხვა: რა ხდება ბოლო ხანს? რატომ გაურბის ქართული დასახლებების მცხოვრებნი ცხინვალის სამშობიარო სახლის მომსახურებას, აგორებულნი მითქმა-მითქმა, ავტორის აზრით, არის ამ ნეგატიური მიწველების განმაპირობებელი. შორს მომზირალი ექიმი მკითხველს შეახსენებს, რომ ერთა შორის ურთიერთობების გამწვავება გამოიწვევს საქართველოს უკან დახევას რამდენიმე ათეული წლით. საკუთარ

<sup>1</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 7 დეკემბერი.

შეხედულებას ავტორი წინაპართა ტრადიციებითაც ამყარებს. იგი თვლის, რომ ძნელია კიდევ სხვა ისეთი ორი ერის დასახელება, რომელთაც ასეთი მჭიდრო ნათესაური და მეგობრული ურთიერთობა აქვს, მას კი გაფრთხილება სჭირდება.

გივი ჩარექიშვილი გამოკვეთილი პოზიციიდან დაბეჯითებით მიმართავს ორი ხალხის წარმომადგენლებს და ამით დაძაბულობის განმუხტვის საქმეში შეაქვს ერთობ მნიშვნელოვანი წვლილი: „განსაკუთრებით მოგმართავთ ქართველ და ოს დედებს, ქალიშვილებს, მომავალ დედებს, იფიქრეთ თქვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალზე, მოუხმეთ თქვენი ოჯახის წევრებს, მეზობლებს, ნათესავებს, გაიხსენეთ ჩვენი წინაპარი დედებისა და ბებიების სიბრძნე, ქართველი და ოსი დედების ისტორიული ვალი სამშობლოს წინაშე. ისინი ხომ განსაკუთრებულ გონიერებას იჩენდნენ ორივე ერის ურთიერთდაკავშირებაში, ისტორიის მძიმე დღეებში არ უნდა დაეშვათ, რომ მოხდეს გათიშვა, წინ უნდა აღეშინებოდეთ ბოროტ გამოთიშველებს.“<sup>1</sup> ავტორის შეხედულებით, ორივე ერის ვალია ემსახურონ სამშობლოს, რომელსაც საქართველო ჰქვია, ერთობით ამ გზაზე სიარული ორივე ხალხის ისტორიული და მორალური ვალია. ასეთ პუბლიკაციათა პოზიტიური როლი ბუნებრივია აისახა მკითხველის განწყობილებაში, მაგრამ ისტორიული პროცესები მაღალი სიმძლავრეებით უფსკრულისაკენ მიაქანებდნენ ნალოლიავებ ურთიერთობებს.

ოფიციალური სტრუქტურები თუ საზოგადოების წარმომადგენლები თითქოს ცდას არ აკლებდნენ ვითარების ნორმალიზაციას. როგორც 6 დეკემბრის „საბჭოთა ოსეთი“ იუწყება, რეგიონში შექმნილი საზოგადოებრივი-პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ოპერატიულ ღონისძიებათა დასახვის მიზნით 4 და 5 დეკემბერს ცხინვალში, გორში, ხაშურსა და ქარელის რაიონებში იმყოფებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა და

<sup>1</sup> იქვე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გ. ლორთქიფანიძე. ისინი ესაუბრნენ რეგიონის პარტიულ, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს, აქტივის, რესპუბლიკის მილიციის ქვედანაყოფის მუშაკებს, საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს. როგორც გახეთი იუწყება, შეხვედრებისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებელია კიდევ უფრო ინტენსიურად გაგრძელდეს კონკრეტული მუშაობა, ფართოდ იქნეს გამოყენებული პოლიტიკური მეთოდები მდგომარეობის სრული ნორმალიზაციისათვის, ჭორების, მითქმა-მოთქმების თავიდან აცილებისთვის, მოსახლეობის სრული ინფორმირებისა და მათი სიმშვიდის უზრუნველსაყოფად, ცხოვრების ჩვეული რიტმის აღსადგენად, რაც მთელს რესპუბლიკაში პოლიტიკური სტაბილურობისა და ჯანსაღი საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. ამავე პუბლიკაციიდან მკითხველი საიმედო ინფორმაციას იღებს, სამრეწველო დაწესებულებათა უმრავლესობის ამუშავების შესახებ, რაც მომავლის რწმენას აღვივებს.

გახეთის ამავე გვერდზე ვკითხულობთ ინფორმაციას I დეკემბერს პოლიტიკური განათლების სახელში გამართულ ვეტერანთა საქალაქო კრების შესახებ. აქ შეიკრიბნენ პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანები, მუშების, მოსამსახურეებისა და ინტელიგენციის ოსი და ქართველი წარმომადგენლები. კრებაზე განხილულ იქნა ცხინვალში და მთლიანად ოლქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები. კრებამ მიიღო მიმართვა ქალაქისა და ოლქის ყველა მშრომელისადმი. საყურადღებოა „დამონიხასის“ თავმჯდომარის ალან ნოჩიევის აქტიური მონაწილეობა მიმართვის შემუშავებაში. რეალურად არის შეფასებული მძიმე მდგომარეობა, გართულების თავიდან აცილების მიზნით კი გამოთქმული თხოვნა მოსახლეობისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჯგუფურად არ დადგეთ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე, რათა თავიდან ავიცილოთ ვითარების გამწვავების ხელშემწყობი სხვადასხვა შეუმოწმებელი ხმების გაერცყალება; ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ქალაქის ეკონომიკური და სოციალური

განვითარება, განაახლეთ მუშაობა ფაბრიკებში, ქარხნებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე ყველა სასწავლო დაწესებულებაში და საბავშვო სკოლამდე დაწესებულებებში.<sup>1</sup> ტექსტი აშკარად ნაჩქარევად არის შედგენილი, მაგრამ მოხმობილი ციტატა მაინც პოზიტიური იდეოლოგიური მუხტის მატარებელია. კრება კატეგორიულად მოითხოვს ოლქის ფარგლებიდან, მათი აზრით, თითქოსდა წესრიგის დასამყარებლად გამოგზავნილი სამილიციო და სამოქალაქო ქვედანაყოფების გაყვანას; ხოლო წესრიგის დაცვა ადგილობრივი მოსახლეობის მოვალეობად მიიჩნევა. ამ პუნქტში კი უთუოდ განსხვავებული მოსაზრებები იყო ქართულ მოსახლეობაში. საოლქო ქართული გაზეთის მიერ ამ პოზიციის გამოქვეყნება აშკარად ოსური რადიკალური ძაღის გავლენით ხდება. მიმართვის ტენდენციურობა „კომსომოლური“ მიდგომით ინტერნაციონალური აღზრდის მეთოდების დანერგვის სურვილშიც იჩენს თავს.

„წერილი რედაქციას“ – ასეთი რუბრიკით გვთავაზობს გაზეთი „თბილისი“ მკითხველის ბეგლარ ბერიშვილის კრიტიკულ გამოხმაურებას „რა ვუწოდოთ ამას?“ გაზეთ „Ленинское Знамя“-ში დაბეჭდილ ინტერვიუსთან დაკავშირებით. გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი პოდპოლკოვნიკი ტ. პერეცი ესაუბრა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან გენერალ-მაიორ კ. ი. ჩერეპანოვს. ამ ინტერვიუში გენერალი სხვა საკითხებთან ერთად საუბრობს ქართულ-ოსურ ურთიერთობებზეც. მან აღნიშნა, რომ თუ ოსები ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან დაუპირებენ 30 ათას ქართველს გასახლებას, ამით საფრთხეში ჩააგდებენ იმ 90 ათასი ოსის ცხოვრების შესაძლებლობას, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ბინადრობენო. ამის დაშვება გენერლისათვის წარმოუდგენელია და ამ მიმართულებით გამოყოფს „ადამონ ჩიხაის“ პოზიტიურ საქმიანობას: „Этого допустить нельзя. В этом отношении должен отметить

<sup>1</sup> ვაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 6 დეკემბერი.

деятельность Организации «Адамон Ныхас», которая сегодня не только призывает к разуму, но и практическими действиями борется за справедливые суверенные права каждого жителя республики, не разделяя их по национальности. Для «Адамон Ныхас» основанием является борьба против шовинизма, уничтожающего достоинство народа, подрывающего основы перестройки“<sup>1</sup>. ბეგლარ ბერიშვილს საკითხის ასე დაყენება ქართველი ხალხის აბუნად ავღებად მიაჩნია. სხვა რით უნდა აიხსნას „ადამონ ნიხასისათვის“ კრავის ქურქის მორგება, იმ ორგანიზაციად მისი წარმოდგენა, რომელიც იღვწის რესპუბლიკის ყოველი მცხოვრების სამართლიანი სუვერენული უფლებების დასაცავად, ებრძვის შოვინიზმს, რომელიც ძირს უთხრის და ანადგურებს ხალხის ღირსებას. ასეთი ფონის შექმნით შოვინისტებად ქართველები ცხადდებიან. სწორედ ეს გამხდარა გამოხმაურების ავტორის აღშფოთების მიზეზი: „დეკუტატობის ეს კანდიდატი უკვე ასრულებდა ამომრჩეველთა განაწესს, ქება-დიდებათ ამკობდა „ადამონ ნიხასს“ – ორგანიზაციას, რომლის წყალობითაც ოსეთში გაღვივდა ეროვნული შეღლი და დაიდგარა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი. ნუთუ ეს არ სმენია გენერალს? კაცი, რომელიც აქებს ეროვნული შუღლის გამღვივებლებს, არ შეიძლება იყოს საქართველოს უზენაესი ხაბჭოს დეკუტატი, ამას, ვფიქრობ, წვენი ხალხი არ დაუშვებს.“<sup>2</sup> ავტორს სწორად შეუნიშნავს ის საფრთხე, რომელიც რუსეთის მხრიდან შავი ღრუბელივით თავს დასდგომოდა ორი ხალხის ურთიერთობას. ასევე მკაფიოდ გამოიკვეთა ოსურ სეპარატისტულ ორგანიზაციასთან მათი უშუალო კავშირი. მოსახლეობის დევნა მშობლიური ადგილებიდან, თუ მაშინ არავის წარმოედგინა, დღევანდელი გადასახედიდან ცხადი ხდება, რომ სწორედ რუსული სპეცსამსახურების მიერ იგვემპობდა, რაც ხემოთ მოხმობილი ციტატიდანაც ჩანს, თუმცა, გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული გამოხმაურება მის კომენტარებას არ გვთავაზობს.

„ადამონ ნიხასის“ მიზნებისა და ოსური რადიკალური

<sup>1</sup> გაზ «Ленинское Знамя», 1990, 1 марта.

<sup>2</sup> გაზ. „თბილისი“, 1990, 28 მარტი.

პოზიციის მკაფიო კონტურებს წარმოადგენს არაოფიციალურად გამოცემული გაზეთი „ადამონ ნიხასი“, როგორც სატიტულო გვერდზეა აღნიშნული იგი არის – „Вестник народного фронта осетии - Народное собрание“. გაზეთის ზედაპირული გადათვალიერებაც საკმარისია, რომ გავარკვიოთ მისი მიზანი და ამ მიზნისთვის ბრძოლის გზები. გაურკვეველია წინამდებარე ნომრის დაფინანსების წყარო, მასში დაბეჭდილი იაფი ღირებულებები და შეხედულებანი ოხი მოსახლეობის ფაქიზ ნაციონალურ გრძნობებზეა გათვალისწინებული, სწორედ ადამიანური გრძნობების მართვა გამხდარა გაზეთის მესვეურთა ბრძოლის იარაღი და დასახული მიზნისკენ სწრაფვა არც თუ უშედეგოდ მიმდინარეობს. აქ გამოქვეყნებული „ადამონ ნიხასი“ პროგრამა ათი პუნქტისაგან შედგება; პირველი – განიხილავს სამხრეთ ოსეთში არსებულ კრიზისულ სიტუაციას და გამოსავლის საკუთარ გზებს სთავაზობს მკითხველს. თითქოს ანტისაბჭოთა განწყობილება დომინირებს, მაგრამ უდაოდ ლენინურ ხასიათს ატარებს მოწოდებები: ხელისუფლება — ხალხს, კანონი პარტიულ ინტერესებსე მადლა დაეყენოთ, მიწა – მშრომელებს, ძირს კორუფცია და სხვა. „ადამონ ნიხასის“ არსი და მიზნები ასეა წარმოდგენილი: „Адамон ныхас стремится раз-будить гражданское и национальное достоинство граждан, взять на себя ответственность за состояние нашей экономики, экологии, культуры. Социальная опора – все жители нашей области.“<sup>1</sup> პროგრამაში უამრავი დაპირება და წინადადებაა, რომელთა ხორცშესხმა ერთობ საეჭვო იყო იმ დროისათვის. კონფლიქტის გაღვივების თვალსაზრისით საყურადღებოა მე-7 პუნქტში ჩამოყალიბებული ნაციონალური საკითხი. მასში კატეგორიულადაა დაფიქსირებული, რომ ოსები ცხოვრობენ საკუთარ ძირძველ მიწაზე და მათ არ უნდა აწუხებდეთ სტუმრის სინდრომი. სხელმწიფო ენად სამხრეთ ოსეთში უნდა იყოს ოსური, ხოლო დანარჩენი ორი ენის ძალად დანერგვას ეწინააღმდეგება „ადამონ ნიხასი“. რაც შეეხება ორი ოსეთის ურთიერთობას, მათ ასე აქვთ წარმოდგენილი: „Осетия является

<sup>1</sup> газ. «Адамон ныхас». 1989. №1

единым историко-культурным, но политически раздельным организмом, из этого следует, что для выживания осетинской нации мы не можем не ставить вопроса о восстановлении статуса Осетии стратегически, хотя вполне сознаем преждевременность и неподготовленность даже постановки этого вопроса в данный момент, между тем, мы – за всяческое развитие экономических и культурных связей между обеими Осетиями, перспективной их максимальной интеграции.<sup>2</sup> ახე წარმოუდგენიათ ოსური რადიკალური პოზიციის წარმოდგენელთ საკუთარი სამშობლოს აწმყო და მომავალი და არც კი ახსენდებათ საქართველო, რომლის წიაღშიც მოძლიერდნენ ამ პრეტენზიებისათვის, თუმც ახსენებენ ქართულ პრობლემას – სხვათა შორის. დიდსულოვნად აღნიშნავენ, რომ აფასებენ ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებს ქართველებთან და მზად არიან თანახვროფლებიანი თანამშრომლობისათვის ყველა სფეროში. მათ საკუთარი მომავალი ძირითადად რუსეთთანა და სსრკ-ის სხვა მოსახლეობასთან ურთიერთობაში წარმოუდგენიათ, ხოლო კატეგორიულად უარყოფენ საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დროს შემოღებულ სახელმწიფო სიმბოლოებს (ნაგულისხმევია 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველო, როდესაც მკაცრად აღკვეთილი იქნა ოსური სეპარატისტული გამოსვლები). აქვე მინიშნებული მათი პატივისცემა იმ სხვა სიმბოლოების მიმართ, რომელნიც ასახავენ საქართველოს დიდ წარსულს.

ნათელია ტექსტის ავტორთა სურვილი – წარმოადგინონ რადიკალური იდეები, მაგრამ აიცილონ სეპარატისტის ტიტული, რაც ვერ მოუხერხებიათ, მაგრამ სამაგიეროდ კარგად იმოქმედეს მოსახლეობის ფაქიზ ეროვნულ გრძნობებზე, მოიპოვეს ამით მხარდაჭერა და შექნეს კონფლიქტის წარმოშობის კიდევ ერთი პირობა.

„ადამონ ნიხასის“ მიზნები კიდევ უფრო მკაფიოდ არის გაცხადებული ამავე ნომერში დაბეჭდილ ოსი ხალხისადმი მიმართვაში. ექსპოზიციურ ნაწილში საუბარია „ნიხასის“ (საბჭოს) განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ოსი ხალხის არსებობის სხვადასხვა ეტაპზე, მიმართვის ავტორები

<sup>2</sup> Гиз. «Адамон чыхас», 1989, №1.

თელიან, რომ ამჯერადაც, როცა ოსი ხალხი განსაცდელშია პასუხისმგებლობა ნიხასმა უნდა აიღოს, რათა მოხდეს მოსახლეობის გაერთიანება, მაგრამ ვის წინააღმდეგ – აქ დაკონკრეტებული არ არის, დიადი იდეალებისთვის ბრძოლა დიდ წინაპართა სულების გამოხმობით ხდება: „Родина в опасности, настало время, когда нам надо всем встать плечом к плечу и протянуть друг другу руки, как об этом писал Коста: «Цае йут афсымааертае нае кьухтае, абон кае раедзимае Иры лаппутае.»<sup>1</sup> მაგრამ საკითხავია, სულმნათი კოსტა ხეთაგათი როგორ მოიწონებდა მიმართვაში ნაციონალური საკითხის ასე რადიკალურად დაყენებას – კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარი სახელმწიფოს სსრკ შემადგენლობაში დარჩენა ავტონომიური ფორმირების სახით. თანამოაზრეებს კი მოუწოდებენ, შექმნან მხარდამჭერი გაერთიანებები, დაესწრონ მათ მიტინგებსა და თავყრილობებს, თანხები გადარიცხონ მათ ანგარიშზე.

ნომერში დაბეჭდილია ცნობილი ოსი მეცნიერის ვასილ აბაევის წერილი გაზეთისადმი. სადაც საუბარია „ადამონ ნიხასის“ წესდების ზოგიერთ მუხლზე და იგი ძირითადად იფარგლება მოწონებული პუნქტების ციტირებით. ცნობილი გამოთქმის ავტორი (კავკასიის ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის) ჩვეულ ტაქტს არც ამ რთულ სიტუაციაში დალატობს და დასძენს, რომ მოსაწონია დასახელება „ადამონ ნიხასი“ და კარგია, რომ მისმა ლიდერებმა არ შეარჩიეს ადამონ ფრონტი“, რომელიც ადამიანს კონფლიქტისთვის განაწყოებს, „ნიხასი“ კი მშვიდობიანი ურთიერთობების დატვირთვის მატარებელია.

რადიკალური განწყობილებებით გამოირჩევა აღან ჩონიევის აფხაზეთისადმი მიმართვა. მასში თანაგრძნობის განწყობილებები ჭარბობს – „ერთი ხვედრის“ მომენტია გამოკვეთილი და ქართველი ხალხი მოძმედ მოხსენებულია ბრჭყალებში. აფხაზეთში გამოცხადებული საგანგებო ვითარება ღირსეული თავისუფლებისთვის მებრძოლთა წინააღმდეგ მიმართულ აქტად არის შეფასებული. მოწონებულია აფხაზური მოძრაობის ვაჟკაცური, ერთიანი,

<sup>1</sup>Газ. «Адамон выхас», 1989, №1.

დარაზმული განწყობა თავისუფლების მოსაპოვებლად. აქცენტირებულია ოსი და აფხაზი ხალხების საერთო დადებითი თვისებები – მთიელობა, ამაყი, დამოუკიდებელი სულით, რომელიც ვერავინ გატყუა. ოსი ხალხის სახელით ჩონჩევი მიმართავს აფხაზებს, რომ ისინი მხარს უჭერენ მათ, ასევე ოლქის ხელისუფლებაც, თუმც მათ ამის თქმისთვის გამბედაობა არ ეოფნით.

აქვე დასტამბულია 1989 წლის 29 მარტით დათარიღებული აფხაზეთის სახალხო ფრონტის საპასუხო წერილი „ადამონ ნიხასისადმი“. ოსებისა და აფხაზების დიდი ისტორიული ურთიერთობა დამოწმებულია ფოლკლორული „ნართების“ ორივე ხალხისთვის მახლობლობით; ჭირში ერთად დგომის ტრადიციით; კმაყოფილებაა გამოთქმული, რომ მათი მეხსიერებიდან ეს ვერ წაშალეს (საინტერესოა ვინ სცადა? ზ.კ.), რადგან შენახულია, თურმე, სისხლის მეხსიერებით. გამოთქმულია მადლიერება მხარდაჭერისთვის ქართველი “მენშვეიკური ძალების” წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის მხრიდან აფხაზური მხარე მიესალმება აღორძინებულ ოსურ ნაციონალურ მოძრაობას. თვლის, რომ არ უნდა იყოს ორი ოსეთი, არამედ – ერთი აღანია, რითაც ეხება ოსურ ნაციონალურ გრძობებს და მიმართავს მას ერთიანი ქართული ინტერესების წინააღმდეგ.

გაზეთის ამავე ნომერში ეჭვქვეშ არის დაყენებული ცნობილი მიმართვის (27 ივნისის “Адамон Ныхас“-ში გამოქვეყნებული საზოგადოება „ფარნის“ ღია წერილი აღან ჩონჩევისადმი) „განზრახვანი“. გაზეთის მესვეურთა აზრით, ამ წერილის გამოქვეყნებას აღშფოთებით შეხვდა სამხრეთ ოსეთის საზოგადოება, რადგან ასეთი გამოხვედების მიზანი „ადამონ ნიხასისა“ და მისი ლიდერების დისკრედიტაციაა. აქვე მკითხველისათვის ცნობილი ხდება, რომ „ღია წერილი“ მისმა უშუალო ხელის მომწერებმა კიმ (ვაგოლოვმა და ზაურბეგ აბოევა საზოგადოებასთან შეუთანხმებლად გამოაქვეყნეს, რის დასტურადაც აქვე დაბეჭდილია აღნიშნულ ავტორთა საბოლოო განმარტება. განმარტებაში ნათქვამია, რომ მათ ერთადერთი მიზანი ამოდრავებდა – შეემსუბუქებინათ დაძაბულობა ქართვე-

ლებსა და ოსებს შორის, რაც, როგორც ჩანს, არ შეესაბამებოდა „ადამონ ნიხასის“ ინტერესებს. ამას არ ხედავდა გაზეთი და კიმ ცაგლოვზე შეტყვევს საპასუხო დიალოგით ავრძელებს – დამაინტრიგებელი ხათაურით „С кем вы Ким Македонович?“. წერილს ხელს აწერს „ადამონ ნიხასის“ ახალგაზრდული ორგანიზაცია. „გულდაწყვეტილი“ ახალგაზრდა პატრიოტები ცნობილ თანამემამულეს, რომელიც თავდაცვის სამინისტროს წამყვანი მრჩეველია, არის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მათი ორგანიზაციის დაფუძნებისა და მიზნების შესახებ მოუთხრობენ. თურმე, გასული წლის ოქტომბრიდან საქართველოს რესპუბლიკის პრესის მხრიდან ოსი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღდა ფართო კამპანია. ჩამოთვლილ ფაქტთა შორის განსაკუთრებით გამოყოფილია ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გამოქვეყნება, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქისაგან ხათანადოდ ითხოვს ქართული ენის ცოდნას. დიდ თანამემამულეს აღშფოთებული ახალგაზრდა „ადამონ ნიხასელები“ მოუთხრობენ, რომ პროგრამის მიხედვით: „...все учреждения республики должны вести делопроизводство на грузинском языке, дети – изучать его в обязательном порядке чуть ли не с ясельного возраста, а в вузы республики абитуриенты должны проходить собеседование или даже сдавать экзамен по грузинскому языку независимо от факультета и специальности, на которые ведется прием. Абсурдность подобных требований дошла до того, что сейчас, когда вы читаете эти строки, абитуриенты сдают экзамены на русские факультеты ЮОГПИ на грузинском языке, успешно тесня горцев в экзаменационном спектакле, организованном министерством Просвещения ГССР вкупе с ректором института“.<sup>1</sup>

ასეთი „ნეგატიური“ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა მიაჩნია აღნიშნულ საზოგადოებას უპირველეს მოვალეობად. საკუთარი პოზიციის დაცვა, მათ ოლქის ხელისუფლებისგანაც უხდებოდათ, თუმცა იქ ოსი ეროვნების წარმომადგენლები არიან, მაგრამ ისინი ვერ იცავენ ხათანადოდ თავისი ხალხის ინტერესებს.

<sup>1</sup>გაზ. «Адамон Нихас». 1989. №1.

ერთგვარი უკმაყოფილებით არის აღნიშნული კიმ (კავოლოვის მოწოდება ა. ჩოჩიევისადმი – ბოდიში მოიხადოს აფხაზი ხალხისადმი გაგზავნილი მიმართვის გამო. არგუმენტი – ქართული მასობრივი საშუალებების გაღიზიანება ამ მიმართვით, ახალგაზრდა „ნიხასელებს“ არ აღუვლებთ. საკუთარი და ოსური ნაციონალური ლიდერის ქართველებთან მობოდიშება ყოველად მიუღებლად მიაჩნიათ წერილის ავტორებს. ასეთი რადიკალური გამოხედვებით არის გაჯერებული აღნიშნული მასალა და მთავრდება ოსი გენერლისადმი საპასუხო მოწოდებით – მხარი დაუჭიროს მათ მოძრაობას.

შეურიგებელი, დაპირისპირების გაღვივებას ემსახურება აღან ჩოჩიევის „Обращение к тем, кто формирует сегодня идеологию“. ავტორი ეხება რა 9 აპრილის პრობლემას, მას ანტირუსული განწყობის ფორმად მოიხსენიებს და გულგრილი მსჯელობით ცდილობს, საბჭოთა ჯარს ჩამორეცხოს დაღვრილი სისხლი. მიმოიხილავს რა კავკასიის გეოპოლიტიკურ ვითარებას – იგი უმძიმესად ახასიათებს მას. რაც შეეხება ოსი ხალხის მისწრაფებას ამ ფონზე ავტორისთვის წარმოსადგენია იმის მიღწევა, რაც მათ ადრე არ ჰქონიათ – ნაციონალური და პირადი თავისუფლება.

ძირითადად ასეთი მასალებით ხდება ოსური მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება ქართული ინტერესების წინააღმდეგ, რამაც, სამწუხაროდ, მიიმე შედეგები მოუტანა, როგორც ერთ, ასევე მეორე მხარეს.

1989-1990 წლებში გამოდიოდა ქართულენოვანი დამოუკიდებელი გაზეთი „სამანაბლო“ (სულ 37 ნომერი გამოიცა). შიდა ქართლის – სამანაბლოს რეგიონალური სახალხო ფრონტისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების სამანაბლოს ფილიალის არაპერიოდულ ამ გაზეთს რედაქტორობდა ისტორიკოსი ალექსანდრე ურთქმულიძე (ფსევდონიმი ა. ივერიელი); კონსულტანტი იყო ზვიად გამსახურდია.

გაზეთის დევიზი: „ვერვინ გასტყვს ქართველობას ბრძოლებში ნაწითობს!“ გამოხატავს იმ დროის ცხინვალის ქართულენოვანი მოსახლეობის განწყობილებას, რომელთაც ნაციონალური თავმოყვარეობის დაცვის

ნებისმიერი გზა მისაღებად მიიხსნა. ასეთ ფონზე „სამაჩაბლოს“ გამოცემას, განსხვავებით ოსური მოსახლეობისაგან, ქართველთა შინაგანი კმაყოფილება მოყვია. 1990 წლის თებერვლის ნომრის მოწინავედ დაბეჭდილია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ს საშობაო მილოცვა: „სიხარულით ვიდოცავთ შობა-ახალწელს. ქრისტეს გზით უვლიათ ჩვენს წინაპრებს და ამან გადაგვარინა ჩვენ დღესაც „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“ მაშ, ღვთის რწმენით, სასოებითა და სიყვარულით ვემსახუროთ ჩვენს მამულსა და ვიქნებით ბედნიერნი. გაკურთხით უფალმა თქვენ და სრულიად საქართველო. ჩვენთან არს ღმერთი.“<sup>1</sup> დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩენილი ამ რეგიონის ქართველობისათვის, მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სულიერი მამის თანადგომას. გაურკვეველი ვითარება, მართალია, გაუთვალისწინებელ შედეგებს იძლეოდა ყოველდღიურად, რაც აქვე დასტამბული „სამწუხარო ამბების გალა...“-შიც მკაფიოდ აისახა. თუ ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოები ერიდებოდნენ დაპირისპირების ამსახველი ფაქტების ზუსტ კონსტატაციას, „სამაჩაბლო“ მოპოვებულ ფაქტებს შეუღამაზებლად ამხეურებს. აქ ვკითხულობთ, რომ 1 იანვარს ესროლეს სოფელ ერედვის მკვიდრს ფრიდონ ბორცვაძეს, რომელსაც მანქანით ცოლ-შვილი გადააქავედა; 1, 2 და 3 იანვარს თავს დაესხნენ ქართულ სოფლებს ხეთის, თამარაშენს და მთელი ღამე ესროდნენ; 3 იანვარს ღამის სამ საათზე სოფელ ფრისში თოფით აკვანში მოკლეს ცხრა თვის პაატა ნიკორაშვილი...; 8 იანვარს ცხინვალში კომკავშირის ქუჩაზე გაძარცვეს და შემდეგ მხეცურად დაარბიეს შ. პაპელიშვილის ბინა. 9 იანვრით არის დათარიღებული საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილის ვოვოლადის ჩამო-სვლა ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკაში. გაზეთი ადახ-ტურებს, რომ იგი ფაბრიკის ქართველ თანამშრომლებს ოსი ეროვნების ხოსო ხუგაშვილს დადებითად უხასიათებ-და და ამის დადასტურებას მათგან ხელმოწერით ითხოვ-და. ეს უკანასკნელი კი, როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული,

<sup>1</sup>გაზ. „სამაჩაბლო“, 1990, თებერვალი, №3.

ქართველთა მდევნელი იყო. აქვე რედაქცია სვამს კითხვას, ეროვნული ინტერესები ხომ არ ეწირება ანგარებიან ჩინოსნებს : „რატომ იჩენს გოგოლაძე ასეთ დაინტერესებას? ფულისთვის?“

საინტერესოა საკითხის დაყენების თვალსაზრისით სამაჩაბლოს ქართველობის მიმართვა ცკ-ს პირველი მდივნის გივი გუმბარიძისადმი. მიმართვაში გამოთქმულია აღშფოთება ოსი ეროვნების ხულიგანთა აულაგმავი მოქმედების გამო; მას კი თან ერთვის პრესაში არაობიექტურად სიტუაციის გაშუქების ფაქტი. „რატომ?რა ლოგიკით? – სვამენ ხელისუფალის წინაშე კითხვას სამაჩაბლოელები: – არიქა, არავის არაფერი ეწყინოს, არიქა ვინმე არ გაღიზიანდესო. რატომ უნდა გაღიზიანდეს სიმართლის მოსმენით პატიოსანი კაცი? ჭორს სიმართლე აღარ სჯობს? როდემდე? როდის ამოქმედდება მართლმსაჯულება მთელი თავისი სიმკაცრით? მთელი საქართველო თქვენგან ელის პასუხს ამ კითხვებზე ბატონო გივი, რათა მართალი ვიყოთ ჩვენი ხალხის, ჩვენი შთამომავლობის წინაშე.“<sup>1</sup> თითქმის უმართავი სიტუაციის შემყურე ხელისუფლების წარმომადგენელთათვის ამ ერთი შეხედვით მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა ერთობ რთული იყო. გაზეთის ასეთი კატეგორიული პოზიცია ვითარების ნათლად წარმოჩენას უწყობდა ხელს.

ქართველ დედათა სახელით პოეტი მარიკა ბარათაშვილი აქვეყნებს მიმართვას „დედებო!“ მიმართვა იმ აღშფოთების გამოხატულებაა, რაც მცირეწლოვანი ქართველი ბავშვის მკვლელობას მოყვა. მასში მკაცრად გაკრიტიკებულია ოსური მოძრაობა „აღამონ ნიხასი“ და მის გავლენის ქვეშ მყოფი ოსი ეროვნების წარმომადგენლები, რომელთათვისაც საუკუნეების მანძილზე ნაშენები ქართულ-ოსური ურთიერთობის დანგრევა არაფერს ნიშნავს. მიმართვის ავტორი ოს და ქართველ დედებს შეახსენებს, რომ მათი უმთავრესი ვალი შვილის აღზრდაა; ამიტომ დედობრივი გრძნობით გაერთიანებულნი უნდა დადგნენ შვილებისა და ნათესაური სისხლის დასაცავად.

ორ ხალხს შორის შუღლის გამღვივებელთა წინააღმდეგ არის მიმართული თბილისის ტრიკოტაჟის საწარ-

მოს ოსი ერთგუნების თანამშრომელთა წერილი, რომლის დაწერის მიზეზი სოფელ ფრისში დატრიალებული ტრაგედიაა. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ძალა და ენერჯია ორივე ხალხის წარმომადგენლებმა საქართველოს ერთიანობის მოპოვებისათვის უნდა მიმართონ.

ქართული მასმედიის წარმომადგენლობითი ხელმოწერებით გამოირჩევა საქართველოს ცკ-სადმი, უზუნაესი საბჭოსადმი, მინისტრთა საბჭოსადმი მიმართვები ეხმიანება მცირეწლოვანი პაატა ნიკორაშვილის მკვლელობას; გმობს ამ ფაქტს და ასეთ მოთხოვნებს აყენებს: „განხორციელდეს ოფიციალური პროტესტი ქართველი ხალხის სახელით საქართველოში მიმდინარე პროცესების საკავშირო პრესაში და ტელევიზიით ტენდენციურად და ცალმხრივად გაშუქების გამო, რაც უკიდურესად ამწვავებს ვითარებას. ამასთან მოვითხოვთ, რესპუბლიკის შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა შეგვიქმნან სათანადო პირობები რეგიონში შექმნილი ვითარების სრულყოფილად გაშუქებისათვის; განხორციელდეს გადაამჭრელი ზომები, რათა უმოკლეს ვადაში რესპუბლიკის ძალებით აღდგეს რეგიონში სრული წესრიგი; ქართველ და ოს მოსახლეობას შეექმნას ნორმალური ცხოვრების პირობები. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ გამოვლინდნენ და დაისაჯონ ქვეყნის მოღალატენი, რომელთა მიზანია ეთნო-კრიზისების გამოწვევა და საგანგებო მმართველობის შემოღება.“<sup>1</sup> ერთობ სასარგებლო დებულებებია წარმოდგენილი; სამწუხაროდ, მათი ხორცშესხმა ადრესატთა ნება არ იყო, როგორც მოგვიანებით გამოიკვეთა. ავტორებს მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში საბედისწეროდ ესახებათ მომავალი, პასუხისმგებლობის დაკისრების შესხენებით კიდევ ერთხელ მიანიშნებენ მთავრობის წარმომადგენლებს აქტიური მოქმედებისაკენ. ხელს აწერენ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი რესპუბლიკური მნიშვნელობის გაზეთების რედაქტორები და მასმედიის სხვა მნიშვნელოვანი წარმომადგენლები.

ამავე ნომერში გაზეთ "მამულიდან"<sup>2</sup> გადმობეჭდილია ცნობილი საზოგადო მოღვაწის აკაკი ბაქრაძის პირუთუ-

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> გაზ. "მამული", 1990, №1.

ნელი წერილი; მასში გაანალიზებულია შექმნილი ვითარება იმ პერიოდის საქართველოში და მისი ისტორიული წინაპირობანი. წერილის ავტორს მიაჩნია, რომ მხოლოდ ვითარების ობიექტური ჭვრეტით არის შესაძლებელი ქართული პოზიციის გამარჯვება. რაკი ოსები შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობა არ არის, მათთვის ამ ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭება ქართველი ხალხის სუვერენული უფლებების სრული დარღვევაა, — თვლის აკაკი ბაქრაძე. მისი აზრით, ოსებს აქვთ კულტურული ავტონომიის უფლება, საკუთარი ენის, ოსური მწერლობის, სკოლის, ზნეჩვეულებათა, ხალხური ტრადიციების დაცვის უფლება. ამ უფლებათა დაცვაში მათ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს კონსტიტუციამ. ავტონომიური რესპუბლიკის მოთხოვნა კი, ავტორს არა მარტო უკანონობად, არამედ თავხედობადაც მიაჩნია. პირუთვნელი რესპუბლიკისტი აცხადებს: „თუ ქართული ეროვნული მოძრაობა გაიმარჯვებს, მაშინ იგი თავად მოაგვარებს ამ კონფლიქტს. ჩვენ არავის თავისუფლების წინააღმდეგი არა ვართ. არავის დათრგუნვა მიზნად არა გვაქვს. ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რას ნიშნავს ჩაგვრა, რას ნიშნავს არათავისუფლება. იგი ვერ იქნება და არც არის ვისიმე დაჩაგვრისა და დამონების მომხრე, ამიტომ თუ აფხაზები და ოსები თავიანთი ეროვნული ინტერესების დასაცავად იბრძვიან, მაშინ ისინი ჩვენთან ერთად უნდა ეძებდნენ ხსნის გზას. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ისინი სხვათა დავალებას ასრულებენ, რითაც უპირველესად საკუთარ ხალხს უმზადებენ შავ ბელისწერას. თუ ქართული ეროვნული მოძრაობა დამარცხდება, მაშინ ქართველთა წინააღმდეგ აფხაზური და ოსური ოპერაცია საჭირო აღარ იქნება. მათ თავში ჩააფარებენ, უკან სოროში შერეკავენ და ხმას გააკმენდინებენ. ისე დაემართებათ, როგორც ეს „არსენას ლექსშია“ ნათქვამი:

„ფარსადანს ასე ეგონა,— ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა,  
 იმდენი მამა უცხოონდა, რამდენიც იმას მისცესა,  
 ერთი ოთხიოდ პანდური ამოჰკრეს და გააგდესა.“

დარჩება უმიზნოდ და უაზროდ დაღვრილი უდანაშაულო სისხლი, რომლის გამო ზნეობრივ პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს ვერც აფხაზი, ვერც ოსი და ვერც ქართ-

თველი...“<sup>1</sup> კუბლიცისტური ხელოვნებით გადმოცემული კომპლექსური პრობლემა თანაბრად იწვევდა როგორც ოსი ისე ქართველი მკითხველის ინტერესს და მათი გონების მზერას მიაპყრობდა არსებული სინამდვილისაკენ ყოველგვარი შელამაზების გარეშე. შედეგად მართლაც მიიმე ვითარება მიიღო ორივე მხარემ. ინსპირატორი კი კვლავ აკონტროლებს ვითარებას.

გაზეთში კვითხულობთ, რომ 5 იანვარს თბილისში მთავრობის სახლთან შიდა ქართლში მიმდინარე მოვლენების გამო დაიწყო შიმშილობა. აქციის ავტორებად დასახელებული არიან დამოუკიდებლობის პარტია, დემოკრატიული პარტია და სახელმწიფოებრივი აღორძინების პარტია. მოშიმშილეთა მოთხოვნაა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა; ამასთან სკკპ პოლიტბიუროს წარმომადგენელთა ჩამოსვლა თბილისში და დიალოგის გამართვა ეროვნული ხსნის კომიტეტთან ტელევიზიის პირდაპირ ეთერში.

ამავე ნომერში გამოქვეყნებულია ნ. ქემერტელიძის მიერ მოძიებული საარქივო მასალები 20-იანი წლების ქართულ-ოსური დაძაბული ურთიერთობის შესახებ. მათში ასახულია ოლქის შექმნის მტკივნეული პროცესები 1922 წელს, ქართული მოსახლეობის უმძიმესი ხვედრის შესახებ ამის გამო, მათი პროტესტის არად ჩაგდება ბოლშევიკების მხრიდან და სხვა.

ყურადღებას იმსახურებს წინამდებარე ნომერში დასტამბული პოეზიის ნიმუშები. პატრიოტული მუხტით არის გაჯერებული მ. კორკოტაძის ლექსი „სიტყვა ქრისტესმიერი...“, რომელიც ეძღვნება ზვიად გამსახურდიას; ასევე რუსლან მიქაბერიძის ეპიგრამები; ი. ჩახნაშვილის „მერაბ კოსტავას“; გ. კალანდაძის „ბრძოლა მწყურია“;

გაზეთში გამოქვეყნებული სამგლოვიარო განცხადებები გვაუწყებენ შმაგი სამნიაშვილის, ვეფხია თუთარაშვილის, პაატა ნიკორაშვილის სეპარატისტების მიერ გასროლილი ტყვიით სიკვდილის სამწუხარო ფაქტებს.

გაზეთი ცდილობს მეთოდურად გამოაშკაროს ოსური სეპარატიზმის თანამგრძნობნი და საზოგადოებაში

<sup>1</sup> იქვე

გამოიწვიოს ანტიპათია მათი მისამართით, რათა სხვათათვის სანიმუშო იყოს ეს აქტი. მიუხედავად ზოგიერთი ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზისა, უნდა აღინიშნოს, რომ „სამაჩაბლოს“ გამოცემა იმ პერიოდის კატაკლიზმების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად დამკვიდრდა, რადგან აქტიურად ცდილობდა მართლის თქმით ქართული ინტერესების დაცვას, იგი არ ერიდებოდა ოსური მოსახლეობის უარყოფით გამოსხმავრებას.

საზოგადოებრივი აზრის პოზიტიური მიმართულებით წარმართვას ისახავს მიზნად გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ დასტამბული ღია წერილი საქართველოს ეროვნული მოძრაობის ფორუმისადმი. 1990 წლის 13-14 მარტს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობდა ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. ამ მოვლენის მისასალმებელი განწყობილებაა გამოხატული დაბა ახალგორის ოსი ეროვნების მკვიდრთა ღია წერილში: „ეს მოვლენა ყველა ოსი ეროვნების მუშა-მოსამსახური-სათვის სასიხარულოა იმითაც, რომ ფორუმში მონაწილეობას იღებდა ოსური ასოციაცია „სიმართლე“ (რასთძინად). ამ ფორუმზე მისმა ლიდერმა ბორის დუდაროვმა წარმოთქვა სიტყვა, სადაც იგი მოუწოდებდა ოს და ქართველ ხალხს ერთიანობისაკენ ეროვნული მოძრაობის საქმეში. დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა დუდაროვის მოწოდებას. ყველა იმ ოსის სახელით, რომლისთვისაც ეს სიყვარული და თანადგომა მთავარი მიზანია, და ასეთები ძალიან ბევრია, გვინდა მხარში ამოუვდგეთ ამ აზრით მოქმედ ასოციაცია „რასთძინადს“<sup>1</sup> ორი ათეული ოსი ეროვნების მოქალაქე აწერს ხელს აღნიშნულ მიმართვას. ვფიქრობთ, ჯანსაღი მოსაზრების ასეთი მეთოდით გახშიანება ორი ხალხის შერყეული ურთიერთობის გამოსწორებისათვის მნიშვნელოვანი იყო.

გაზეთ „კომუნისტში“ 7 იანვრის მოწინავე „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში“, აშუქებს რა ცკ-ს ბიუროს სხდომას, ქმნის აზრს, რომ თითქოს მოვლენათა განვითარების სადავეები მის ხელთ არის და, თუ რაღაცას დღეს ვერ აკონტროლებს – მას ხვად

<sup>1</sup> გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, 29 მარტი.

უცილოდ დაეუფლება და სწორედ ამ მიზნით იქნა შეყვანილი ცხინვალში მილიციის დამატებითი ძალები. იდეოლოგიური მიზანმიმართული საზოგადოებრივი აზრის დამუშავება შედეგს აღწევს – ცხინვალის მოსახლეობის ქართული ნაწილი მილიციას იმედით შეეგება, რასაც ვერ ვიტყვით ოსურ ნაწილზე, რომელთაც ოკუპაციად აღიქვს ეს აქტი.

აი, სწორედ ეს მომენტი არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს ხელისუფლების მიერ. მათ არ ჰქონდათ ჩატარებული მუშაობა ოსური საზოგადოების იდეოლოგიური მომზადების მიმართულებით; რამაც საბედისწერო შედეგი გამოიღო – სეპარატისტთა იდეოლოგიური გავლენა გაცილებით მძლავრი აღმოჩნდა, თუმც მათი გამოცემული გაზეთები მცირე ტირაჟით ვრცელდებოდა. ამ მიმართულებით ქართულ მხარეს ბრძოლა თავშივე წაგებული ჰქონდა.

„3 იანვარს ცხინვალის რაიონის სოფელ ფრისში ცხრა თვის ბავშვის მკვლელობამ მკვეთრად გაამწვავა მდგომარეობა და საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. თბილისში, გორში, ზოგიერთ სხვა რეგიონში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, გამოითქვა უკმაყოფილება რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების თაობაზე ზოგიერთ ცენტრალურ გაზეთში არაობიექტური ინფორმაციის გამოქვეყნების გამო.“<sup>1</sup> — ასე ცდილობს ხელისუფლება თავისი ნაბიჯების მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის შექმნას; ხოლო ოპოზიციური პრესის დადანაშაულება საზოგადოების მხარდამჭერით სურს.

საინფორმაციო წერილი. მკითხველს აუწყებს, რომ ცკ-ს პირველი მდივანი გივი გუმბარიძე ინტენსიურად ხედუბა ცხინვალის, ზნაურის (თიღვის), ლენინგორის (ახალგორი), გორის, თბილისის და სხვა რაიონების საზოგადოების წარმომადგენლებს, ასე ისახება სიტუაციის ნორმალიზაციის კონტურები. ბიუროს სხდომის ანგარიში საზოგადოებას არწმუნებს, რომ სტაბილიზაცია მიღწეულ იქნება საბჭოთა და სამართალდამცავ ორგანოთა აქტიური მოქმედებით; პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გაძლიერებით, ახსნა-განმარტებითი მუშაობით ჩანასახშივე აღიკვეთება სამართალდარღვევების ყოველგვარი ცდაო და საკმაოდ

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1990, 7 იანვარი.

კატეგორიული განცხადება კეთდება, რომ გამოირიცხება ყოველგვარი დათმობა: „ყველამ, ვინც უნდა იყოს ის, მკაცრად აგოს პასუხი კანონის წინაშე, რათა მოსახლეობამ დროულად და მთლიანად იგრძნოს სრული სრული სიმშვიდე, სოციალური და მოქალაქეობრივი დაცულობა;“<sup>1</sup> მოსახლეობის დასამშვიდებლად გამოქვეყნებული ასეთი ინფორმაცია, საკმარის საფუძველს მოკლებული ყოფილა, როგორც მოგვიანებით გაცხადდა.

დღევანდელი გადასახედიდან, სავარძელ შერყეული კომუნისტური ხელისუფლების მართვის მეთოდები მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაზე ორიენტირებულად გამოიყურება. ამ მიმართულებით სვლა კი მიზანმიმართულად ხორციელდება: „ყურადღება უნდა მიექცეს ტელევიზიისა და პრესის საშუალებით მოსახლეობის ოპერატიულ და ობიექტურ ინფორმირებას არსებული ვითარებისა და ხელისუფლების ორგანოების მხრივ მიღებული ზომების შესახებ; ამ ზომებმა ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მხარდაჭერით უახლოეს ხანს უნდა უზრუნველყონ მდგომარეობის სტაბილიზაცია და ნორმალიზაცია.“<sup>2</sup> გარდა იმისა, რომ საზოგადოების მიჯრითი პროპაგანდა ხორციელდება, ამავე დროს იკვეთება პასუხისმგებლობის მოსახლეობისთვის განაწილების სურვილიც. ხდება გამუდმებით მკითხველის დარწმუნება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ძირითადად ფლობენ სიტუაციას.

ამავე ნომერში ქვეყნდება რესპუბლიკის პირველი პირის გივი გუმბარიძის სატელევიზიო გამოსვლის ტექსტი, რომელიც ცხინვალში მიმდინარე მოვლენებს შეეხება და გამოხატავს ხელისუფლების მოსაზრებებს, მიზნებს, ორიენტირებს რთულ ვითარებასთან დაკავშირებით. სატელევიზიო მიმართვის ძირითადი დანიშნულება მაყურებლის, ამ შემთხვევაში მკითხველის მთავრობის გადაწყვეტილებათა მხარდასაჭერად დარაზმვაა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია გააქტიურებული ოპოზიციის მოქმედებათა ფონზე. 5 იანვარს საქართველოს ცენტრალური ტელევიზიით გამოვიდა კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი. ხელისუფლება ამ მიმართვით

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

საზოგადოებას ამზადებს, როგორც ჩანს, უკვე დაგეგმილი  
ნ იანუარის აქტისათვის. გამოსვლაში მიმოხილულია შიდა  
ქართლში შექმნილი საზოგადოებრივ პოლიტიკური მდგო-  
მარეობა; ახალი წლის საზეიმო განწყობილებათა შეხსენე-  
ბის ფონზე, გამომსვლელი კონტრასტულ სურათს აღწერს:  
„მოსახლეობასთან, დაღუპული ბავშვის მშობლებთან,  
ახლო ნათესაებებთან შეხვედრებმა, შიდა ქართლში, გორის  
რაიონში, შემდეგ კი თბილისში გამართულ ხალხმრავალ  
მიტინგებზე გამოსვლებმა, ცხინვალიდან, ზნაურიდან,  
გორიდან ჩამოსულებთან შეხვედრებმა კიდევ უფრო დაგ-  
ვარწმუნა იმაში, რომ, სამწუხაროდ, არიან ძალები, რომლე-  
ბიც არაფერს არ ერიდებიან, ხელიდან არ უშვებენ არც  
ერთ შემთხვევას, რათა დაარღვიონ სიმშვიდე ქართულ  
მიწა-წყალზე, გამოიწვიონ დესტაბილიზაცია რესპუბლიკა-  
ში, შექმნან კრიზისული კატასტროფული ვითარება, დაუ-  
პირისპირონ ერთმანეთს ხალხები და დაღვარონ სისხლი.“<sup>1</sup>  
ესოდენ ომახიანი განცხადება, როგორც მოგვიანებით გაირ-  
კვა, საკმაოდ უსაფუძვლო იყო, ის ბნელ ოთახში შავი  
კატის დაჭერის სურვილს უფრო წააგავდა, თუმც ასეთმა  
იდეოლოგიურმა მუშაობამ მოსახლეობის დიდ ნაწილში  
სტაბილიზაციის იმედი გააღვივა.

გივი გუმბარიძე დაუინებით ირწმუნება, რომ რესპუბ-  
ლიკურ ორგანოებს აქვთ ყველა საჭირო ძალა წესრიგის  
დასამყარებლად, დებს პირობას, რომ ქართველი მამისა  
და ოსი დედის შვილის მკვლელი სამაგალითოდ დაისჯება.  
მაშინ დაძაბულობით დაღლილი მოსახლეობისათვის წარ-  
მოუდგენელი იყო, რომ დიდი მსხვერპლი ჯერ არ გაღებუ-  
ლიყო, როგორც ოსური, ისე ქართული მხრიდან. ძნელი  
სათქმელია, თავად გამომსვლელისთვის თუ იყო წარმოსად-  
გენი შემდგომი პროცესები, მაგრამ ის საზოგადოებას  
მოუწოდებს, არ აწყვეს პროვოკაციებს, რომლებსაც მხო-  
ლოდ ანარქიის გამოწვევა შეუძლია და წყალს ასხამს  
სხვის წისკვილზე. ვისია ეს ე. წ. წისკვილი და რატომ  
უნდა აძლევედეს ხელს მას ორ ხალხს შორის კონფლიქტის  
აგორება – მკითხველისთვის გამოცანად რჩებოდა; მეტიც  
ასეთ აღრეულ ფონზე პრესაში ჩამოყალიბდა მესამე

<sup>1</sup> იქვე.

ძალის „მისტიური“ სახე; სწორედ მას მიაწერდა, როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია აუხსნელ უბეშემთხვევებს.

გაზ. „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტის გურამ ხარაძის აქტუალური წერილი „ტკივილი და იმედები“ საინტერესოა მოვლენათა გაშუქების ხერხებით.

საკავშირო გაზეთი „Известия“ დაპირისპირების შესახებ მოკლე ინფორმაციით შემოიფარგლა 13 იანვრის ნომერში: „Всех в области взволновало обращение женщин Юго-Осетии ко всем жителям края. Главная мысль, прозвучавшая в нем, в том, что ничего, никакая цель не может стать оправданием, если проливается кровь, если унижению подвергаются женщины, старики, дети. Надо сделать всё, чтобы оба народа – грузины и осетины – достойно вышли из данной ситуации, проявив мудрость и благоразумие.“<sup>1</sup> სსრკ-ს ცენტრალური გაზეთი სასხვათაშორისოდ აუწყებს მკითხველს არსებული დაძაბულობის შესახებ, იუწყება რა მისი ოსური მხარის ინიციატივით მოგვარების მცდელობის შესახებ. აქვე უკვე ცხადი ხდება ცენტრის ტენდენციური პოზიცია ამ მოვლენებისადმი. მთელი კავშირის მასშტაბით პროოსური აგიტაცია ანტიქართულ ხასიათს იღებს, რაც შემდგომ პერიოდში მკაფიო და აშკარა ხდება.

აქვე ვკითხულობთ ინფორმაციას ჩრდილო ოსეთის ინტელიგენციისა და ცნობილი ადამიანების მიერ გამოქვეყნებული მიმართვის შესახებ ქართველი და ოსი მოსახლეობის მიმართ, სადაც მოუწოდებენ ორ ხალხს შეინარჩუნონ ტრადიციული მეგობრული ურთიერთობანი და არ აყენენ პროვოკაციებს.

ივანე მაჩაბელს საზოგადოების რიგგარეშე კონფერენციიდან რეპორტაჟს გვთავაზობს მასალა სათაურით „დაშრა ზღვა მოთმინებისა!“ ავტორი კოტე გურგენიძე ჟურნალისტური ტაქტიით მოგვითხრობს მღელვარებით გამორჩეულ სახალხო თავყრილობაზე. ამავე დროს, მოზომილი კომენტარებით საკუთარ პოზიციასაც ამკვიდრებს: „ვითმენტ. ვითმენტ იმას, რასაც ნებისმიერ, ყველაზე უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოში უმალ მოუნახავდნენ სათანადო შეფასებას და დამნაშავეთ კანონით აგებიანდნენ პასუხს. ვითმენტ,

<sup>1</sup> გაზ. «Известия», 1990, 13 января.

რომ ავწონოთ, მოთმინება მ რამე დაგვაკლო თუ შეგვმატა, რომელი პინა გადასწონის? ვითმენთ, მაგრამ მოთმინება რომ გულხეულდაკრეფილად ჯდომას არ ნიშნავს, ვსციტო. მოთმინება სხვაგვარად აიხსნება: გონივრული, გააზრებული და მიზანმიმართული მოქმედება. აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია. მაგრამ ერთი აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, ვინც დააგვიანა, უკვე წააგო...“<sup>1</sup> ერთგულ ღირსების დასაცავად აღმართული ჟურნალისტი ასეთი ექსპოზიციით ქმნის საფუძველს კონფერენციის ძირითად პრობლემათა წარმოსაჩენად. სწამს, რომ აღარ გამოდის მეორე ყვრიმალის მიშვერა, რადგან შინაური თუ გარეული მტერი ამას ჩვენი კეთილშობილების, შემნდობლობის ნაყოფად კი არ აღიქვამს, არამედ უძღურებად და დაუსჯელობით უზომოდ გათავხედებული ქართულ მიწა-წყალზე ქართველებისავე სისხლსა ღვრის.

ავტორს დაუსჯელობის სინდრომი მიაჩნია კონფლიქტის უმთავრეს წამახალისებელ ფაქტორად; დამნაშავეთა თავისუფალი ყოფის აღკვეთა აუცილებელ პირობად ესახება კონფლიქტის დასარეგულირებლად. ერთგვარი სინანულის გრძნობით არის აღნიშნული გარეშე ძალის წაქეზებით შინაური „უგუნურების“ მიერ ჩადენილი ისტორიული აგვაცობა, რისი დასტურიც 9 აპრილს ცხინვალში განვითარებული მოვლენებიც არის. ივანე მაჩაბლის საზოგადოების რიგგარეშე ყრილობის მოწვევაც ამ ფაქტმა განაპირობა. მასში მონაწილეობდნენ ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებებისა და საზოგადოებების წარმომადგენლები. კონფერენცია გახსნა და გაწეული მუშაობის შესახებ ისაუბრა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ გურამ შარაძემ. მან აღნიშნა, რომ სოფელ ქურთაში, ჯანდაცვისა და სახალხო განათლების სამინისტროების თანადგომით, გაიხსნა საავადმყოფო. მიმდინარეობს მოსახლეობის აღწერა, რათა საფუძველი გამოეცადლოს მტკიცებას, თითქოს სამხეთ ოსეთში ქართველები უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ. 20 წელია სოფელ თამარაშენში ჭიანჭურდება ივანე მაჩაბლის სახლის აღდგენა, რომელიც საქართველოს ინტერესების დამცველ

<sup>1</sup>გაზ. „კომუნისტი“, 1990, 19 აპრილი.

ცენტრად უნდა იქცეს. საქაგრომრეწვემა და სათბობის სახელმწიფო კომიტეტმა კარგად დაიწყეს მუშაობა სამაჩაბლოს ერთ ნაწილში, ბუნებრივი გაზისა და წყლის გაყვანის დაპროექტებაზე, მაგრამ შემდეგ ენთუზიაზმის შენელება გააკრიტიკა გამომსვლელმა. ამ და მრავალ სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემაზე იქნა გამახვილებული ყურადღება სხვა გამომსვლელთა მოხსენებებშიც. რეპორტაჟს მეტად ეფექტურს ხდის დარბაზში მიმდინარე პოლემიკის ცოცხლად ჩვენება: „დარბაზი: გაფიცვა დაიწყო ცხინვალის ქართულ სკოლებში. მე-4 ქართულ სკოლაში დაბინავებულია საგაფიცვო კომიტეტი. მიმართვა გაეგზავნათ ეროვნულ ფორუმსა და საქართველოს უზენაეს საბჭოს. გაფიცვა დღითი დღე ფართოვდება. ფაქტობრივად, ოქტის მთელი ქართული მოსახლეობაა გაფიცული. გაიფიცა გორის რაიონის რამდენიმე სკოლაც.“<sup>1</sup> გაზეთ „კომუნისტისთვის“ არატრადიციული ასეთი პირდაპირი შეუღამაზებელი რეპორტაჟი მეტყველებს ქართული მხარის მოთმინების საწყაულის აღვსებაზე. აქვე მოთქმულია საყვედური მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებათა მისამართით, რომელთაც არაობიექტურად გააშუქეს ცხინვალში 9 აპრილს განვითარებული მოვლენები. ახლანდელი 9 აპრილი შარშანდლის ლოგიკურ გაგრძელებად არის წარმოდგენილი, როცა ოსთა ნაწილი ღამის ტაშ-ფანდურით შეხვდა თბილისის სისხლიანი განთიადის ცნობას.

რეპორტაჟი შეჯამებულია ავტორიტეტული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სოლომონ ხუციშვილის ციტატით: „თუ საქართველოში ქართველებს ცხოვრება გაგვიჭირდა, სიცოცხლეც აღარ ღირს!“ ერთობ რადიკალურად დასმული ეს თეზა მეტყველებს არსებულ რთულ ქართულ-ოსურ ურთიერთობაზე, რაც კოტე გურგენიძის მიერ კონფერენციის მსვლელობის აღწერის ფონზე ოსტატურად აისახა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს კომპარტიის ლენინგორის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს ორგანოს „ლენინელის“ 1990 წლის 17 აპრილის ნომერი. გაზეთის პირველი გვერდიმიძღვნილია

<sup>1</sup> იქვე.

ქართული ენის დღისადმი. მკითხველს შეახსენებს ამ თარიღის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, როგორც ქართველი, ასევე რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ეროვნების მოსახლეობისათვის. დასტურად აქცენტირებულია ილიას მოსაზრება – ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა. ასეთი მასალების გვერდით იბეჭდება რედაქციის დამაჯერებელი არგუმენტებით განმტკიცებული მოწოდება სათაურით „გმობენ ერთეულთა უგვანო საქციელს“ მასში გადმოცემული ინფორმაცია ცხინვალში 9 აპრილს საქართველოს თავისუფლებისთვის შეწირულთა მემორიალური დაფის გახსნასთან დაკავშირებული დაპირისპირების შესახებ, რასაც ქართული ეკლესიის შეურაცხყოფაც დაერთო. რედაქციას მიაჩნია, რომ ამ ფაქტმა აღაშფოთა ქართველებიცა და ოსებიც და „ერთეულთა უგვანო საქციელმა კი არ უნდა დაგვაპირისპიროს, უნდა გაგვაერთიანოს, ვინ იცის მერამდენედ პროვოკაციას კი არ უნდა წამოვეგოთ, გონებას მოვუხმოთ, ცეცხლზე ნავთი კი არ დავასხათ, გულისყურით, გულისხმიერებით შევაჩეროთ ეს მტკივნეული პროცესები. ყველას სურვილი ერთია: მკაცრად დაისაჯონ ამ ახალი პროვოკაციის, დანაშაულის მომქმედნი და ბოლო მოეღოს ერთეულთა ყოველად შეუფერებელ საქციელს, ეროვნული შუღლის გაღვივებას.“<sup>1</sup> რაიონული გაზეთი მცდელობას არ აკლებს ჯანსაღი პოზიციის დამკვიდრებას და ამ გზით ორ ხალხს შორის ურთიერ-თობის მოგვარებას.

განხილული მასალები ქართული, ოსური და რუსული პრესიდან ნათელ სურათს ქმნის – ქართული გაზეთები მაქსიმალურად ცდილობენ კონფლიქტის ესკალაციის შეჩერებას. ოსური და რუსული პრესის მხრიდან კი განსხვავებულ განწყობილებას ვხვდებით, რაც გვაძლევ საფუძველს დავასკვნათ, რომ წინასწარ გამიზნულ კონფლიქტის თავიდან არიდება მათ მიზნებს არ წარმოადგენდა.

<sup>1</sup>გაზ. „ლენინელი“, 1990, 17 აპრილი.

## თაზო II კონფლიქტის ბაზუშქება კრესაში

1991 წლის 6 იანვარს ცხინვალში, დაძაბული ვითარების ნორმალიზაციის მიზნით, შეკვანილ იქნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალები. ეს იყო ახალი ეტაპის დასაწყისი ქართულ-ოსურ ურთიერთობაში; ამ ხალხებს შორის ტრადიციული კეთილმეზობლური ურთიერთობა არაერთხელ დარღვეულა, ისტორია გვკარნახობს, რომ შეიარაღებული შეტაკებანიც ხშირად მომხდარა. ამდენად, 6 იანვარი ქმნიდა ასეთი დაპირისპირების საფრთხეს; მით უმეტეს, რომ გარკვეული წინაპირობანი ამისათვის უკვე არსებობდა.

კონფლიქტის წინარე ვითარებად კი მოვიანზრებთ 1989 წლის 23 ნოემბრის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. ეს დღე იქცა ორი ხალხის დაპირისპირების რეალური გამოსატყულების მკაფიო ნიშნულად. მიუხედავად კონფრონტაციული რთული ფონისა, მაშინ მოხერხდა სისხლისღვრის თავიდან აცილება, რაც კარგად ჩანს გულნარა ბაშარულისა და ნინო კლარჯაშვილის ერთობლივ წერილში „სტაბილიზაცია მესამე ძალის ჩაურევლად“. 27 ნოემბერს კინოს სახლში გაიმართა ბრიფინგი, რომელიც მიემდგვნა 23 ნოემბრის მოვლენებს. მისი მონაწილეები იმავე დღეს გაემგზავრნენ ცხინვალში, სადაც მოეწყო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. წერილიდან ირკვევა, რომ ბრიფინგი შედგა თბილისელი ოსების ინიციატივით. ორი დღით ადრე ისინი მივიდნენ ტელეკომიტეტში და ტელევიზიის მეშვეობით მიმართეს ოს ხალხს. იყო მოწოდებები მშვიდობისა და კეთილგონიერებისაკენ. შემდგომ 7 ავტობუსით გაემგზავრნენ ცხინვალისაკენ, გორში მათ ადგილობრივი ოსური მოსახლეობა შეუერთდა. მათი მიზანი იყო შექმნილი ვითარების განეიტრალება და კონფრონტაციის არდაშვება.

საღამოს ცხინვალში ჩასულებმა თავდაპირველად საავადმყოფოში განთავსებული დაზარალებულები მოინახულეს. ღამის 11 საათზე კი პარტიის საოლქო კომიტეტის დარბაზში დაიწყო დიალოგი. სიტყვით გამოვიდა თბილი

სელი ექიმი ნუგზარ გაბარაევი, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა სწორი ინფორმაცია მიზანიმართულად აღქმულიყო და ასეთი გამჭვირვალე ფონის შექმნით მომხდარიყო სტაბილიზაცია. ასეთივე განწყობის იყო რუსთაველის საზოგადოების ერთაშორისი ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარის გიორგი გაჩეჩილაძის გამოსვლა. მან თქვა: „ორივე მხარის შესახებ უამრავი მითქმა-მოთქმაა და ამიტომ საპრობლემო საკითხების სწორი გააზრებისათვის საჭიროა დიალოგი, ყველაფრისათვის ნათელის მოფენა, და ამაში ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, თორემ თუ კონფლიქტი გამწვავდა, მოგვეხმარება უკვე სხვა – სხვაგვარად.“<sup>1</sup> საბედნიეროდ, კონკრეტულ სიტუაციაში (1989 წლის ნოემბერში) ორივე მხარის ძალისხმევა საკმარისი აღმოჩნდა დაპირისპირების დასაძლევად, მაგრამ მას სავალალო გაგრძელება მოჰყვა და გ. გაჩეჩილაძის სამწუსარო პროგნოზიც მოგვიანებით გამართლდა. ამ დროისათვის კი დარბაზში მსხდომი საზოგადოება გამოთქმულ აზრს დადებითად გამოეხმაურა. ადგილობრივი ოსური მოსახლეობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 23 ნოემბერს თბილისიდან ჩამოსული მომიტინგეები შეიარაღებულნი ეგონათ. ასეთმა დეზინფორმაციამ გამოიწვია საპასუხო რეაქცია, რაც გამოიხატა ცხინვალის შესასვლელების გადაკეტვითა და პიკეტირებით. დიალოგისას გაირკვა, რომ ეს იყო ყალბი ინფორმაცია. დარბაზში გამოიკვეთა აზრი, რომ მესამე ძალა ცდილობს, ავი ზრახვები მოახვიოს ისტორიულად მეგობარ ორ ერს.

დიალოგის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა, „ადამონ ნიხასის“ ლიდერებმა და თბილისიდან ჩასულმა დელეგაციამ შეიმუშავეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებდა ყველა საკონფლიქტო სიტუაციის მოგვარებას. კერძოდ, ოსი ხალხის დიდი ხნის თცნება – ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთა შეერთების შესახებ – არის შორეული მომავლის საქმე, რძმ პუშმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე არ არის მიუღებელი, მხოლოდ ეს არ უნდა მოხდეს საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის ხარჯზე. მიუხედავად ასეთი პიპიენდისა, ჟურნალისტებს უჩნდებათ საფუძვლიანი ეჭვი, რომ:

<sup>1</sup> გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1989, 30 ნოემბერი.

„დიალოგისას გამოჩნდა „ადამონ ნიხასის“ ლიდერთა არამყარი პოზიცია – როგორც კი მათ არგუმენტირებული მოსაზრებები დაუპირისპირეს, მათ შეიცვალეს პოზიცია. შესაძლებელია მათი თანხმობა კეთილგონიერების შედეგია, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ეს იყოს შორს გამოზნული პოლიტიკის გამოხატულება (ამას მომავალი გვჩვენებს).“<sup>1</sup> როგორც რეპორტაჟიდან ირკვევა, ოცდაათკაციანი დელეგაცია თბილისისაკენ დილით გამოემართა. გზებზე კვლავ იდგა შეიარაღებული მოსახლეობა, ცხინვალის შესასვლელთან კი მილიციის ნაწილი. ვითარება, როგორც ჩანს, ყოველ წუთს იცვლება, ავტორთა აზრით – სასიკეთოდ.

ქართული მხრიდან ტოლერანტობის არაერთი მაგალითი გამოიხატა პრესაში, მათ შორისაა ცნობილი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის პოზიცია, რომელიც ღირებულ ადამიანურ ფასეულობებს უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს და ცდილობს, საკუთარ მრწამსს აზიაროს დაპირისპირებული მხარეები: „Вед борьба должна идти не за признаки нации, а за свободу народа... Защищая достоинство абхаза, армяна, осетина, защищаешь свое достоинство, иначе для меня не существует высокое понятие грузина.“<sup>2</sup>

კონფლიქტის ერთ გამოკვეთილ ეტაპად ითვლება ჩვილი ბავშვის – პაატა ნიკორიშვილის საზარელი მკვლელობა ცხინვალთან მიმდებარე სოფელ ფრისში. როგორც ელენე დიასამიძის წერილი „Трагедия в селе приси“ გაზეთ „Заря Востока“-ში იტყობინება: „Эту страшную весть услышали мы из уст приехавших в столицу жителей Приси и близлежащих сел. Их было более 150 человек. И все они просили одного – встречи с работниками прессы, чтобы рассказать им всё, что стало острой, неутрачивающей болью, рассказать правду.“<sup>3</sup> ასეთი შეხვედრა შედგა. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში შეიკრიბნენ რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორები, ტელევიზიის ხელმძღვანელი მუშაკები, სხვადასხვა საზოგადოებების წარმომადგენლები. ისინი აშკარა ძალა-

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> გაზ. «Молодежь Грузии», 1990, 21 сентября.

<sup>3</sup> გაზ. «Заря Востока», 1990, 5 января.

დობის ფაქტის წინაშე იდგნენ. როგორც ბავშვის მამა ამბობს, 3 იანვარს, შუაღამით, გაიღო მათი სახლის კარი და გაისმა სროლის ხმა. ტყვია თავში მოხვდა ბავშვს. დამნაშავეები მიიმალნენ. მძიმედ დაჭრილი ბავშვი გორის საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. საქართველოს პროკურატურა იძიებს საქმეს. ამ დროისათვის დაკავებულია ოთხი ეჭვმიტანილი. კონფლიქტის რეგიონის მოსახლეობის წარმომადგენლები აღშფოთებულნი საუბრობდნენ განსაკუთრებით დაძაბულ ვითარებაზე, რომელიც, ჩანს, გაუთვალისწინებელი უბედური შემთხვევებით ემუქრება მათ. ისინი მოითხოვდნენ რეგიონში ქართული მილიციის დანაყოფების გაძლიერებას, საინფორმაციო საშუალებებისაგან კი მოითხოვეს მოვლენების უტყუარი გაშუქება, რადგან მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რეალურად რა ხდება შიდა ქართლში.

იგივე მოვლენებს აშუქებს ქართული გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ ალექო ასლანიშვილის მასალით „შემზარავი ფაქტი“. მასში უხვად არის ციტირებული ცხინვალის რეგიონის აღშფოთებული მოსახლეობის გამოსვლები ზემოთ მითითებულ შეხვედრაზე. მასში კარგად ჩანს დაპირისპირების სიმძაფრე, რაც ქართული მოსახლეობის მძიმე ყოფის ფონზე შუქდება. ხანდაზმული გიორგი ქრისტესიაშვილი აცხადებს, რომ დიდი გასაჭირი ადგას მოსახლეობას, ფაქტობრივად უუფლებო მდგომარეობაში იმყოფება: „ოსი ეროვნების მილიციის მუშაკები თვითონვე მონაწილეობენ ჩვენზე თავდასხმებში. შიშით ცხინვალში ვერ ჩავსულვართ, ყველაფერი ოსურ სოფლებში ნაწილდება. გორის რაიონი რომ არ გვეხმარებოდეს, შიმშილობა მოგვიწევს. დაეხეტებიან ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ჯგუფები. 3 იანვარს სროლით თავს დაესხნენ სოფელ ხეთს, კეხვი, ქურთა, ძარწემი და სხვა სოფლები ღამის ალყაშემორტყმულია.“<sup>1</sup> აქ იგულისხმება ცხინვალზე გამავალი გზის არასაიმედოობა, რომელიც 9 ქართული სოფლის ერთადერთი დამაკავშირებელი იყო ქართულ სამყაროსთან. მოგვიანებით ტყეში გაიჭრა „სიცოცხლის გზად“ წოდებული გადასასვლელი, თუმც არც ის იყო უსაფრთხო გაწამებული

<sup>1</sup>გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, 5 იანვარი.

მოსახლეობისათვის. ლალი ცოტნიაშვილი მსმენელს მოუთხრობს, რომ 1 იანვარს თავს დაესხნენ და სროლა აუტეხეს ერედვის მკვიდრს ფრიდონ ბორცვაძეს, რომელსაც მანქანით ცოლ-შვილი მოჰყავდა. ტყვია დაახალეს ვიგენტი ქრისტესიაშვილის მანქანას, ორივე სასწაულის წყალობით გადაურჩა სიკვდილს. ცხინვალის რადიო კი ისეთ ცნობებს გადასცემს „ქართველთა მხეცობის“ შესახებ, ხალხს სისხლს უმღვრევს. პირველი შეტაკებების აღწერას ოსური პრესა უტრირებულად აშუქებს, რაც პარალელურად მხარეებს შორის საინფორმაციო ომის დაწყებაზეც მიუთითებს. ომისა, რომელიც ზნეობრივ კრიტერიუმებს არც ამჯერად ითვალისწინებს. ასეთივე ფაქტი დააფიქსირა ლიანა ზუბაშვილმა – მისი მაზლის სევესტი ზუბაშვილის დაჭრის ფაქტი ცხინვალის რადიომ გააცხადა, როგორც ქართველების მიერ დაჭრილი ზუბაევი. ასე კიდევ ერთით გაიზარდა „დაზარალებული“ ოსების რიცხვი. შემაშფოთებელია ლალი ბალიაშვილის ინფორმაცია – იგი აცხადებს, რომ ოჯახიანად ერედვს შეეხიზნა, რადგან რამდენიმე დღის წინ ოსმა ექსტრემისტებმა მის შვილს პისტოლეტი დაადეს და ჩახამხსაც გამოკრეს, მაგრამ საბედნიეროდ არ გავარდა თუმცა, დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღეს, როგორც ბავშვმა ასევე მშობლებმა. ქართველთა დევნის მორიგ ფაქტს ასახელებს ცხინვალის მკვიდრი უუჟუნა კასრაძე, რომელსაც არ აპატიეს 23 ნოემბრის აქციაში მონაწილეობა და სახლთან სროლა აუტეხეს. მისი ოჯახიც გაიხიზნა ქალაქიდან. მიხეილ ქრისტესიაშვილი ქართული მილიციის შემწყალებლობას მიიჩნევს ოსი რადიკალების გათავსებების მიზეზად. როგორც ცისანა ვახტანგაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს აუწვა – იგი სასწრაფო დახმარების ბრიგადაში მუშაობს და თვითონ ნახა ოსურ „თავდაცვის შტაბში“, რომელიც ცხინვალის ქორწინების სასახლეშია განთავსებული, საშინლად ნაცემ-ნაგვემი ქართველი ახალგაზრდები. 80 წლის ლუბა აღბორთოვა-ვახტანგაშვილი მოვლენების გასაანალიზებლად წარსულს მოუხმობს და აცხადებს, რომ ცხინვალი რომ საქართველოა, ამას მტკიცება არ უნდა სჭირდებოდეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილეს

ვახტანგ გვარამიას გამოსვლა, როდესაც ის შეეცადა მილიციის გამართლებას, რომ შეურაცხყოფის ფაქტებს არ გვატყობინებს მოსახლეობაო, შეაწყვეტინეს რეპლიკით, რომ იქ მილიციამდე მისვლა ჭირს, სამხრეთ ოსეთის მილიცია თავს არიდებს ქართველთა დაზარალების ფაქტების დაფიქსირებას. საქართველოს მილიცია უსუსურობას იჩენს, ჯერაც არ ჩანს ვრედველთათვის დანაპირები საველე ლაზარეთი. თვით მაიორი ვია სანაკოვეი, რომელმაც შეურაცხყო დაჭრილი ქართველი მილიციელი, ჯერაც ფორმით დადის. უურნალისტური ოსტატობითა და ობიექტური ანალიზით ავტორი დაასკვნის: „შიდა ქართლში შექმნილი ვითარების ისეთი მდგომარეობა გამოიკვეთა, რომელმაც არ შეიძლება არ შეგვძრას. ჩამოსულებმა პირდაპირ დააყენეს იქ მცხოვრებ ქართველთა მოთხოვნები: მდგომარეობა უადრესად კრიზისულია. სათანადო ორგანოები შეუწყნარებელ უმოქმედობას იჩენენ, არ ემარა ცარიელი დაპირებები და ცალკეული დონისძიებები, რესპუბლიკის მილიციამ თავის ხელში უნდა აიღოს მდგომარეობის მართვა ცხინვალში, უნდა გაუქმდეს იქ არსებული ე. წ. „თავდაცვის შტაბი...“<sup>1</sup> ამავე თემას ეთმობა იგივე გაზეთის შემდგომ ნომერში მერაბ დავითიძის წერილი „დაფარვა არ ეგების“. წინამდებარე წერილი გამოირჩევა მოვლენათა შეფასების რეალისტური განწყობით, რაც შესავალშივე საგრძნობი ხდება. ერთგვარ თვითკრიტიკად მიგვაჩნია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ციტატა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები მთლიანად აკონტროლებენ სიტუაციას, – სიცრუედ გამოიყურება სამაჩაბლოს მკვიდრი მოსახლეობის მიერ 4 იანვარს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში გამართული შეხვედრის ფონზე. აქ გამოიკვეთა არსებული ქართულოსური დაპირისპირების სიმძაფრე, რომლის დაფარვა აღარ ეგების. ხოლო ზემოთ მოხმობილი ციტატა, რომ „ჩვენი უღონობის აღიარებასა თუ რეალური მდგომარეობის შეუფასებლობას უფრო ნიშნავს. ამიტომ პირდაპირ უნდა განვაცხადოთ და ვადიაროთ, რომ საქართველოს შსს ძალები, ამ ძირძველ ქართულ მიწაზე, სიტუაციას მთლიანად ვერ აკონტროლებენ და ქართველ კაცს აქ ძალზე უჭირს.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> იქვე

<sup>2</sup> გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, 5 იანვარი.

ამას ადასტურებენ საბედისწერო ფაქტები – რამდენიმე ოსმა გააუპატიურა ქართველი ქალიშვილი, მოკლეს 17 წლის ვეფხია თუთარაშვილი, 9 თვის ჩვილის მკვლელობა აკვანში და სხვა მრავალი ფაქტი დასახელდა ამ შეხვედრაზე. ყოველივე ეს ხდება საქართველოს ძირძველ მიწაზე! – შენიშნავს აღშფოთებულ ეჟურნალისტი. იგი იმოწმებს რამდენიმე რევიონის მკვიდრ გამომსვლელს. მათ შორის ეჟურნალისტი გივი ბორცვაძეა, რომელიც პრესას არა ობიექტურობისათვის უნდობლობას უცხადებს და მითხროვს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას. არსებული მძიმე დღევანდელობის ერთ-ერთ მიზეზად წლების განმავლობაში მიზანმიმართულ ანტიქართულ საკადრო პოლიტიკას ასახელებს. შედეგად ერთეული გამონაკლისის გარდა ქართველი ეროვნების თანამშრომლები არ ჰყავს საოლქო სახელისუფლებო სტრუქტურებს. მასალის ავტორი ცდილობს სიზუსტე მაქსიმალურად დაიცვას შიდა ქართლის მოსახლეობის განწყობის გადმოცემისას. საუბარს გაცხარება არ აკლდა, ბევრი ფაქტი დაზუსტებას მითხროვს, მაგრამ ანგარიშგასაწევია 150 კაციანი დელეგაციის მოთხოვნები. ისინი საკუთარ მიწაზე ცხოვრების გარანტიებს ითხოვენ სახელმწიფოსაგან. კვლავ თვითკრიტიკულია მ. დავითიძის აზრი: „ეჟურნალისტებსაც ხომ მიგვიძღვის შექმნილ მდგომარეობაში ბრალი. ზედმეტმა სიფრთხილემ – არავის ვაწყენინოთო, ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიცია არ დავარღვიოთო, – შედეგად აქამდე მიგვიყვანა, ვისაც როგორ მოესურვება ისე ექაჩება ჩვენს მიწა-წყალს თავისკენ. მადაგადვიძებულები აღარც ისტორიულ სიმართლეს დაგიდევენ და არც საუკუნეებით განმტკიცებულ კეთილ მეზობლობას.“<sup>1</sup> ასეთ ასახვას პოეებს დაპირისპირება პრესის ფურცლებზე. გაზეთის პოზიციამ, რომ მათ, ვისთვისაც არაფერს ნიშნავს ისტორიული სიმართლე, ხაღხთა საუკუნოვანი შეგობრობა, საკუთარი ერის ჭეშმარიტი ინტერესები, თავის მიზანს მიაღწია – დაიდვარა სისხლი. ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა ათწლეულების განმავლობაში რესპუბლიკის ხელმძღვანელთა უკუღმართად გაგებულმა ერთაშორის ურთიერ-

<sup>1</sup> იქვე.

თობებმა, არაგონივრულმა, დღემოკლე პოლიტიკამ, რითაც ისინი ცდილობდნენ „ინტერნაციონალური ოაზისის“, ხალხთა მეგობრობის „ორიგინალური ქართული მოდელის“ შექმნას. ამ ხნის განმავლობაში თაობები აღიზარდა დეარძლის, ურთიერთ უპატივცემულობის, სიყალბის, დაუხვედლობის გარემოში. და ახლა ვიპოვებთ ამ დიდი „ინტერნაციონალური პოლიტიკის“ ნაყოფს. ასეთივეა გაზეთის მიმართება აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. ერთი და იგივე ხელწერა ორივე დაპირისპირებას მკაფიოდ აღბეჭდვია. მის განხორციელებას საკავშირო პრესა მიზანმიმართულად უწყობს ხელს. დასკვნითი ფრაზა – გაჩუმება აღარ ეგების! – აშკარა ბრძოლისათვის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მზადყოფნაზე უნდა მეტყველებდეს, რაც XX საუკუნის პრესაში ქართულ-ოსური ურთიერთობების ახალი ეტაპის დასაწყისს აფიქსირებს. განსხვავებით ტრადიციულისაგან, ამჯერად კონფრონტაციული განწყობა დომინირებს. ოსური მხრიდან ასეთი პოზიცია უკვე დიდ ხანია აშკარად იკვეთებოდა ადგილობრივი ოფიციალური თუ არაოფიციალური პრესის ფურცლებზე.

ქართულ მხარესთან დაპირისპირების ერთ მნიშვნელოვან ეტაპს ეძღვნება გაზეთ „Советская Осетия“-ში გამოქვეყნებული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის აღმასკომის მიმართვა ს/ო-ის მოსახლეობისადმი, სადაც განმარტებულია მიმდინარე პროცესები და გამართლებულია საქართველოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად სეპარატისტული ხასიათის გადაწყვეტილებები. ერთგვარ რეფერენდუმად არის მიჩნეული 1990 წლის 9 დეკემბერს აქ მოწყობილი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, მიმართვის მიხედვით, ამომრჩეველთ 70 პროცენტმა დაუჭირა მხარი რესპუბლიკის ფორმირებას. არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების დასადასტურებლად დამოწმებულია უცნობი ორგანიზაცია. წუხილია გამთითქმული იმის გამო, რომ 3 დღის შემდეგ, 11 დეკემბერს, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ გააუქმა ს/ო აო. რასაც დაუნდობელი კრიტიკა მოჰყვება ქართული ხელისუფლებისა, რომელსაც არ ჰქონია ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება, მაგრამ, თუ რატომ გადადგეს თავად საქართვე-

ლოს რღვევისკენ ნაბიჯები, ამ ფაქტს აღარ განმარტავენ. დიალოგის არ გამართვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან გამართლებულია იმით, რომ არჩევნებამდე ძალიან მცირე დრო რჩებოდაო. მკაფიოდ გამოკვეთილ დაპირისპირებას საქართველოს მთავრობას-თან ასეთი კონსტატაციით სთავაზობენ მკითხველს: „...с учетом того, что в выборах ВСРГ осетинская часть населения ЮО не участвовала... для нас законную силу будут иметь решения своего парламента, избранного 9 аекабря 1990 года, который будет функционировать в соответствии с законодательством СССР и международными правовыми актами.“<sup>1</sup> ოსური მხარის ასეთი ტონით მსჯელობისას საერთოდ არ არის გათვალისწინებული ს/ო ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული მოსახლეობა, მაგრამ მოსკოვიდან მიღებული დირექტივები, ჩანს, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა „მეორეხარისხოვან“ ადამიანებს. დემოკრატიის სახელით საუბარი მაღალ იდეალებზე, ასეთ ფონზე, სამართლებრივ საფუძვლებს მოკლებულია. საკუთარ მოსახლეობას დასახული საშვილი/შიელო მიზნებისათვის ბრძოლას საპარლამენტო გზით ჰპირდებიან. მათი განხორციელებისას ოსმა ხალხმა სიმტკიცე და გამძლეობა უნდა გამოიჩინოს; დესტრუქციულ ძალებს კი სათანადო პასუხი უნდა აგებინოს. დასკვნითი მოწოდება ასე უდერს – თანასწორობა, სამართლიანობა და კეთილგონიერება იზეიმებს. ასეთი განწყობილების ჩამოყალიბებით მიღებული მიმე შედეგები კი სულ მალე თავს დაატყდა როგორც ქართული, ასევე ოსური მოსახლეობის, განსაკუთრებით იმ ნაწილს, რომელთაც მოუწოდებდნენ დიდი იდეალებისათვის ბრძოლას.

1991 წლის 7 იანვარს ქვეყნდება სსრკ-ს პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ბრძანება 1990 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ-ში მიღებულ საკანონმდებლო აქტებთან დაკავშირებით. მასში საკავშირო ხელისუფლების ნეიტრალიტეტის დაცვის მცდელობის მიღმა მკაფიოდ იკვეთება რეალურად არსებული მესამე ძალის სახე, რომელსაც სურს ამ დაპირისპირებით გაოგნებული ქართული და ოსური მხარეების გაკონტროლების სადავეების საკუთარ

<sup>1</sup>Газ. «Советская Осетия», 1990, 12 декабря.

ხელში აღება. მასში ნათქვამია, რომ 1990 წლის 20 სექტემბრის ს/ო აო დეკრეტით საბჭოს გადაწყვეტილება ს/ო აო-ის შექმნასთან დაკავშირებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის საპასუხო გადაწყვეტილება ს/ო აო-ის გაუქმების შესახებ წინააღმდეგობაში მოდის სსრკ კონსტიტუციასთან და სსრკ-ს კანონებთან, რომელთა მიხედვით, სსრკს უმაღლესმა სახელისუფლებო ორგანოებმა უნდა დაამტკიცონ ფედერაციის სუბიექტთა გადაწყვეტილებები, რადგანაც ასეთი ფაქტი არ მომხდარა არც ოსური და არც ქართული მხრიდან უნდა აღდგეს სტატუს-კვო. გაზეთ „Правда“-ს მკითხველი ეცნობა დადგენილებას, რომლის პირველი პუნქტი ასე ელერს: „...не имеют юридической силы с момента принятия и не подлежат исполнению государственными и общественными органами, предприятиями, учреждениями, организациями и гражданами положения названных в настоящем указе актов, принятых органами власти Грузинской ССР и находящейся в составе Юго-Осетинской автономной области, противоречащие действующему законодательству Союза ССР.“<sup>1</sup> დადგენილების მიხედვით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაიცვას ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის კანონიერი უფლებები და ინტერესები. სამ დღეში გამოყვანილ უნდა იქნას ყოველგვარი შეიარაღებული ძალა რეგიონიდან სსრკ შსს ჯარის გარდა. აქ მიმდინარე პროცესებზე ხუთი დღის ვადაში საქართველოს მთავრობამ უნდა მოახსენოს სსრკ-ს პრეზიდენტს. დადგენილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. ცხინვალში ქართული იურისდიქციის დასაცავად 6 იანვარს შესული ქართული მილიციის გაძლიერებული რაზმები წაქეზებული ოსი მოსახლეობის შეიარაღებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მათი ოდიოზური სახის შექმნას ცდილობს ცენტრალური პრესა. ტატიანა ოჩიროვა და ჯავო ჯივაშივილის ფსევდონიმით (ეს სახელი მიხელ ჯავახიშვილის მიერ ქართულ მწერლობაში, და შესაბამისად ქართულ საზოგადოებაში, ძალადობის სიმბოლოდ დამკვიდრდა) უცნობი ჟურნალისტი „Литературная Россия“-ს მკითხველს უამბობს ქართველი მილიციელების თავხედურ და

<sup>1</sup> газ. «Правда», 1991, 9 января.

მოსახლეობის შეურაცხყოფელ ქმედებებზე: „Вытолкали меня из здания, оскорбляли, направили на меня собаку. Какая это милиция? Они переоделись в милицейскую форму прямо на моих глаз...“<sup>1</sup>

ცხინვალში მიმდინარე რთულ საომარ და სოციალურ პრობლემებს ამუშავებს გაზეთი „Литературная Россия“. ჟურნალისტ ეკატერინა გლებოვას რეპორტაჟში რატომღაც საოცარი თანადგომით, ოსური მხარის მდგომარეობაა დანახული. ჩანს, ქართული მილიციის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნა გამხდარა რუსული ცენტრალური პრესის უპირველესი მიზანი. სწორედ მილიციასთან შეტაკებაში დაღუპულან გ. კოჩიევი, ი. ტასოევი, ი. კოკოევი; ჰოკეის თამაშის დროს დაღუპულან მილიციის მანქანიდან გახსნილი ცეცხლის დროს 15 წლის ა. მარგიევი და 14 წლის ლ. ტეხოვი; ნაცეში დ. ჯიოევი სასწრაფო დახმარების მანქანით გადააქყავდათ საავადმყოფოში, მანქანა გააჩერა ქართულმა მილიციამ და ავადმყოფი ადგილზე დაცხრილა. ასე ცალმხრივად, საშინელ სურათს ხატავს ავტორი, ხოლო მის გასამძაფრებლად დასძენს: „Этот список можно продолжать. Девять человек, погибших в городе в те первые дни, похоронены во дворе 5-й школы – ряд небольших холмиков, засыпанных снегом.“<sup>2</sup> შექმნილ ტრაგიკულ ფონზე მკითხველისთვის ცნობილი ხდება, რომ ქალაქის სასაფლაოზე მიცვალებულთა დაკრძალვა ვერ ხდება, რადგან იგი ქართული მხარის კონტროლის ქვეშაა. ამავე დროს, ცხინვალში არ არის პური, მაღაზიები, სკოლები, საწარმოები, ორგანიზაცია-დაწესებულებები დაკეტილია. ხუთი დღის შემდეგ აღდგა პურის ცხოზა, მაგრამ სამ დღეში ისევ შეწყდა, რადგან ფქვილი გამოილია. პურის დანახვაზე ბავშვებს რიგებში გონება ეკარგებოდათ. თურმე სოფლებიდან პროდუქტების ჩამოტანის მცდელობა მთავრდება ტრაგიკული შემთხვევებით – 11 წლის ა. დუდაევი სახლში პროდუქტებით დატვირთული მიდიოდა, როდესაც მოკლეს. ქართული მილიციის მხრიდან მარადიურობისა და დევნის მრავალ ფაქტს ასახელებს ავტორი. მძიმე სურათია საოლქო

<sup>1</sup> გაზ. «Литературная Россия», 1991, 8 февраля.

<sup>2</sup> გაზ. «Московский комсомолец», 1991, 15-16 февраля.

საავადმყოფოსა და მოხუცთა თავშესაფარშიც, სადაც სიკვდილი გაბატონებულა და ცხედრებს გამჟატიოსნებელიც აღარ ჰყავს. პროზექტურა საყვება მიცვალებულებით. რეპორტაჟის ავტორი აპროტესტებს რუსული ტელევიზიით გადაცემულ საინფორმაციო პროგრამებში ცხინვალში მიმდინარე პროცესების ნორმალიზაციისაკენ მიმავალ მოვლენებად წარმოდგენას. იგი დაბეჯითებით არწმუნებს მკითხველს, რომ ცხინვალის მოსახლეობა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დააბიჯებს. რატომღაც ასეთი არაადმიანური ყოფის მიზეზებითა და წარმომავლობით არ ინტერესდება, რაც გაუთვითცნობიერებელი მოსახლეობის თვალში საქართველოს წარადგენს კაცთმოდულების აკვნად. ასეთივე იდეოლოგია გრძელდება გაზეთ „Труд“-ის მეშვეობით. მასში ნაჩვენებია, თუ როგორ ესტუმრა თავის შვილს 135 წლის ხანდაზმული იოსებ კაზიევი თავისი ქალიშვილის ოჯახს სოფ. ქერეში, სადაც იგი შემთხვევით შეესწრო ქართველი ბანდიტების თავდასხმას, რომელნიც უღმობლად ძარცვავენ ოსურ ოჯახს, ხოლო მოხუცებული გააშიშვლეს თოვლზე და სასტიკად აწამეს.<sup>1</sup> ასეთი ფაქტები ომის მსვლელობის დროს მართლაც ხდებოდა, მაგრამ ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები მოითხოვს კონფლიქტის ობიექტურ გაშუქებას, რადგან უბედურებას ერთი ერთი მეორეს აყენებს არა იმის გამო, რომ საკუთარ მახინჯ სახეს ავლენს, არამედ იმიტომ, რომ იგი საომარ მდგომარეობაშია და ასეთ ვითარებაში ჩაყენებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანი კარგავს ადამიანურ სახეს; ევროპის მკვიდრი ყოფილი იუგოსლავიის მოსახლეობა საომარ ვითარებაში მეტ დაუნდობლობას იჩენდა. ასეთი მიმართულებით მკითხველის ყურადღების წარმართვა, კონკრეტულ სიტუაციაში, რუსულ პრესას ხელს არ აძლევს. ქართული მილიციის შეურაცხყოფა და მისი უმწეო მდგომარეობა მთელი სიმძაფრით არის წარმოდგენილი გაზეთ „Горы“-ის ფურცლებზე. ინფორმაციის მიხედვით, ცხინვალიდან გამოქცეული მილიცია და მისი ხელმძღვანელობა ქალაქში ვეღარ ჩადიან. ნუთუ იმ განსაცოდავებული მოსახლეობის ეშინიათ, რომელიც შიმში-

<sup>1</sup>გაზ. «Труд», 1991, 21 марта.

ლისაგან დაუძღვრებულა თუ რუსული სამხედრო მხარდაჭერით გამხნეებულმა ოსმა „ბოევიკებმა“ გამოდევნეს წესრიგის დასაცავად ჩასული მილიციის ნაწილები, რომელთა ქალაქში შეყვანის გადაწყვეტილება დიდი შეცდომა იყო.

ჟურნალისტი ე. კრეტიკოვი მკითხველს უამბობს, რომ გამოდევნილი მილიცია ქალაქის სასაფლაოსთან გამაგრებულია და ოსურ მოსახლეობას მიცვალებულების დაკრძალვა ქალაქის ეზოებში უხდებათ. თავად სასაფლაო კი დაურბევიათ თურმე, მისი მონახულების საშუალება ვერ შეიქმნა, რადგან ქართველმა სამართალდამცავებმა უსაფრთხოების გარანტიის არარსებობის გამო რუს ჟურნალისტებს ურჩიეს, არ შესულიყვნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე და თურმე ყალბი გასროლაც შეასრულეს – ოსური მხარე სასაფლაოდან გვეყრისო. ასეთი რაკურსით არის წარმოდგენილი „მატყუარა ჯალათად“ ქცეული ქართული მხარე, ხოლო ოსური – უუფლებო თავდამცველად. აღწერილია ცხინვალის დაცხრილვის ფაქტები მოსახლეობის დათრგუნვის მიზნით, საპასუხოდ კი ოსი მებრძოლების გმირული სახეები იკვეთება, რომელთა გამხნეება რეპორტაჟის ავტორის მიზნად ქცეულა: „Тем не менее Цхинвали удерживают. Удерживают преимущественно на личном героизме его защитников... На сегодняшний день известно о смерти 46 осетин. Из них лишь четверо убиты в бою. Остальные замучены в деревнях. Несколько сот человек числятся заложниками, но очевидно, что половина из них уже мертвы.“<sup>1</sup> მტრულ ქართულ გარემოცვაში თავისუფლების მოყვარე ოსი ხალხი სისხლის ფასად იცავს თავს – ასეთი ლოგიკით არწმუნებს რუსული პრესა მრავალრიცხოვან მკითხველს ქართველების კაცთმოძულეობაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრობლემები და რეალური პოლიტიკური ვითარება დამახინჯებული ფორმით ვრცელდება რუსულ მასმედიაში, გონებამახვილი მკითხველისათვის გასაგებია, რომ იმპერიული ძალები მართავენ ამ ანტიადამიანურ პროცესებს. აი, აქ უნდა იქნას მოძებნილი ტრაგედიის მიზეზები.

<sup>1</sup> გაზ. «Голос», 1991, №13.

ამავე რეპორტაჟში არის მცდელობა დიდი პოლიტიკური პროცესების განხილვის, მაგრამ ავტორი ტენდენციურობას თავს ვერ აღწევს და კვლავ ცალსახად გვევლინება ოსური მხარის დამცველად, თუმც მკითხველისთვის მოსკოვის ფარული დაპირება ოსური მხარისათვის ფარული მხარდაჭერის შესახებ, უნებლიედ, განაწყენებული ოსებისაგან ჟურნალისტისათვის ცნობილი ხდება. ცხინვალში 10 დღის განმავლობაში ცხოვრებამ იგი დაარწმუნა, რომ ოსები აღმოჩნდნენ სათამაშო ტიკინად დიდი ძალების ხელში. სიტყვის გამტეხი რუსეთი ცინიკურად „დიდ ძმად“ არის მოხსენიებული: „По некоторой информации, провозглашение Южной Осетии республикой (кстати, сперва в составе независимой Республики Грузия) было практически спровоцировано обещанием безоговорочной поддержки из Москвы.“<sup>1</sup> ასეთი გამოსავალი ოსურ მხარეს მოუძებნეს თავდაცვის მიზნით, რადგან 1918 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის შემთხვევაში ავტომატური გაუქმება ემუქრებოდა ს/ო აო-ს. 1989 წლის 23 ნოემბრის აქციის ფონზე, როდესაც ქართულ მხარეს მიტინგის ჩატარება სურდა ცხინვალში, რასაც დიდი წინააღდეგობა მოჰყვა ოსური მხრიდან, რეპორტაჟი ამართლებს ოსების გადაწყვეტილებას რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. გამოკვეთილი ტენდენციურობით ე. კრუტიკოვი აცხადებს, რომ ოსებს დასახევი არა აქვთ და უნდა დაიცვან თავისი მიწა, რომელსაც ქართული მილიცია თურმე, რატომღაც შიდა ქართლს უწოდებს. საქართველოს დაქუცმაცებისა და დაუძღურების იმპერიული პოლიტიკა, ვითომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვით დაუფარავად არის გაცხადებული გაზეთ „Комсомольская правда“-ს ფურცლებზე ა. ხოხლოვისა და ი. ჩერნიაკის მასალაში. მასში მკითხველი ასეთ მოსაზრებას ეცნობა: „Если бы Грузия взяла верх в Цхинвали, то Абхазия была бы на очереди. Теперь вести борьбу на два фронта Грузии будет тяжело. Да и грузино-осетинский конфликт абхамам на многое открыл глаза. Раз Южная Осетия не покорилась, то и Абхазия может поднять голову.“<sup>2</sup>

ცხინვალელი ქართველი ჟურნალისტები დევნილო-

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> გაზ. «Комсомольская правда», 1991, 27 აპელა.

ბაში ახალ გაზეთს „შიდა ქართლს“ აარსებენ. ისინი ყოფილი საოლქო გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ ყოფილი თანამშრომლები არიან. ერთ დროს ერთ შენობაში მოღვაწე ქართველი და ოსი ჟურნალისტები ბარიკადების სხვა და სხვა მხარეს აღმოჩნდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „შიდაქართლელო“ მიერ, ახლად დეკნდის როლში აღმოჩენილი პოზიციიდან, ყოფილი კოლეგების საქმიანობის შეფასება. „რომელმა ქართველმა დედამ შობა ეს მიწა?“ – ასეთი სათაურით აღნიშნული გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს ოსური გაზეთის მოკლე მიმოხილვას. წერილი მკითხველს შეახსენებს, რომ ცხინვალში გამოდის დიდი ფორმატის ოსურ-რუსულ ენოვანი გაზეთი „სოვეთონ ირისთონი“, რაც ქართულად საბჭოთა ოსეთს ნიშნავს. სამწუხარო ფაქტად არის მიჩნეული, რომ გაზეთი ბეჭდავს ანტიქართულ მასალებს. ერთ-ერთი წერილის სათაურია „აქ შენი მიწა არ არის.“ მისი ავტორი ნინა გაგიევა ქართულ მხარეს ოსების გენოციდსა და დევნაში სდებს ბრალს. რაზედაც ქართული გაზეთის პასუხი ასეთია: „ოსებისთვის გენოციდი არავის მოუწყვია. იყო ისეთი შემთხვევები, როცა ცალკეულ ოჯახებს, რომელთა შეილებიც იარაღით ხელში ქართველებს ებრძოდნენ სამაჩაბლოში, პასუხი მოსთხოვეს.“<sup>1</sup> ოსური მოსახლეობისათვის საქართველოს დატოვება არავის მოუთხოვია, თუ ცალკეულ კრიმინალურ შემთხვევებს არ გავითვალისწინებთ. ორივე მხარის პრესის წარმომადგენლებს, ალბათ უპირველესად უნდა ახსოვდეთ ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც მათ აკისრიათ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნის საქმეში. ემოციების წინა პლანზე წამოწევის დროს კი არავის ახსოვს რაციონალური აზრი. „როდესაც ზარბაზნები ქუხან – მუხები დუმიან“ – გასაგები აქსიომაა, მაგრამ როდესაც ზარბაზნები დადუმდებიან? შორს აღარ არის ის დრო, როცა ერთმანეთის პირისპირ დავრჩებით და გაანალიზდება თითოეული ფაქტი, ჩვენ ყველა, პასუხს ვაგებთ ჩვენს მოქმედებაზე – მიაჩნია მასმედიის ქართველ წარმომადგენელს.

ოს კოლეგებთან დაპირისპირების მორიგი ნიმუშია ღია წერილი „გაზეთ „სოვეთონ ირისთონის“ კოლექტივს“.

<sup>1</sup> გაზ. „შიდა ქართლი“, 1991, 18 ივლისი.

მოსკოვში მიმდინარე ცნობილი „პუტჩის“ პროცესებზე, რომ იყო დამოკიდებული ქართულ-ოსური ურთიერთობა, ამ მასალიდანაც კარგად ჩანს. დემოკრატიის გამარჯვებას ზემოთბენ ქართველი ჟურნალისტები, რაც მათი ოსი კოლეგებისათვის საწყენი აღმოჩნდა. „ღიას, ყველა იმედი გადაგეწურათ. აღარა გყავთ იანაევი, იაზოვი, პუგო და ძმანი მათნი, რომლებიც მხარს გიჭერდნენ და გეხმარებოდნენ ძირბველ სამაჩაბლოში დამკვიდრებაში, ქართველების შევიწროებაში, აღვირახსნილობაში.“<sup>1</sup> ქართული პრესის წარმომადგენლებს იმედი ესახებათ, რომ დემოკრატიის გამარჯვება რფ-ში ჭეშმარიტების გზაზე დააყენებს ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, რადგან გამჭვირვალე დამოკიდებულება მოვლენებისადმი იმპერიულ ძალებს საშუალებას არ მისცემს, გააყალბოს წარსული თუ დღევანდელი რათა ორი ხალხის შეილებს სისხლით საკუთარი ინტერესები განახორციელოს. მათ მიანიათ, რომ ორი ხალხის ინტერესები შელახვაა, როდესაც ცხადდება კონკურსი ნაწარმოებზე, სადაც ქართველთა მიერ ოსების გენოციდი იქნება აღწერილი. ახლა თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დგება, შენიშნავენ ცხინვალიდან დევნილი ჟურნალისტები, ე. წ. სახელმწიფო კომიტეტის ზრახვები ვერ განხორციელდა, ქართველი ხალხი გადაურჩა განსაცდელს. ოსი ეროვნების ჟურნალისტებს კი ამუნათებენ იმის გამო, რომ მათ დიდ ნაწილს რეაქციონერთა გამარჯვების იმედი ჰქონდა. თავად უსახლკაროდ დარჩენილი ქართველი ჟურნალისტები ოს კოლეგებს შეახსენებენ, რომ მათ სახლები აქვთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში და არასამართლიანი ანტიქართული პოზიცია არ ეპატიებათ, რადგან ქართულ მიწას მათთვის მშობლიური მზრუნველობა აქვს გაწეული.

რუბრიკით „ჩვენი რესპუბლიკა“ გაზეთი „რესპუბლიკა“ დამაბულაობის პირობებში მკითხველს სთავაზობს ქართულ-ოსური ურთიერთობიდან ნეგატიური მოვლენების ამსახავ ისტორიულ წარსულს. მასალა „ოსების ამოდრა-ვებაზე“ მასწავლებლის საუბარს წარმოადგენს ჯარისკა-ცებთან და აღწერს საქართველოში მცხოვრები ოსების მოღალატურ

<sup>1</sup>გაზ. „შიდა ქართლი“, 1991, 24 აგვისტო.

პოზიციას XX საუკუნის 20-იან წლებში. ამ დროს, საქართველოსათვის მიძიმე პირობებში, როცა ხასწორზე იყო დადებული ყოფნა-არყოფნის საკითხი, როდესაც აზერბაიჯანთან ზავის საკითხი წყდებოდა, როდესაც „ჩვენი ჯარი და გვარდია, ამ მუშაობის დროს მშვიდობიანს გუთანსა და თოხს მოწყვეტილნი თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი, გამარჯვებული გამომეტყველებით დგანან საქართველოს საზღვრებზე, რომ, თუ საჭირო გახდა კვლავ განაგრძონ მტრის თავზარდამცემი იერიშები – ქართლის შუაგულში, ჩვენი მეომრების ზურგში, უსარგებლიათ რა ქართველ მამაკაცების ომში გასვლით, აჯანყებულან ოსები.“<sup>1</sup> ასეთი ხასიათის მასალის გამოქვეყნება დაპირისპირების კულმინაციაზე მიანიშნებს. ამავე დროს, ისტორიის საეჭვო განმეორების კითხვის ნიშანს აჩენს მკითხველის ცნობიერებაში. მსგავსი პოლიტიკური პროცესები დაშორებულია მხოლოდ 70 წლით. 70 წელი – სსრკ-ს არსებობის პერიოდია. ნუთუ აბსოლუტურად მართვად პროცესებთან გვაქვს საქმე? დროში მოვლენების დაკავშირება რუსული სპეცსამსახურების სიზუსტეს არ გამოირიცხავს. სამწუხაროდ, ეიფორიაში მყოფი მკითხველი და დაპირისპირების ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგომი ადამიანები, ცხელი გონებით მოვლენათა ანალიზის ნაცვლად დაწერილი სცენარის აქტიური მონაწილეები ხდებიან. სპექტაკლი კი მკაცრი და დაუნდობელი ტრაგედიაა. ასეთი ანალიზი წინამდებარე მასალაში არ გვხდება, მის ავტორს უშუალოდ ოსი ექსტრემისტების პოზიცია აკვირვებს და ცდილობს მათი დალატის მიზეზებში გაერკვეს. ვინ არიან ოსები? რა უნდათ ოსებს? რა აწყენინა მათ საქართველომ, რომ ზურგში მახვილი ჩაგვცეს? ისმის რიტორიკული კითხვები და განმარტების სახით მიმოხილულია ისტორიული ურთიერთობების ძირითადი შტრიხები. იმ დროისათვის კი ოსი მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მთიან რეგიონებში სახლობს, ეწევა მესაქონლეობასა და ყველი ჩამოაქვს ბარში გასაყიდად. ავტორის მონაცემებით შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი ოსობაა გორის მაზრის ჯავის ხეობაში, ცხინვალის ჩრდილოეთით; ნამდვილი ოსეთი კი

<sup>1</sup>გაზ. „რესპუბლიკა“, 1991, 4 სექტემბერი.

მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც კავკავი იმათ მთავარ ქალაქად ითვლება. პირაქეთელ ოსებს ისტორიაში არავითარი საკუთარი სახელი არ დაუტოვებიათ და არავითარი კულტურა არ შეუქმნიათ. იგი მათ მოიხსენიებს მშვიდობიანად მოძალებულ ელემენტებად, რომელსაც ნამდვილ მასპინძლობამდე ბევრი აკლია. რუსული თვითმპყრობელობის დროს კი ოსები ცნობილი ყოფილან ბნელი გაერთიანებებით, რომელნიც „სტრაჟნიკების“ და მთავრობის „მამასახლისების“ სახელით მოიხსენიებოდნენ. მათ 20-იან წლებში კვლავ უსიამოვნოდ იგონებდა ბევრი საქართველოს მოქალაქე. მოგვიანებით რევოლუციამ დაამხო მეფის ხელისუფლება, რომლის ქვეშევრდომი ოსი მოსახლეობის ნაწილი „უპატრონოდ“ დარჩა, მაგრამ საქართველოს ოსებს ამით არაფერი დაშავებიათ; დიდი სიყვარული გამოიჩინა მათდამი ქართულმა მოსახლეობამ – ქართველ მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწები ოს გლეხებს გადასცეს. იმ ოს გლეხებსაც, გამონაკლისის გარდა, რომელთაც საქართველოს დასაცავად არ უბრძოლიათ. მათვე მიიღეს ყველა ის წყალობა, რაც დემოკრატიულ საქართველოს გააჩნდა. როგორც ჩანს, ისინი მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. რა უნდოდათ ოსებს? მკაფიოდ ისმის კითხვა. ჩანს, თანამედროვეობისაგან განსხვავებით მაშინ მათ გაზეთი არ ჰქონდათ, სადაც საკუთარ მიზნებსა და სურვილებს გამოთქვამდნენ. თუ მათი სურვილი ნაციონალურ-კულტურული განვითარება იყო, ამის საშუალებას მაშინდელი საქართველოს კონსტიტუცია იძლეოდა. თუმც მათი მხრიდან უნდა გამოკვეთილიყო ახალგაზრდა სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობის სურვილი. რეალურად კი საწინააღმდეგო სურათს ვიღებთ – ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველოს ბათუმის მხრიდან შემოესია ოსმალეთი. აზერბაიჯანმა და სომხეთმა ნეიტრალური პოზიცია აირჩიეს და ქართველობა მარტო აღმოჩნდა ოსმალეთის უზარმაზარი იმპერიის წინაშე. ამ დროს ოსებმა დახმარების ნაცვლად იარაღით ზურგიდან შემოუტყეს მოსახლეობას. იგივე განმეორდა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს: „ოსებმა მოგვიწყვეს აჯანყებები, რო-გორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ

საქართველოში. ვის არ ახსოვს ცხინვალის მიდამოებში ქართველი რევოლუციონერების მარხების, კეცხოველის და სხვების მხეცური მოკვლა-დასახინჩრება ოსების მიერ? ვის არ ახსოვს საჩხერის შემადრწუნებელი ამბები. მოახლოვდებოდა თუ არა რუსეთის რეაქციული ძალები – ოსებიც წამოყოფდნენ თავს და დგებოდნენ იმათ მსარეს, რომ როგორმე დაემხოთ საქართველო.<sup>1</sup> შეტაკების ამსახველი ფაქტები საბჭოთა პერიოდში იჩქმალდებოდა. მაგრამ თვითმხილველი მოხუცები ჩუმაღ ჩურჩულებდნენ, რომელსაც ამით თავისი ნეგატიური მნიშვნელობა ჰქონდა. მისი საჯარო განხილვა სხვა დატვირთვის მატარებელი იქნებოდა. გაზეთმა „Ожняя Осетия“-მ ქართულ პრესას დიდი ხნით ადრე დაასწრო ისტორიული დაპირისპირების მატარებელი შინაარსის მხატვრული ნაწარმოებების გამოქვეყნება. აქ ოსი მებრძოლები გმირებად არიან გამოყვანილი. ხოლო მათი ქმედებების ასაღაგმად ჩატარებულ, მართლაც სასტიკი, სადამსჯელო ღონისძიებები ოსი ხალხის გენოციდად მოიხსენიებოდა. ასე ერთად აგორდა კონფლიქტი ქუჩაში, გაზეთის ფურცლებზე, სადაც ნეგატიური წარსულის სხვადასხვა რაკურსით წარმოდ-გენამ დაპირისპირებას, აქამდე არარსებული, ისტორიული საფუძველი შეუქმნა.

„შიდა ქართლი“ მკითხველს კონფლიქტის კონკრეტულ ფაქტებს მოუთხრობს. „ამბები სამაჩაბლოდან“ სანუგეშოს ვერაფერს იუწყება: „სამაჩაბლოში ისევ დაიძაბა ვითარება... ოსმა შეიარაღებულმა ყაჩაღებმა ქურდულად სიცოცხლეს გამოასალმეს ოთხი უდანაშაულო ჯან-ღონით სახსე მამაკაცი, შემდეგ კი სოფ. მარწემის 300 სული პირუტყვი გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს.“<sup>2</sup> უიარაღო, ალაღმართალ ადამიანებზე ავაზაკური თავდასხმა ქართველი მკითხველის აღშფოთებას იწვევს. გამოთქმულია იმედი, რომ დამნაშავეთა ვინაობა გამოამკარავდება და ისინი საკადრის პასუხს მიიღებენ. კონფრონტაციის მორიგი ფაქტი ქალაქ ცხინვალშიც დაფიქსირდა. მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად მიმავალი ავტოკოლონა გააჩერეს ოსმა ექსტრემისტებმა, რუსი სამხედროების პასიურობით

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> გაზ. „შიდა ქართლი“, 1991, 7 სექტემბერი.

ისარგებლეს და სასტიკად გაუსწორდნენ ფიზიკურად ქართველობის მიზეზით 9 ადამიანს, რომელთა გამოხსნა და სამკურნალოდ გორის საავადმყოფოში გადაყვანა მოხერხდა. ოსური წარმომავლობის ერთ-ერთი მძლავრი მაღავეს მართვის მოწმობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველებთან თანამშრომლობის გამო, ექსტრემისტები-საგან სამავალითო ანგარიშსწორება გარდაუვალი იქნებოდა.

ქართულ-ოსურ ურთიერთობაში ერთ-ერთი ტრაგიკული წელი - 1991 დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ქალაქ ვლადიკავკაზში ჩტარდა ოსი ხალხის საგანგებო ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა მიმართვა ცხინვალელი მოძმეებისადმი. მასში დადებითად არის შეფასებული ცხინვალის ოსი მოსახლეობის გმირული თავდაცვის ფაქტი, რითაც დაცულ იქნა მთელი ოსი ხალხის ღირსება. მასში ვკითხულობთ - ოსი ხალხის დანაშაული ამ ტრაგიკული ხვედრის გაზიარებაში არის ის, რომ ისინი დაიბადნენ სამხრეთ ოსეთში; მსოფლიო ხედავს, რომ ქართული ხელი-სუფლება დაუნდობელი, არაადამიანური მეთოდებით უსწორდება უდანაშაულო ოს ხალხს; ჩვენ გვწამს - სიმართლე იხეიმებს და ოსეთი იქნება თავისუფალი და ერთიანი, მისი შვილები ხშირად მიიპყრობენ მსოფლიოს ყურადღებას მძიმე ხვედრით და მწარე ბედით, მაგრამ მათ გააკვირვებს თავისუფლების დაუოკებელი წყურვილი და დიდი კულტურა. მიმართვაში გამოთქმულია მზადყოფნა მომავალი ბრძოლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ „ქართველმა ჯალათებმა“ შესაძლებელია კიდევ სცადონ შიმშილის, სიცვიის, შიშის დამკვიდრება ოსების სამშობლოში, ისინი მიიღებენ საპასუხო მოქმედებებს; ისინი ვერ მიაღწევენ „სამაჩაბლოდა“ და „შიდა ქართლად“ ოსეთის გადაქცევას. უკომპრომისო იდეოლოგიით ცდილობს ოსი ხალხის ყრილობა მოძმეთა გამხნევებას და მოუწოდებს მათ ბრძოლისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ მიმართვაში დასახელებულია ამ დროისათვის დადუპულთა, უკვალოდ დაკარგულთა და დაჭრილთა დიდი ციფრი - 400, 100 და 500 შესაბამისად. ეს ფაქტი მათ ავალდებულებს დიდი ოსეთისათვის ბრძოლას. მოწოდების ტონში საგრძნობია იმპერიული პოლიტიკის განწყობილება: „ОТ

имени всех осетин, всех людей доброй воли съезд осетинского народа сердечно приветствует вас, доблестные защитники осажденного Цхинвали, мирные жители Южной Осетии. Помните мы всегда с вами.<sup>1</sup>

კონფლიქტის მიმდინარეობისა და რუსული და კავკასიის კონფედერაციის ძალთა ურთიერთობას მისადმი ასახავს ნოდარ ბროლაძის წერილი „Вывод Россией своих внутренних войск из Южной Осетии расценивается там как предательство“. რუსეთის შინაგანი ჯარები, გაწეული „ღვაწლის“ შემდგომ ტოვებენ რეგიონს, რაც, ბუნებრივია, ოსური მხარის შიშსა და აღშფოთებას იწვევს. დამკვირვებლების აზრით, ოპერატიულად განახორციელა აღნიშნულმა დანაყოფმა გადაადგილება დასავლეთი საქართველოს მიმართულებით. ადგილზე კი დატოვა მსხვილ კალიბრიანი იარაღის გარკვეული რაოდენობა, რომელიც ადგილობრივი ომონის განკარგულებაში აღმოჩნდა. პარალელურად დაიწყო ცხინვალში დსთ-ს გაერთიანებული სამხედრო ძალების სადესანტო ნაწილების გადასროლა. ამ მანევრის მიზანი ადგილობრივი სავერტმფრენო პოლკის და გამანადმევლთა ნაწილის დაცვაა. რომლებიც რჩებიან რეგიონში გაურკვეველი ვადით. როგორც უსურნალისტი შენიშნავს, უფრო მეტად ელოდნენ რუსეთის ფედერაციის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის გენერალ-ლეიტანანტ ვალერი პატრიკევის ბრძანებებს, მაგრამ ეს ფუნქცია იტვირთა დსთ-ს სამხედრო ძალების სარდალმა ევგენი შაპოშნიკოვმა. საქართველოში ახლად ხელისუფლებაში მოსული სახელმწიფო საბჭო მიმართავს ცხინვალის მოსახლეობას, რომ ურთიერთობები გაგრძელდეს სისხლისღვრის გარეშე, მხოლოდ მოლაპარაკებების გზით. ცხოვრება გააგრძელონ ერთობლივად ურთიერთის შეხედულებათა გათვალისწინებით. ცხინვალის ხელისუფლებასა და კავკასიის ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენლებს სხვა აზრი აქვთ ამასთან დაკავშირებით. ს/ო აო-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აღან ჩოჩიევი აცხადებს, რომ რუსეთის შინაგანი ჯარის გაყვანა მოხდა რუსეთისა და საქართველოს მოლაპარაკების საფუძველზე. ამდენად,

<sup>1</sup>Газ. «Северная Осетия», 1991, 21 декабря.

ს/ო ხელისუფალთა ნაწილი თვლის: „В условиях войны с Грузией и непонятных действий России единственной надеждой этого региона остается Конфедерация горских народов Кавказа.“<sup>1</sup> 27 აპრილს ცხინვალში მიმდინარე კონფედერაციის სესიამ გააკეთა განცხადება, რომ, თუ ქართული მხარე არ შეწყვეტს ცხინვალის მიმართულებით ცეცხლს, კონფედერაცია შეეცდება თავისი შეიარაღებული ძალები შემოიყვანოს რეგიონში. ასეთი ღონისძიება განხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევაში, ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის ს/ო-ის დაცვის მიზნით. სხდომის თავმჯდომარის ხალიდოვის განცხადებით, მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას თავდაცვის კომიტეტი. მისივე ინფორმაციით, ამ გაერთიანებას – კმქსს ამ დროისათვის ჰყავს ორი მობილური ქვედანაყოფი, რომელიც დისლოცირებს გროზნოში. ერთმა მათგანმა საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინა გროზნოს ტელევიზიის ოპოზიციური ძალებისაგან გაწმენდის მიზნით ჩატარებული ოპერაციის დროს.

აღსანიშნავია, რომ სესიის მიმდინარეობის დროს რეგიონში სიმშვიდე სუფევდა, რაც ოსურ მხარეს არ მიაჩნია ქართული მხარის განცხადების გამართლებად, რომ რუსული ჯარების გაყვანის შემდეგ არ მოხდება იერიში ქართული მხრიდან. ა. ჩოჩიევის განცხადებით, 19-20 აპრილს და შემდგომ დღეებში სამი ტანკი ტ-72, რომელიც ორი თვის წინ მიიღო ქართულმა მხარემ, ისროდა ცხინვალის მიმართულებით. ს. ბეპაევის ს/ო ხელისუფალთა მიმართ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს ტანკები ახალ ქართულ ხელისუფლებას ზუგდიდის რაიონში საკუთარი პოზიციის გასამაგრებლად უნდა გამოეყენებინა.

ბეპაევისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის შარაშენიძის განცხადებით დაიწყო სავერტმფრენო პოლკის ქართული მხარისათვის გადაცემა. რასაც ს/ო ნაციონალური გვარდიის მიერ აღნიშნული ტერიტორიის ბლოკირება მოჰყვა. მიმოხილვიდან ჩანს, რომ რთული პოლიტიკური და სამხედრო პროცესები მიმდინარეობს 1992 წლის გაზაფხულზე კონფლიქტის ზონაში, რომელსაც

<sup>1</sup>გაზ. «Независимая газета», 1992, 29 апреля.

რეალური წარმატება ან წარუმატებლობა არცერთი მხარისათვის არ მოაქვს. რუსული მხარე აშკარა ძალთა დაბალანსებით ახერხებს ვითარების სასურველი მიმართულებით წარმართვას.

ამავე პროცესებს სიღრმისეულად აშუქებს გაზეთ „რესპუბლიკის“ კორესპონდენტი კოტე გურგენიძე მიმოხილვაში „შიდა ქართლი: არენა?!. გლადიატორები?!“ ყოფილი სსრკ-ს შინაგანმა ჯარებმა 25 აპრილს, დილის 4 საათზე დატოვა შიდა ქართლი; მათ აღვიღზე უმაღლ მძიმე საბრძოლო ტექნიკითა და ავტომატური იარაღით აღჭურვილი ოსები დადგნენ... რა ხდება ახლა შიდა ქართლში? ასეთი მიმართებით იწყება მასალა. უკანასკნელ ხანს ქართველთა მკვლევლობისა და ანგარიშსწორების ფაქტებსაც სთავაზობს მკითხველს – 10 ქართველი მოკლეს, აქედან 7 ერთი სოფლიდან, ერთი უბნიდან – ვანათიდან; სიმონ ხადური და მერაბ ჯოჯიშვილი მზაკვრულად შეიტყუეს; 60 წლის ტარიელ თედელური ყანაში აწამეს და მოკლეს, მობრუნდა დრო, როცა სათონხნად თოფით დადიოდა ადამიანი; 23 წლის ნ.გ. 12 პირუტყვემ გააუპატიურა, ცხინვალის საავადმყოფოდან გამოატანეს დასკვნა – ჯანმრთელიაო, გორის საავადმყოფოში გარდაიცვალა... ვალიკო დოლიაშვილი გორისა და გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე თვლის, რომ შინაგანი ჯარების გაყვანა ადვილი საქმე არ იყო, ეს ეღუარდ შევარდნაძის დამსახურებაა. მაგრამ რა, მათი ადგილი უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიკავეს. ჯარის გასვლის შემდეგ შესუსტდა პროვოკაციული სროლები, მაგრამ ქართულ სოფლებზე თავდასხმები კვლავ განხორციელდა. აქედან წასული ოსები ცხინვალიდან გვესვრიან და მოძმეთა სისხლით დებავენ ქართულ მიწას, რომელმაც ისინი აღზარდა. გამგებლის აზრით, ასეთთა დანდობა არ იქნება, მაგრამ, ვისაც მონაწილეობა არ მიუღია ბრძოლებში და მშობლიურ კერაზე დაბრუნება სურს მათ ხელს არაფერი შეუშლის. ცხინვალში დაბანაკებული ბანდების ლიკვიდაცია კი, ვ. დოლიაშვილის აზრით, აუცილებელია – გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდეს მეტიც მოთმენა აღარ შეიძლება. ეთნოკონფლიქტი ყოველგვარ დესტაბილი-

ზაციას უწყობს ხელს – 10 ათასამდე ლტოლვილი, გორში 1458 ოჯახია განთავსებული, ვერ ხერხდება მათი დასაქმება; მიწისძვრით დაზარალებულ სოფლებში ჭირს სათანადო ტვირთის შეტანა; გართულდა კრიმინოგენული ვითარება; გაერცვლდა ნარკომანია. ყოველივე ამის მოწვევრიგება ინტერვიუერს ერთ თვეში წარმოუდგენია. გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის ემზარ საბანაძის აზრით, კონფლიქტის მოგვარებაში გორის შს ორგანომ უნდა ითამაშოს უმთავრესი როლი. მისი აზრით, ოსური მოსახლეობის 70 პროცენტს სურს მშვიდობა, მაგრამ, ვინც სისხლშია გასვრილი ისინი უდგანან წინ.

რეპორტაჟი კონფლიქტის ზონიდან პატარა ლიახვის ხეობის ერთი მონაკვეთის აღწერით მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის ვითარებაზე: „ერედში ჯავშანტრანსპორტიორად გადაკეთებული საწვეარი დგას. გაგაცილებთო. ასე საშიშია? – იკითხა დიმიტრიმ, არ ინდომეს. თამაზმა რაციაში ჩასძახა: ნოდარ, ვოლგა – შუაში, წავედით. მიუქრიავართ. ვანათამდე კიდევ ერთი ოსური სოფელია – კოხათი. კაცის ჭაჭანება არაა. გაღმა ოსთა უზარმაზარი სოფელია – დმენისი. რამდენი ხანია გამოდმა მიუწყევებით პატარა ლიახვს, აღარ და აღარ თავდება დმენისი... ემზარი: აგერ იმ სახლებში ახლა სულ ჩასაფრებულები იქნებიან. ხიდს შეხედეთ, ტრაქტორითაა ჩახერგილი.“<sup>1</sup> ასეთ ფონზე ისტორიული ვანათის ციხე დაპყურებს დიდი სიმაღლიდან არეპარეს. მას ამჯერად ოსური მხარე იყენებს პოზიციის გასამაგრებლად. მრავლის მნახველი ქართული ისტორიული ძეგლი ამჯერად მოწყენით უგდებდა ყურს დაღუპული ქართველი ჭირისუფლის უიმედო ტირილს. ხალხი აღშფოთებული აცხადებს, რომ არანაირი საშუალება არა აქვთ თავდაცვისათვის. უპატრონობას უჩივის მშობლიური მიწის ერთგულებით გამორჩეული ვანათელი გლეხი. ყურნალისტური ოსტატობით გამორჩეული შედარება ასრულებს რეპორტაჟს. ცირკის არენაზე გამოსულ გლადიატორებს ადარებს ავტორი ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთა მძიმე ხვედრი ასე შეიძლება გამოიხატოს – ყოველ ცისმარე დღეს, თუკი გაუთენდათ,

<sup>1</sup> გაზ. „რესპუბლიკა“, 1992, 7 მაისი.

შეღაღადებენ საქართველოს: თანამემამულენო, თქვენგან განწირულნი, სასიკვდილოდ მიმავალნი საღამოს ვუძღვნით ჩვენს სამშობლოს, საქართველოს! არსებულნი მძიმე ვითარების დახატვას ავტორი, ვანათელი ათი წლის გოგონას მიერ, საბრძოლო იარაღის ჩვეულებრივ ნივთებად მინწვეის ეფექტით ასხერხებს. რაც კიდევ ერთი გაფრთხილებაა ქართველი მკითხველისა, რომ საგანგაშო ვითარებაა და თითოეული ქართველის ვალია არა მხოლოდ დღევანდელი შიდა ქართლის, ასევე მისი მომავლის გადარჩენაც.

რეალური სიტუაციისა და ქართული მხარის წინაშე არსებული პრობლემების არგუმენტირებული ანალიზით არის გამორჩეული ირაკლი ალადაშვილის წერილი „თუ მშვიდობა გსურს, ემზადე ომისათვის“. საუბარი ეხება ომს, რომელიც ამ დროისათვის მთელი სიმძაფრით მიმდინარეობს, ქართული მხარე კი მასში მოუმზადებელი მონაწილეობს. ჟურნალისტის აზრით: „ნურავინ იფიქრებს, რომ სამაჩაბლოში ლოკალური ეთნიკონფლიქტია. იქ მიმდინარე ნამდვილ ომს, თავისი ყველა საშინელებით, თბილისი თითქმის ვერ ამჩნევს. თავისას ამბობს ქართველი კაცის ხასიათიც – სანამ მტერი ავტომატის კონდახით საკუთარი სახლის ჭიშკარზე არ მიუბრახუნებს, ეურს არ შეიბერტყავს.“<sup>1</sup> ანალიტიკური წერილი მკითხველს დამაჯერებელი ტონით არწმუნებს, რომ ცხინვალის რეგიონში საქართველოს წინააღმდეგ ომს ახორციელებს რუსეთი ოსების ხელით. რადგან იგი ვერ ეგუება გავლენის სფეროდან საქართველოს დაკარგვას. იგი განაგრძობს სსრკ-ს პოლიტიკას მეზობლების მიმართ. მასავით დიდძალ იარაღს აწვდის ექსტრემისტულ ძალებს. იგი დაინტერესებულია ამიერკავკასიაში არასტაბილური ვითარებით. აზერბაიჯან-სომხეთის ომში იგი მძიმე იარაღს აწვდის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, ისე რომ შეინარჩუნოს ძალთა თანაფარდობა და გააჭიანუროს ომი.

შიდა ქართლის პროცესებით რუსეთი აქტიურად არის დაინტერესებული. ი. ალადაშვილის მიერ მოძიებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ რუსეთი გამაღებით აიარაღებს ოსებს მძიმე ტექნიკით – ორი კვირის წინ

<sup>1</sup> გაზ. „7 დღე“, 1992, 27 ივნისი-3 ივლისი.

გლადიკაქკაზში ოსებს გადასცევს თორმეტი 122 მმ-იანი თვითმავალი ქაუბიცა ცაუ-122. მათგან 8 ერთეული ჩამოყვანილია ცხინვალში. ქალაქის მიდამოებში ოსებს შეიარაღებაში აქვთ 4 ტანკი ტ-54 და ტ-55, 10 ჯაყმანტრანს-პორტიორი ბტრ-60 და ბტრ-70, 5 ქვეითთა საბრძოლო მანქანა ბმპ-1 და ბმპ-2, რამდენიმე ქვემეხი და ნაღმ-სატყორცნი, 122-მმ-იანი რეაქტიული ტურვების გასაშვები დანადგარი ბმ-21 „გრად“-ი, „ალაზანი“-ს და „ნურს“-ის ტიპის რამდენიმე ასეული რაკეტა, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები და სხვა. სანდო წყაროზე დაყრდნობით ჟურნალისტისთვის ცნობილია, რომ ოსები ასევე შეიარაღებული არიან თვითნაკეთი ტურესატყორცნებით, რომელიც დამზადებული უნდა იყოს ადგილობრივი ქარხნის ბაზაზე. რუსები ჩანს, საბრძოლო ტექნიკისა და ტყვია-წამლის გარდა, ოსებს ცოცხალი ძალითაც ეხმარებიან ცხინვალში საკმაოდაა რუსეთიდან ჩამოსული დაქირავებული „ბოევიკები“, რომელთაც ქართველების ძარცვის შემდეგ ებრაელების, ხოლო ბოლოს ოსების აწიოკებაც დაიწყეს. ასეთ ფონზე ქართული გვარდიის ნაწილები ახერხებენ, რომ დაიკაონ ცხინვალის მიმდებარე ყველა სტრატეგიული პუნქტი, მაგრამ ყველა შესასვლელის გასაკონტროლებლად საჭიროა დამატებითი ძალები და საბრძოლო ტექნიკა – მიაჩნია სამხედრო სტრატეგიაში კარგად გათვითცნობიერებულ ჟურნალისტს. იგი კმაყოფილებას ვერ ფარავს ქართველი გვარდიელების თვით სრულყოფის ტენდენციის გამო და ასახელებს მათი პროფესიონალიზმის დამადასტურებელ მაგალითებს. მათი მხარდაჭერა მატერიალურიც და მორალურიც ყველა ქართველის ვალია, რადგან სამაჩაბლოში მიმდინარე ომი მთელ საქართველოს ეხება. ი. ალადაშვილი მკითხველს აფრთხილებს: „გვარდიის მიერ საბრძოლო პოზიციების დატოვება, როგორც ამას ზოგიერთები მოითხოვენ, საქართველოსათვის დამღუპველი იქნება. ვისაც ცხინვალთან, საბრძოლო პოზიციებზე, ერთხელ მაინც მოუხმენია ოსი ექსტრემისტების რადიო საუბარი, კარგად იცის, რომ მათი ავი ზრახვები მარტო სამაჩაბლოთი არ შემოიფარგლება.“<sup>1</sup> ვითარების ზედმიწევნითი ანალიზი მკითხველს ნათელ

<sup>1</sup> იქვე.

წარმოდგენას უქმნის კონფლიქტის სამხედრო და პოლიტიკურ კონტურებზე. რეალური საფრთხის შეგრძნებიდან მომდინარეობს უურნალების მთვლილება ქართული მოსახლეობის მეტი აქტიურობისაკენ.

ბრძოლის ველზე მიმდინარე დაპირისპირების პარალელურად პერიოდულ პრესაშიც დაუნდობელი პოლემიკის ნიმუშებს ვხვდებით. აქ კარგად იკვეთება კონფლიქტის ავტორთა და მის ხელისშემწყობთა რეალური სახე. რუბრიკით „რა აწუხებს რუსულ პრესას?“ ვეცნობით პროფესორ გოგი ციციშვილის საყურადღებო წერილს „მოსკოვსკიე ნოვოსტი“: კურსი – ველიკოდერჟაველი“. ანოტაციაში ნათქვამია: „ამ ბოლო დროს, როცა ოს-ქართველთა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების რეალური გზები დაისახა, განსაკუთრებით აღმაშფოთებლად გამოიყურება გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ დამპყრობლურ-იმპერიული მისწრაფებებით ნასაზრდოები პუბლიკაციები. მათ შორის აღსანიშნავია მიხეილ შეველიოვის სტატია „თმი სამხრეთიდან მოდის“ (21.VI.1992.№25) და ინტერვიუ ტ. კულუმბეგოვთან, რომლის ლეიტმოტივისც ძალზე თავისებურია: „...სისხლისღვრა რომ შეწყდეს, მაინც საჭიროა მაგიდაზე დარტყმა...“ (ცხადია, მაგიდაში საქართველო, ხოლო დარტყმაში რუსეთი იგულისხმება).“<sup>1</sup> აღმშფოთებული ქართველი მეცნიერი შენიშნავს, რომ სათაური „თმი სამხრეთიდან იწყება“ და მოსაზრება „რუსეთში მშვიდობის ბედი დღეს ოსეთში წყდება“ – ტექსტის კონტექსტიდან გამომდინარე ავტორი საქართველოს ადანაშაულებს რუსეთის მოსალოდნელ არასტაბილურობაში და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მან ყოველი ღონე უნდა იხმაროს საქართველოზე პოლიტიკური და ეკონომიკური შევიწროვებისათვის. როგორც ჩანს, მ. შეველიოვი უგულვებელყოფს განხილული ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიულ, იურიდიულ და მორალურ მხარეებს. მის განწყობას საქართველოს სიძულვილი აღბეჭდვია, მაგრამ არც ოსები ეპიტნავენ. ტოპონიმი ცხინვალი, აღნიშნულ ავტორს ოსური ინტერპრეტაციით – ცხინვალ – აქვს ნახმარი. ალბათ იმიტომ, რომ ვითარებაში გაუთვითცნობიერებელი რუსულენოვანი მკითხველი დაარწმუნოს

<sup>1</sup> გაზ. „რესპუბლიკა“, 1992, 21 ივლისი.

თუ როგორ იტანჯებიან „საკუთარ დედაქალაქში“ ოსები ქართული გვარდიის აგრესიისაგან. მას მკითხველი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ მებრძოლ ოსებს სათანადო დახმარება უნდა გაეწიოთ. შერიგება არანაირ კონტექსტში არ არის ნახსენები. პუბლიკაციის შემდეგი ნაწილი ასეა დასათაურებული – ვლადიკავკაზ. გ. ციციშვილის აზრით, სწორედ, რომ მოწოდებად უდერს ძაუჯიკაუს ეს რუსულ-იმპერიული სახელწოდება, რომლის აღორძინებაც თანამედროვე დემოკრატიზაციის პირობებშიც კი აუცილებლობად უცვნიათ. როგორ უნდა გაიგოს ოსეთის დედაქალაქის მისია პერსპექტივაში? ისე, როგორც ეს ცარიზმის ეპოქაში ესმოდათ. როგორც ჩანს, ახალ ეპოქაშიც არაფერი იცვლება. მ. შეველიოვი თვლის: „მთავარი საფრთხე, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთს ემუქრება, სამხრეთ ოსეთის თმია...“<sup>1</sup> ასეთი ლოგიკით, აღნიშნული კონფლიქტი დიდ საფრთხეს უქმნის ჩრდილოეთ ოსეთსა და რფ-ას. გამოსავალი კი ერთობ არაპუმანური მოუძებნია რუს ავტორს – დაურიგდეთ იარაღი ს/ო-დან ლტოლვილ ახალგაზრდებს, რომელნიც მზად არიან იომონ. ამ პუნქტში მკაფიოდ იკვეთება რუსული პრესის ფლაგმანის „ველიკოდერჟაველი“ იდეების ხორც შესხმის დაუოკებელი სურვილი, რომელიც არ ითვალისწინებს მცირერიცხოვანი ერების ურთიერთდაპირისპირებით გამოწვეულ უმძიმეს შედეგებს.

მ. შეველიოვი, მოსკოვი – ასე დასათაურებულ ნაწილში მკაფიოდ აცხადებს, რომ აღნიშნული პოლიტიკური კრიზისის მოგვარების მიზნით, შევარდნაძისა და გალაზოვის ყაზბეგის შეხვედრისას მიღწეული შეთანხმების თუნდაც ერთი პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, რუსეთი უნდა იტოვებდეს უფლებას „ზემოქმედების ნებისმიერ ზომაზე – ს/ო-ში ჯარების დაბრუნების ჩათვლით.“ იგი ამავდროს, მკითხველის დარწმუნებას ცდილობს, რომ რთული იქნება მოლაპარაკებების ცხოვრებაში გატარება, რადგან საქართველოს შინა პოლიტიკური სიტუაცია, თურმე, თითქმის შეუძლებელს ხდის ძირითადი შეთანხმების დაურღვევლობას – ცეცხლის შეწყვეტას. თბილისი – ასე დასათაურებულ ნაწილში გაცხადებულია რეალური

<sup>1</sup> Газ. «Московские новости», 1992, 21 июня.

შეუძლია და უნდა შეაჩეროს „სამხრეთ ოსეთის გენოციდი“, იგი დაინტერესებულია, რომ ომი კავკასიაში არ გავრცელდეს მის ტერიტორიაზე. მაგრამ სამხედრო ძალის გამოყენება – ეს უკანასკნელი საშუალებაა, რომელსაც მხოლოდ კონფლიქტის გაყინვა ძალუძს, მაგრამ არა მისი გადაჭრა. კონფლიქტის გადაჭრას კი, მისი აზრით, რფ-ისა და ჩ/ო არ-ის მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება და რუსეთის მხრივ „თბილისის ცივილიზებულ პოლიტიკოსთა მხარდაჭერა“ სჭირდება. ასეთია ქართულ-ოსური კონფლიქტის კრიზისიდან გამოსავლის რუსული იმპერიული ხედვა. გ. ციციშვილის აზრით, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ინიციატივის შემდეგ მ. შევალოვი საკუთარ მოსაზრებათა გამომწვეურებას ტ. კულუმბეგოვთან ინტერვიუში ცდილობს; „ძნელი არ არის მრავალრიცხოვან ოს ბოეიკებში მანცდამანც კულუმბეგოვის რატომ შეარჩია. ყველაფერი ისეა გამიზნული და გათვლილი, რომ ხმამაღლა თქმულიყო: „ცხინვალს კვლავ ესვრიან“, ოსებს კვლავ სურთ „თავისუფლება, თანასწორობა, მშვიდობა“, კულუმბეგოვს არ სურს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და აცხადებს – „ჩვენ რუსეთთან ვიქნებით. იმდენი სისხლი დაიღვარა საქართველოში, დარჩენა არ შეგვიძლია“; „...ჩანს, როგორც რუსი „დემოკრატების“, ისე ოსი ექსტრემისტების წარმომადგენლებს, ოს-ქართველთა ძმობამკვლელი ომის ესკალაცია აძლევთ ხელს.“<sup>1</sup> ქართველი მეცნიერის მიერ გამოაშკარავებული კონფლიქტის რეალური სახე მკითხველს კიდევ ერთგზის არწმუნებს ორი ხალხისთვის თავს მოხვეული დაპირისპირების სინამდვილეში. მისი მოგვარება კი სისხლისღვრის შეწყვეტით უნდა დაიწყოს, რაც რუსული პრესის დასახელებული მასალის მიხედვით, მოსკოვის იმპერიულ პოლიტიკას ხელს არ აძლევს.

გაზეთმა „Южная Осетия“-მ გადაბეჭდა „ივერია ექსპრესიდან“<sup>2</sup> ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობის მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძისადმი. მოკლე კომენტარი იტყობინება, რომ სამშვიდობო ძალების სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შეყვანის შემდეგ დამყარებული სიმშვიდე

<sup>1</sup> გაზ. „რესპუბლიკა“, 1992, 21 ივლისი.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია ექსპრესი“, 1993, 16 თებერვალი.

მოჩვენებითია, რადგან ქართული შეიარაღებული ძალების გაყვანის შემდეგ არ მთავრდება სასაზღვრო პროვოკაციები და იცხრილება ცხინვალის გარეუბნები. ამის პარალელურად ხდება პრესის საშუალებითაც შეტევა ოსურ მხარეზე. ასეთი „შეტუმის“ მაგალითად მიიჩნიათ მათ აღნიშნული მიმართვა. რომლის რუსულ თარგმანს სთავაზობს მკითხველს გაზეთი. მასში აღნიშნულია, რომ ოსი ექსტრემისტები მესამე წელია აქტიურ საბრძოლო მოქმედებებს ახორციელებენ ქართული მიწის მისაკუთრებისა და აბორიგენი ქართული მოსახლეობის გამოდევნის მიზნით; რაც ნაწილობრივ შეასრულეს. მიმართვაში საუბარია კონფლიქტის თავიდან დაწყების საშიშროებაზე, რადგან მეორე ფრონტზე აფხაზეთში გადატანილი იქნა საქართველოს ყურადღება და ამით შესაძლოა ისარგებლონ ოსებმა. ამიტომ მოსახლეობა ითხოვს, ადგილობრივი მკვიდრებისაგან შეიქმნას ოფიციალური შეიარაღებული ჯარის ნაწილები, რათა თავდაცვის მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს ქართულ სოფლებს. ოსური მხარის კომენტარის გაცნობით ნათელი ხდება, რომ უნდობლობა ორ ხალხს შორის ძალიან დიდია და სწორედ ის არის ძირითადი მიზეზი ჯერ კიდევ მოუგვარებელი კონფლიქტისა: „К сожалению, подобные обращения носят не единичный характер и в полной мере могут относиться к крупномасштабным провокациям. И основанием для подобного утверждения в начале 1991 года, весной 1992 года, в конце лета – начале осени 1992 года (непосредственно перед агрессией в Абхазии). Сценарий прежний. Результат, как правило, кровавый. Инсинуации, провокации и война.“<sup>1</sup> კონფლიქტში გამარჯვებას ოსური მხარე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საკუთარი პოზიციის მართებულობის დემონსტრაციით ცდილობს, ამიტომ ამ მასალას ეუთო-ს მისიის საყურადღებოდ აქვეყნებს.

დაპირისპირების კონცენტრაცია იგრძნობა პეტრე ხოზითის საინფორმაციო მასალაში „Хищническое мурло фашизма“. სადაც მოთხრობილია ოსური სოფლის ხეთაგუროვოს მკვიდრთა სასტიკი მკვლევლობის შესახებ,

<sup>1</sup>Газ. «Южная Осетия», 1993, 20 февраля.

რომელიც ავტორის აზრით, ქართული სოფლის ნიქოზის მკვიდრებმა ჩაიდინეს. გაზეთი „Южная Осетия“-ს პირველ გვერდზე განთავსებულ წერილს მსხვილი პლანით ახლავს დაღუპული მოსახლეების სურათები. ვ. ქვლეცსაევის ფოტოები მკითხველში, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს ის, პროტესტის გრძნობას იწვევს. წინამდებარე მასალა ოსურ მოსახლეობას შურისძიების სურვილით ალავსებს. 14 მაისს დატრიალებული ტრაგედია ეროვნულ ნიადაგზე მომხდარ ანგარიშსწორებად არის მიჩნეული და ასეთი მუქი ფერების გამოყენებით არის დახატული: „Вооруженная группа грузинских неонацистов, в количестве 7-10 бандитов, пробралась с территории с. Никоз Горийского района на земли Хетагуровского семеноводческого совхоза. Своей мишенью бандиты выбрали сельчан хетагуровцев, занятых весенними работами.“<sup>1</sup> ავტორი თვითმხილველივით აღწერს მკვლელობის სცენას, მიაჩნია, რომ განსაკუთრებული სისასტიკით იქნა იგი ჩადენილი. უდანაშაულო სამი ოსი ეროვნების მოქალაქის დაღუპვა, მართლაც, შემზარავია. ავტორის პოზიცია ქართველი „სისხლმომწყურებელი“ მკვლევების დახატვის თვალსაზრისით უთუოდ დაპირისპირების გამძაფრებას და კონფლიქტს გააგრძელებას უწყობს ხელს. ქართველები დამარცხებული ხალხის კომპლექსით დადღასმულ ხალხად არის წარმოდგენილი, რომელთაც ასეთი ქმედებებით სურთ საკუთარი მნიშვნელობის დადასტურება. პ. ხოზითის აზრით, წარუმატებელ ე. წ. დემოკრატებს თურმე, ისედაც დამარცხებული ქვეყნისთვის სამხრეთ ოსეთის სახით კიდევ ახალი მტრის შექმნა მოუნდომებიათ. ამასთან დაკავშირებით ს/ო-ის მთავრობამ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ქართულ ხელისუფლებას, სადაც ნათქვამია, რომ შეწყდეს ახალი ძალადობის ფაქტები ოს ხალხზე და დაკავებულ იქნან დამნაშავეები და გადაცემუ იქნან ს/ო-ის სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ამ პროვოკაციის შედეგად წარმოშობილ პროცესებზე პასუხისმგებლობა, ნოტის მიხედვით, ქართულ მთავრობას ეკისრება. წერილში დიდი წუხილია გამოთქმული უდანაშაულო, მშრომელი ადამიანების დაღუპვის გამო, რომელთაც

<sup>1</sup> Газ. «Южная Осетия», 1993, 18 мая

საპროტესტო განცხადებებით ვერავენ გააცოცხლებს. მაშ რა ღონისძიებებია საჭირო სისხლისღერის საბოლოოდ შესაწყვეტად? ამ მიმართულებით საზოგადოებრივი აზრის მომზადება ავტორს არ გაუთვალისწინებია. პირიქით, იგი იხსენებს ოსი ეროვნების მოსახლეობის მკვლელობის სხვა ფაქტებს. მას მიაჩნია, რომ ასეთი თავდასხმის ფაქტები, ალბათ, კვლავაც განმეორდება და მოსახლეობა მზად უნდა იყოს „მტრის აგრესიის“ მოსაგერიებლად. დასკვნით ნაწილში მკითხველს ავტორი მოუწოდებს, რომ თუ დღეს ვერ მოხერხდება ერთმანეთის მიმართ მომთხოვნელობის გამოჩენა, თუ ყურადღებით არ მოხდება საკუთარი ხალხის დაცვა, თუ ცრუ მოკრძალება და ზედმეტი სიფრთხილე თავდაცვისა და ბრძოლის უნით არ შეიცვლება, სათითაოდ მოხდება ოსი ხალხის განადგურებაო, – დამაჯერებლად ირწმუნება ადელევებული ჟურნალისტი.

იგივე გაზეთი შემდგომ ნომერს უძღვნის გასულ წელს სოფ. ძარის გზაზე 36 ოსი ეროვნების მოქალაქის დაღუპვის ფაქტს და მასთან ერთად ყურადღებას ამახვილებს 14 მაისის მკვლელობაზე. ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ს/ო უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს განცხადება. სადაც გამოთქმულია უკმაყოფილება იმის გამო, რომ არ არიან დასჯილები ძარის ტრაგედიის ავტორები: „Создается впечатление, что руководство Грузии, заверяя мировую общественность в своем стремлении решать вопросы мирными средствами, на деле создает обстановку безнаказанности и порождает новые преступления.“<sup>1</sup> რუსულენოვანი ოსური პრესის ფლაგმანი, აღნიშნული გაზეთი, საკუთარ უბედურებათა მიზეზად მკითხველს ქართული მხარისაკენ მიუთითებს. რაც მოვლენათა ხედვის სივიწროვეზე მეტყველებს. ამ ფაქტისაგან განსხვავებით ქართული პრესის ავტორიტეტული ორგანოები კონფლიქტის მიზეზთა ძიებისას ძირითად აქცენტს, უფრო სამართლიანად, მესამე ძალაზე აკეთებენ.

აქვე დასტამბულ ს/ო ხელისუფლების მოსახლეობის ხადმი მიმართვაში ვკითხულობთ: დღეს აღვნიშნავეთ ქართული აგრესიის შედეგად დაღუპულთა დღეს. მარადი

<sup>1</sup>გვ. «Южная Осетия», 1993, 20 мая.

დიდება სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულებს. დიდება მათ, ვინც ყველაფერზე ძვირფასი – სიცოცხლე შესწირა ჩვენს გადარჩენას. ქართველი ნაციონალ-შოვინისტების მიზანი, გაეტეხათ ოსი ხალხის შემართება, ვერ განხორციელდა. სოჭის ოთხმხრივმა მოლაპარაკებამ და სამშვიდობო ძალების შემოყვანამ რეგიონში შეაჩერა უპრეცედენტო სისხლისღვრა. მაგრამ ოსებისადმი ზიზღი არ ქრება და დღესაც გრძელდება ჩვენი გენოციდი. ამ პროცესს ხელს უწყობს ქართული პრესა და პოლიტიკური ძალები; – ნეიტრალური მკითხველისათვის ნათელია, რომ ასეთი უკომპრომისო ტექსტი და მიზანმიმართული ანტიქართული აგიტაცია სწორედ იმ ძალის ნაკარნახევია, რომელმაც დაგეგმა და შესანიშნავად განახორციელა ქართულისური კონფლიქტი საკუთარი მიზნების რეალიზაციისათვის. ოსური მხარისათვის ამ ფაქტის არსებობა ან უცნობია, რაც საეჭვოა, ან საკუთარი პოზიციების გაძლიერება სწორედ ამ ძალის დახმარებით წარმოუდგენია და ამიტომ მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ასეთი ჯადოსნური წრე კი ბევრ გაუთვითცნობიერებელ ოს მკითხველს კონფორმაციულად განაწყობს. აქედან გამომდინარეობს, რომ გახუთის დასახელებულ ნომერში გლოვა საკუთარ დაღუპულ თანამემამულეებზე მთელი სიმძაფრით ქართული მხარის დადანაშაულების ფონზეა გაშლილი, რაც მძლავრ ანტიქართულ განწყობათა საფუძველი ხდება. ამ ფაქტს ადასტურებს თუნდაც იმ მასაღათა სათაურების ჩამოთვლა, რომელნიც ამ თემას ეძღვნება: «Остановитесь! там грузины...», «Побойтесь бога!», «Плоды уродливого воспитания...», «За что?!» და სხვა.

ს/ო-ის ინფორმაციისა და ბეჭდვის სამინისტრო აკეთებს ოფიციალურ განცხადებას სათაურით „Очередная инсинуация“. იგი უარყოფს საქართველოს რადიოს საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ოსურმა მხარემ შეიძინა იარაღის მორიგი პარტია და სამხედრო ტექნიკა, რათა დიდი ღიახვის ქართულ სოფლებზე განხორციელდეს თავდასხმა. მასში აღნიშნულია, რომ ს/ო არ დაუშვებს ასეთ მოქმედებას და, პირიქით, ადანაშაულებს საქართველოს ხელისუფლებას მილიტარიზმისაკენ მიდრეკილებაში,

ქართულ პრესას კი დეზინფორმაციის გავრცელებაში: „Антиосетинская истерия, развертываемая грузинскими средствами массовой информации, обычно предваряет практические действия против РЮО со стороны РГ.“<sup>1</sup> წინამდებარე მასალა მხარეებს შორის უნდობლობის გამოხატვის ტიპიური ნიმუშია. ფრონტის საზღუე შეჩერებულმა ფიზიკურმა დაპირისპირებამ გადაინაცვლა საინფორმაციო საშუალებებით დაპირისპირებაში. აქ, როგორც ბრძოლის ველზე ორი მხარე, ერთმანეთს თავდაუზოგავად უპირისპირდება, ხოლო ცენტრალური მესამე ძალა – ვითარების დაბალანსებას ახერხებს საკუთარი მიზნების სამსახურისთვის.

საინტერესო მასალას წარმოადგენს ინტერვიუ ოსური ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთან და ს/ო-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ტორეზ კულუმბეგოვთან. ქართულ-ოსური კონფლიქტის ხედვა ოსური პოზიციებიდან ჟურნალისტმა ენა ჩოჩიევამ განახორციელა. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ძვრების შესახებ საუბრისას ტ. კულუმბეგოვი ე. შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის ფაქტს უარყოფითად აფასებს. იგი მსოფლიოში გავრცელებულ, მისი ჰუმანიზმითა და მშვიდობისმოყვარეობით გამორჩეულ, იმიჯს ფიქტიურს უწოდებს. იგი უკმაყოფილოა დაგომისის ხელშეკრულებით, რადგან ს/ო მოლაპარაკების სუბიექტად არ იყო წარმოდგენილი. არსებული სიმშვიდე მისთვის დროებითი არდადეგებია. 19 იანვრის ბრძანება სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ შეჩერებულია ბორის ელცინისადმი თხოვნის წერილის გაგზავნით. რუსულ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას ახალი ფრონტის გახსნის შესახებ ტ. კულუმბეგოვი უარყოფს. აქვე განმარტავს, რომ ოსური მხარე მრავალრიცხოვანი ქართველების წინააღმდეგ ვერ დაიწყებს ომს, მაგრამ დაუინებით ამტკიცებს, რომ რფ-ში შესვლა ოსი ხალხის სურვილია და უნდა აღსრულდეს. საუბრობს საერთაშორისო სამართალზე, მაგრამ ვერ გრძნობს, რომ გარკვეული თვალსაზრისით იგი წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს ავრცელებს,

<sup>1</sup> გაზ. «Южная Осетия», 1993, 15 апреля.

როდესაც ცალმხრივად გამოხატავს და არ ითვალისწინებს მთელ რიგ სამართლებრივ საკითხებს. მათ შორის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს, ქართული და ზოგიერთი ოსი მოქალაქის აზრს. საკუთარ შეხედულებებს „თითიდან გამოწოვილი“ ფაქტებით ამაგრებს: „Границы между Южной Осетией и Россией де-юре с 1921 года до сих пор нет. Договор сторон о границах между Россией и Грузией так и не был заключен. Поэтому границы между Россией и Грузией де-юре не существует“.<sup>1</sup> ყოველივე ეს კი მხოლოდ კონფლიქტის ესკალაციას იწვევს. ოცნებას ორი ოსეთის გაერთიანებაზე ოსი მოსახლეობა შეჰყავს შეცდომაში და სულ მინიმუმ ანაქრონიზმად უღერს. მას მოსახლეობის გადარჩენაც მხოლოდ ჩრდილო ოსეთთან გაერთიანებით წარმოუდგენია. ინტერვიუში ქვაისის საბადო ოსური სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების სიმბოლოდ არის დასახელებული. ქართულ მხარესთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენა მისთვის წარმოუდგენელია, რადგან ოსური ოჯახების დიდმა ნაწილმა საკუთარი წვერი დაკარგა ამ კონფლიქტში. ასეთ პირობებში კი შეურაცხმყოფელად მიაჩნია კვლავ ქართულ მხარესთან ურთიერთობა. უფრო მეტიც, იხსენებს ოსურ ლეგენდას, სადაც მოთხრობილია, რომ მოკლულთან მკვლელის მისვლა ჭრილობების ხელახალ გახსნას გამოიწვევს. ასეთი განმარტებები რესპონდენტს პრორუსული იდეოლოგიის განსამტკიცებლად ესაჭიროება; რეალურად კი დაპირისპირებას უწყობს ხელს. ტ. კულუმბეგოვი მკითხველს სთავაზობს ე. შევარდნაძისა და ჯ. ბუშის პარალელურ პორტრეტებს. იგი აცხადებს, რომ ორივე მათგანი დემოკრატიის ნიღბით აღჭურვილან და მცირე ერებს ჩაგრავენ; საქართველოს პრეზიდენტი – ოსებს და აფხაზებს, ამერიკის – ერაყელებს. მისთვის ოსური პოზიციის გამაგრება რუსეთთან თანამშრომლობით შესაძლებელია, კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ბოლო ხანს კავკასიის ხალხებსა და რფ-ას შორის მეტი ურთიერთგაგებაა. ინტერვიუერის მიერ მკვეთრი შეხედულებების დაფიქსირების მიუხედავად, ოს მკითხველში ასეთი გამოსავალი გარკვეულ ეჭვს იწვევს. რადიკალური

<sup>1</sup> გაз. «Южная Осетия», 1993, 17 апреля.

ერთუნული პოზიციით ცნობილი ქართული გაზეთი „იბერია-სპექტრი“ აქვეყნებს ცხინვალიდან დევნილი გელა გელაძის წერილს „მშვიდობა ვისთვის?!“ ავტორი მკითხველს აცნობს ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს ქართველთა ფიზიკურად განადგურებისა და დისკრიმინაციის ფაქტებს. მასალა სრულიად საქართველოს კიდევ ერთგზის არწმუნებს, რომ ამ დროისათვის უმძიმეს მდგომარეობაშია რეგიონის ქართული ადგილობრივი და გამოდევნილი მოსახლეობა. მათი მხარდაჭერა კი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ძლიერების ხელშეწყობაა შიდა ქართლში. ავტორს მიაჩნია, რომ ე. შვეარდნაძისა და ბ. ელცინის დაგომისის ხელშეკრულების შემდეგ რეგიონის ქართული მოსახლეობა უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა; „სამშვიდობო ძალები“ კი – ქართველთა წინააღმდეგ მოქმედი სადამსჯელო შენაერთებია: „ეს ოს-რუსთა ჯარები ერთობლივად დათარეშობენ „კონფლიქტის ზონის“ გარეთაც, ხოლო ქართული გვარდიის მცირერიცხოვანი და უსუსური კონტინგენტი შორიდან პასიური შემყურეა. ამ რეგიონში ბოლოხანს დაღუპულია ათობით ქართველი, დაჭრილი, გაძარცვული და შეურაცხყოფილია უამრავი. ამიტომ აქ მშვიდობის დამყარებაზე რაიმე ლაპარაკი თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი.“<sup>1</sup>

ასეთი რადიკალური გამოსვლის საფუძველი, როგორც ჩანს, გ. გელაძეს აქვს. იგი მკითხველს აცნობს 1992 წლის ივნისიდან განხორციელებულ შემზარავ ფაქტებს: 1992 წლის ივნისში ოსური მხარის მიერ დადებულ ნაღმზე აფეთქებით დაიღუპნენ ზემო ნიქოზელები: გივი კანდელაკი, ზაქრო მჭედლიძე, გურამ მჭედლიძე, იაკობ ლომიძე; სოფ. ფრისის მახლობლად მოკლეს ედიშერ კახნიაშვილი; სოფ. ხეთთან ოსმა ტერორისტებმა მანქანაში ჩახოცეს აჩაბთელები მამუკა პაპელიშვილი და ბიძინა ხაბარელი, ქურთელი ნუკრი ხაჭაპურიძე. სოფ. ქემერტში საკუთარ სახლში დახოცეს მამა-შვილი ივერი და გელა ხეთაგაშვილები, გელას მეუღლე დაჭრეს, რომელიც მცირეწლოვან ბავშვს გადაეფარა. სოფ. ავნევთან დახოცეს ქართული სამშვიდობო ძალების შვიდი ჯარისკაცი. ამავე წლის ნოემბერში

<sup>1</sup>გაზ. „იბერია-სპექტრი“, 1994, 28 სექტემბერი.

სოფ. მამისაანთუბანში ნაღმზე აფეთქებით დაიდუპნენ სოსო კაჭაშვილი, დავით კასრაძე, გია კეკოშვილი, სანდრო მამისაშვილი და მამუკა ბერუაშვილი. დეკემბერში ცხინვალში დახოცეს ცოლ-ქმარი დათო და მარო მეტრეველები და მათი მეზობელი ნუნუ ცაციაშვილი. გ. გელაძე ასევე ასახელებს შემდგომ წლებში დაფიქსირებულ უძიმეს ფაქტებს. ავტორს მიაჩნია, რომ რუს მშვიდობისმოყვრელებს აქ დაძაბულობა ხელს აძლევთ, რადგან ისინი საკმაოდ გასამრჯელოს ღებულბენ შფოთიანობის დროს მოსახლეობის გადაყვანა-გადმოყვანაში. ასევე ქართველებისაგან დიდ თანხას იღებენ დაღუპულთა ცხედრების გამოსხნის სანაცვლოდ. მისი მოსაზრება, რომ სამშვიდობო ძალები ვერ ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას ერთგვარ თანაგრძნობას იწვევს მკითხველში, რადგან მკაფიოდ არის ნაჩვენები ადგილობრივი მოსახლეობის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ქართული სამთავრობო სტრუქტურების ხელმძღვანელები, ცხინვალის პრობლემასთან დაკავშირებით, არსებულ რეალურ ვითარებაზე შედარებით მსუბუქ ფორმებში საუბრობენ, რათა მოსახლეობისათვის მათს მიერ გადადგმული ნაბიჯები ვითარების მოწესრიგების თვალსაზრისით წარმოჩნდეს. თავისუფალი ქართული პრესის აქტიურობით ამ კომპლექსის გამოაშკარავება ხდება და არსებული დაპირისპირების მკაფიო სურათი იკვეთება. გაზეთ „ახალი თაობის“ კორესპონდენტი გულიკო ბალაძე რეგიონში მიმდინარე სამართლებრივ და კრიმინოგენულ პროცესებს აშუქებს ინტერვიუში – შიდა ქართლის სამხარეთო პოლიციის სამმართველოს უფროსთან ნოდარ დალაქიშვილთან. რესპონდენტი რფ-იასთან სავიზო რეჟიმის შესახებ საუბრობს და ფიქრობს, რომ კანონის დაცვით მიმდინარეობს მიმოსვლა ორ ქვეყანას შორის. ს/ო გავლითაც ანალოგიური მდგომარეობაა, თუმც არსებობს ინფორმაცია, რომ ცხინვალში გაიცემა ს/ო-ის უკანონო პასპორტები, რომელთა საშუალებითაც ხდება აღნიშნული საზღვრის გადაკვეთა. ასეთი ინფორმაცია რეგიონის პირველი პოლიციელისათვის ცნობილია, მაგრამ არ გააჩნია კონკრეტული ფაქტი. მკითხველს შეახსენებს, რომ ვერ კონტროლდება, თითქოსდა, 100 კილომეტრი როკის

გეირაბიდან და ეს არის მიზეზი შესაძლო დარღვევებისა. კორესპონდენტი წინა პლანზე წამოსწევს ე.წ. ერგნეთის ბაზრობას, რომელიც ქართულ და ოსურ მხარეთა კონტროლირებად ტერიტორიათა ბუფერულ ზონაში მდებარეობს, აქ ოსი და ქართველი მოსახლეობა ყოველგვარი ოფიციალურობის გარეშე ყიდვა-გაყიდვით არის დაკავებული, არასტაბილური ატმოსფეროს გამო იქ ხორციელდება ყაჩაღობანი, რომელზეც პასუხისმგებლობას არ იღებენ არც ქართული და არც ოსური სამართალდამცავი ორგანოები. ამით მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდება. საუბარში ტერმინ „ოსეთს“ ხმარობს ნ. დალაქიშვილი, რაც კორესპონდენტის დამატებით კითხვას იწვევს – თუ რა სახელწოდება მიესადაგება აღნიშნულ ტერიტორიას. ოფიციალური პირი განმარტავს: „არ ვიცი, უკვე რა ტერმინი გამოვიყენო... მაშინ, ვთქვათ ყოფილი ს/ო-ის აო-ის ტერიტორია... მათდამი მიმართვაში ყოველთვის ცხინვალს ვწერ – ქალაქი ცხინვალი და შემდეგ ადრესატს ვაწერ, მაგრამ უკან მიბრუნდება“<sup>1</sup> – აღიარებს საკვანძო უთანხმოებას პოლიციის შეფი. იგი საუბრობს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამართალდამცავთა საქმიანობაზე, ასახელებს ერთ-ერთ ოპერაციას, რომლის დროსაც დაკავებული იქნა ყაჩაღური ჯგუფი ოსი ერთეულების კრიმინალთა შემადგენლობით. ეს უკანასკნელები წარდგებიან სასამართლოს წინაშე, რაც არ კმარა რეგიონში არსებული უმძიმესი ვითარების გამოსასწორებლად. მიუხედავად იმისა, რომ იქ პატრულირებას ახდენენ სამშვიდობო ძალებიც. დაგეგმილი პროფილაქტიკური ღონისძიებები უთანხმდება სამშვიდობო ძალების სარდლობას. ინტერვიუდან იკვეთება, რომ ოსი ერთეულების კრიმინალური ელემენტების დასჯა ვერ ან არ ხერხდება კანონის მთელი სიმკაცრით. ისინი ძიების პროცესში ხშირად იძვრენენ თავს. ასეთი პრობლემები, რესპონდენტის აზრით, შესაბამისად პროკურატურაში უნდა მოიკვლიოს დაინტერესებულმა პირმა და არა პოლიციაში. პოლიციის მხრიდან ქართველი ძებნილის, თავის დროზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აქტიური მეტროპოლის გიორგი ბორცვაძის მკვლელობის გახმაურებულ

<sup>1</sup> გაზ. „ახალი თაობა“, 2001, 13 იანვარი.

ფაქტს ნ. დალაქიშვილი განმარტავს: „ბორცვაძე მანქანით მიდიოდა სხვა მგზავრებთან ერთად. იყო რეიდი. მანქანა არ გაჩერდა, ესროლეს მანქანას და ამ სროლის შედეგად დაიღუპა იგი.“<sup>1</sup> წინამდებარე ინტერვიუ დასახელებული გაზეთის ორ ნომერში გაგრძელებით დაიბეჭდა. იგი საინტერესოა პრესაში რეგიონის კრიმინოგენული ვითარების ჩვენებით, რაც პირდაპირი შედეგია ქართულ-ოსური კონფლიქტისა და მისი მოგვარების პერსპექტივაც დამოკიდებულია ორი მხარის დაპირისპირების ხანგრძლივობაზე.

ქართულ-ოსური დაპირისპირება ახალი ფორმებით ვლინდება ცხინვალში ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით. მკაფიოდ იკვეთება, რომ ქართულ და ოსური მხარეები გამონახავენ თუ არა შეხების რამდენიმე წერტილს, სასწრაფოდ ხდება თვითგამოცხადებულ ს/ო-ში ხელისუფლების შეცვლა. ასეთი ვითარებაა ეღუარდ კოკოითის პრეზიდენტობის საწყის ეტაპზეც. მის მიერ საკადრო წმენდის დაწყებისას საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ მთავრობის ახალი შემადგენლობის მოსვლის შემდეგ ცხინვალსა და თბილისს შორის შემხვედრი ნაბიჯები გადაიდგმებოდა. სამართალდამცავები ფიქრობდნენ, ე. კოკოითის სამართალდამცავები დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლის მიზნით ქართველებთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამდნენ, რაც ნაკლებად გამართლდა, ვინაიდან რუსული ღირეპტივა ამას, ჩანს არ ითვალისწინებდა.

გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“ ქართული პრესისთვის დამახასიათებელ სიფრთხილეს ერიდება და ქეთი ლომიას ინტერვიუს აქვეყნებს ე. კოკოითთან სათაურით „ეღუარდ კოკოითმა გააფრინა!“ ერთობ მკაცრ შესავალში ვკითხულობთ: „ეს ის ეღუარდ კოკოითია, რომლის ნაციაშაც თავისი არსებობის მანძილზე კოსტა ხეთაგუროვის მეტი ღირებული ვერაფერი შვა. კოკოითი ან ძალიან ავადაა, ან სავსებით გაუნათლებელი. აბა, სხვა რა შეიძლება უწოდო პირს, რომელიც აცხადებს, რომ „საქართველომ ოსური კულტურიდან ბევრი რამ გადმოიღო.“<sup>2</sup> ასეთი ფონის შექმნის

<sup>1</sup> გაზ. „ახალი თაობა“, 2001, 14 იანვარი.

<sup>2</sup> გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“, 2003, 3-10 აპრილი.

შემდეგ მკითხველი ეცნობა ინტერვიუს დე ფაქტო პრეზიდენტთან, რომელიც ქართული მხარისაგან განსხვავებით, კონფრონტაციული მოსაზრებებით გამოირჩევა.

დაპირისპირების ნიუანსები საინტერესო შემოქმედებითი მიდგომით გააშუქა გაზეთ „Кавказский акцент“-ის კორესპონდენტმა ქრისტინა ნაგელმა. იგი თბილისიდან მიემგზავრება სტუმრად ცხინვალში. მისი თვალით დანახული ორი ეროვნების ადამიანების ურთიერთობა ფაქიზი ჟურნალისტური გემოვნებით არის გადმოცემული მრავლის მთქმელი სათაურის („Невидимая граница“) მქონე რეპორტაჟში. სიმბოლურია ავტორის შენიშვნა, რომ თბილისიდან ცხინვალისკენ მიმავალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გვერდით დგას მოსკოვისკენ მიმავალი ავტობუსიც. თანამგზავრი ქალბატონი თავს იკავებს ცხინვალში არსებული სიტუაციის კომენტირებისაგან, ჟურნალისტს ებოდიშება – ვლადიკავკაზში მივემგზავრები ქმართან, ცხინვალთან ნაკლებად მაქვს ურთიერთობაო. ის – რისი თქმაც არ ეუხერხულა, ყველასთვის ცნობილი ფაქტია – ცხინვალში უმძიმესი სოციალური და პოლიტიკური სიტუაციაა. ავტორის პირველი მოსაზრებაც იბადება: „Южная Осетия. Десять лет назад фигурирующая на первых страницах печати. Тогда конфликт между грузинами и осетинами принес много горя. А сейчас? Сейчас, кажется, никто не хочет говорить об этом, боясь, чтобы ненароком слово не разрушило сегодняшнюю ситуацию. Прошрое лежит как невидимая граница между настоящим и будущим.“<sup>1</sup> მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ თვალის დახუჭვა არსებულ დაპირისპირებაზე, ძველი, სისხლიანი დროის მძიმე მოგონებებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ასეთი ვითარება ტკივილს ვერ აყუჩებს. მძლავრი კავკასიონის ფონზე მოუწყობელი ბაზრობის ტერიტორიაა ნაჩვენები, რაც ვითარების სიმბოლურ მთაზრებას წარმოადგენს. ჟურნალისტები სტუმრად ცხინვალში ერთ-ერთ ოჯახში მიდიან. ვითარების სიმძიმე ირკვევა ოჯახის დიასახლისთან საუბარში, კონფლიქტსა და არამყარ ატმოსფეროშია საძიებელი მოსახლეობის დიდი ნაწილის ლოთობისა და ახალგაზრდებში ნარკომანიის

<sup>1</sup>გაზ. «Кавказский акцент», 2001, 16-30 ноября.

ფაქტები. საგრძნობია ნოსტალგია იმ დროსადმი, როდესაც არავინ კითხულობდა, ყოველ შემთხვევაში აშკარად, ვინ რომელი ეროვნების იყო. უზრუნველყოფის აფიქსირებს, რომ მოსაუბრე ოს ქალბატონს არა აქვს ზიზღი ქართველები-სადმი, მაგრამ არც ურთიერთობის სურვილი ეტყობა. ძველი თანაცხოვრების აღდგენა მისთვის წარმოუდგენელია; მიზეზად ორივე მხრიდან დაღუპული ნათესაეები სახელდება. მართალია, მასში ღიმილს იწვევს, რომ ქალაქში დარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილი ს/ო-ის სამთავრობო სტრუქტურებში მუშაობენ, ეამაყება, რომ სახელმწიფოებრიობის ნიშნებს ატარებს დღევანდელი ს/ო. მაგიდასთან ოსური ხატაპურის ქართულთან შედარებით უპირატესობაზე მახვილდება ყურადღება. ბავარიელების მიმართ გაისმის საყვედური ოსური ღუდის რეცეპტის მითვისების გამო. ქალაქის ქუჩებში ხალხი შეინიშნება ძირითადად ბაზრობის ტერიტორიაზე. გამყიდველი ქალები წუხან მძიმე სოციალური ყოფის გამო, რომ არ არის ელემენტარული ცხოვრების პირობები ს/ო-ში. ისინი ოცნებობენ რუსეთში გადასახლებაზე, სადაც დენი, ცხელი წყალი და ცენტრალური გათბობაა. ასეთი კუთხით პრობლემის გაშუქება მკითხველში ბადებს აზრს, რომ ოსური ნაციონალური იდეები, ჩინოვნიკური სისტემით არის შეკოწიწებული, ხოლო მოსახლეობის უმძიმესი ყოფის გამო ს/ო-ს ემუქრება ადამიანების გადინება. ქუჩაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები აჩერებენ სტუმრებს და სთხოვენ, რომ დატოვონ ქალაქი, რადგან უზრუნველყოფის თავისუფალი შესვლა ცხინვალში არ შეიძლება. კორესპონდენტი თავს იკავებს პოლიტიკური მიზეზების დასახელებისაგან, რომელიც იქცა დაპირისპირების მიზეზად, მაგრამ მკითხველს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ აზრს უზიარებს, რომ ამ დროისათვის, სამწუხაროდ, არსებობს საზღვარი ოს და ქართველ მოსახლეობას შორის, რომელიც მათ სულებში იქნა გაგლებული.

რესპონდენტი მიესალმება ყველას, ვისაც ქართულ-ოსური ურთიერთობების მოგვარება სურს, მაგრამ არ სჯერა ე. შევარდნაძის სიტყვების – იგი ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. აქედან იგი დასკვნას აკეთებს, რომ

